N3

N 11-12 1920 წ.

ეროვნათა კავშირის კომიტეტის ორგანო

ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1920.

შინაარსი:

		გვერდი
1.	,,ორიგი საფრთხე	3
2.	დამფუძნებელი კრების მოწოდები ქართველ ხალხისადმი	5
3.	ლ. ასათიანი — ერობა და სამომრიგებლო სასამართლო	6
4.	**ვიქტორ ლლონტი** — თემის მნიშვნელობა-დანიშნულებაზე.	17
5	**ნარ-აძე** — მორიგ საკითხთა გარშემო.	22
6.	**დ. გედევანიშვილი** — როგორ უნდა მოეწყოს 1-სამეურნეო მანქანების მიწოდება მეურნეთათვის.	27
7.	**ვ. კანჯარაშვილი** — თემის მუშაობის სიძნელენი	31
8.	**ტ. მარგველაშვილი** — ევროპის ეკონომიკა	35
9.	**მ. ქარცივაძე** — ნარინჯოვანი, ხეხილის ბაღისათვის ნიადაგის არჩევა	40
10.	ექიმი **ი. ლომოური** — ხოლერა	46
11.	ექიმი-ვეტერ. **მ. მირიანაშვილი** — შინაგან საქ. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილებაში და პროექტი ახალი საველერინარო ცენტრის შექმნისა.	51
12.	**იოსებ იმედაშვილი** — მადლიანი შრომა	55
13.	**გრ. სა-ქედელი** — პატარა წერილები	58
14.	**განმანი** — ორკვირეული მიმოხილვა	64
15.	ქრონიკა	70
16.	**ხომლელი** — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (სოფრონ გლახაშვილის თხზულ. ტ. I).	99
17.	საქართველოს რესპუბლიკის საერობო თვითმართველობის კანონ-პროექტი	103

№ 11—12 ნოემბერი—15—30 1920 წ.



5670

ორკვირეული საერობო ჟურნალი

ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო

ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1920.

30 ნოემბერი 1920 წ.

მორიგი საფრთხე

ჩვენ გარშემო კვლავ აირიენ ღრუბლები. არ იქნა, შემოქმედებითი მუშაობაში ჩაბმულ საქართველოს დემოკრატიას არ აღირსეს მოსვენება. ჩვენი მეზობელი, ყოველ მხრივ დატანჯული სომხის ერი დღეს საშინელ ტრაგედიას განიცდის; — მიუხედავათ სომხეთის შვილთა თავგანწირულ ბრძოლისა ქემალ-ფაშის იმპერიალისტურმა ბანდებმა 31 ოქტომბერს, კომუნისტების — „წითლების“ დახმარებით ყარსი აიღეს, უახლოვდებიან გუმბრს, მაგრამ სომხეთს ჯერ გამარჯვების იმედი მაინც არ დაუკარგავს, ის დღესაც განაგრძნობს საბედისწიერო ომს, რომელსაც ჭეშმარიტად აქვს სომხეთისათვის ყოფნა-არყოფნის საკითხის მნიშვნელობა. მაგრამ არა მარტო სომხეთისათვის, ჩვენთვისაც მორიგ საფრთხეს წარმოადგენს ქემალის ეს გამარჯვება; ყარსის ციხეს, მის კარებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ყველა ამიერ-კავკასიის ერებისათვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ იხელთა და შესაძლებლობა მიეცა ჩვენ საზღვრებზედაც მოისურვებს გამოსეირნებას ჩვენი სამხრეთელი რეაქციონურული მეზობელი, საამისო ნიადაგის მომზადებას კიდევაც შეუდგნენ ჩვენში ოსმალეთის ლირებით მოსყიდული შავი ძალები: ისინი პროვაკაციულ აგიტაციას ეწევიან საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ; ყველგან არიგებენ პროკლამაციებს და მოუწოდებენ ხალხს „უფლება-ჭეშმარიტების მტრებთან ბრძოლისათვის“ და ევლინებიან მუსულმან ქართველებს „გაჭირვებისა და უკიდურეს მდგომარეობის“ შესამსუბუქებლად; მოსალოდნელია დღეს, როდესაც სამხრეთით აღგვემართა ოსმალთა იმპერიალიზმი, ნიადაგიც მოიპოვოს ზოგიერთ შეუგნებელ, გულუბრყვილო ჩვენ მოძმე მაჰმადიანთა შორის ასეთმა ყალბმა აგიტაციამ, რაც უფრო გაართულებს მორიგ საფრთხეს. მაგრამ ჩვენმა თანაერთხორცმა მაჰმადიანებმა უნდა შეიგნონ, რომ ბარბაროსულ ოსმალეთთან კავშირი, მათ უქადის ეროვნულ სიკვდილს, მძიმე მონობის უღელს; თავის თანამოძმე საქრისტიანო საქართველოსთან მეგობრობა, ერთსულოვნება კი სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას, ფართო თვითმართველობას, ავტონომიას.

ამას კიდევ უნდა დაუმატოთ შექმნილ მდგომარეობის გამო ადგილობრივი კომუნისტების ახმაურება, დღეს ეს გაშიშვლებული ურა სოციალისტები ამართლებენ „სტრატეგიული მოსაზრებით“ ქემალის ნაბიჯებს, რომლებიც სომხეთის საუკეთესო შვილთა სისხლით არის შეღებილი და მოუწოდებენ ფართო მასას ქემალისაკენ მიმართონ სიმპატია. კომუნისტების კავშირი ოსმალ-იმპერიალისტებთან ჩვენთვის კარგი ხანია ცხადი იყო, მაგრამ დღეს ამაში დარწმუნდებიან ის ურწმუნო თომებიც კი, რომლებსაც ამ კავშირში ეჭვი ეპარებოდათ. დღეს სომხეთის ტრაგედიამ საბოლოოდ გამოაშკარავა „კომუნისტების“ პოლიტიკური ფიზიანომია.

არის კიდევ მესამე გარემოება, რომელიც ზოგიერთების აზრით, გაართულებს ამ მორიგ საფრთხეს,—ეს ეკონომიური კრიზისია; და მართლაც დღეს ჩვენში აუტანელი ეკონომიური გაჭირვებაა, მაგრამ ამაოდ, საქართველოს დემოკრატია ყველაზე ძვირად აფასებს სისხლით მოპოვებულ ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლებას, რისთვისაც მან რაოდენიმეჯერ აწარმოა თავდამსხმელ მტერთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა და ყოველთვის ბრწყინვალედ გამოვიდა გამარჯვებული. წინა ბრძოლების დროსაც გართულებული იყო ჩვენი მდგომარეობა, ანარქიით, თუ სუსტი სახელმწიფოებრივი აპარატით, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მებრძოლთ მაინც ჯეროვან სიმაღლეზე ეჭირათ ეროვნულ-რევოლიუციონური დროშა.

ეს ნათლად დაამტკიცა დამფუძნებელი კრების 5-ნოემბრის არა ჩვეულებრივმა სხდომამ, რომელიც მოწვეული იყო მოსალოდნელ საფრთხის გამო. მიუხედავათ პარტიული სხვა და სხვაობისა კრებამ ერთხმად, ერთსულოვნად აღიარა დარაზმული, თავგანწირული, ეროვნული ბრძოლა, თუ მტერმა გაბედა ჩვენ ტერიტორიაზე ფეხის გადმოდგმა. საფრთხის დროს მთელი საქართველო ერთდება, ფეხზე დგება, ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება მუდამ.

მეორდება 1918 წლის ისტორია, როცა უთანასწორო ბრძოლაში საქართველოს დემოკრატია იძულებული იყო დაეტოვებია ბათუმი მაგრამ ეხლანდელი საქართველო მაშინდელს როდი ჰგავს...

დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება იმდენათ განმტკიცებულია, დღეს იმდენათ ძლევა მოსილია ჩვენი შეიარაღებული ძალები, რომ ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება ჩვენს გამარჯვებაში. ღრმად გვრწამს, რომ ამ მორიგ საფრთხიდანაც ადვილად დავიხსნით თავს, საჭიროა

მხოლოდ დარაზმვა, შინაური ფრონტის გამაგრება, სამზადისი, საზღვრების გამაგრება, ერთი სული და ერთი გული. ჩვენც სწორედ აქეთკენ მოუწოდებთ საქართველოს დემოკრატიას!

ამ გართულებულ პოლიტიკურ მომენტის დროს მეტი ენერგია და საქმიანობა დასჭირდება ჩვენს ერობებს და თემებს; შინაური ფრონტის გამაგრება უმეტესად მათზეა დამოკიდებული და ჩვენ სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი საერობო თვითმართველობანი ეხლაც ფხიზელ, ერთგულ დარაჯათ იქნებიან საგუშაგოზე...

დამფუძნებელი კრების მოწოდება ქართველ ხალხისადმი.

საქართველოს ხალხო!

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით მორწყულ საზღვრებს კვლავ ემუქრება თავხედი მტერი.

უსაშინელესი ტანჯვით დაუძლურებული სომხეთი დიდის ტანჯვით უწევს წინააღმდეგობას ქემალ ფაშის ბრბოებს: დაეცა ყარსი, სომხეთის საუკეთესო სიმაგრე, ოსმალებმა დაიჭირეს გუმბრი (ალექსანდროპოლი).

სომხეთის უბედურება საფრთხეს უმზადებს საქართველოს თავისუფალ არსებობას.

ჩვენი ისტორიული მტერი, რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს, არ სცნობს ჩვენ მიერ საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას — ვერ ურიგდება სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენ საზღვრებში არსებობას, ისინი მოხერხებულ დროს არჩევენ ჩენზე თავდასხმისათვის.

მოსალოდნელია, რომ სომხებზე გამარჯვებით გათამამებული ქემალ ფაშა მთელი თავისი ძალღონით ჩვენს შესამუსრავად გამოეშუროს.

ოსმალთა შიშველ-ტიტველი, დამშეული ბრბოები ოცნებობენ ჩვენი მშვიდობიანი ქალაქების გაძარცვას, ჩვენი მშრომელი სოფლებიდან სარჩო-საბადებლის გაზიდვას.

ოსმალებს ამხნევებს 1918 წლის გამარჯვების ტკბილი მოგონება — საქართველოში იმათ ბათომის დაცემის დროინდელი მოშლილი ჯარი და მოუწყობელი სახელმწიფო ეგულებათ.

მაგრამ თქვენ, საქართველოს შვილნო იცით, რომ ჩვენი ქვეყნის

დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში არა ერთი მძიმე საფრთხე უნახავს ჩვენს ხალხს, არა ერთი სასტიკი ომი გადაუხდია.

და ყოველი დაბრკოლება გმირულად გადაულახავს მას. პირნათლად გამოსულა უმძიმესი გაჭირვებიდანაც კი, თქვენ იცით, რომ მრავალ ბრძოლაში გაკაჟდა ჩვენი ქვეყნის დამცველი ჯარი და გვარდია; მრავალ განსაცდელში გამოიჭედა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე...

იმ დროს, როცა სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა დამარცხებული ძველი ოსმალეთი, განახლებული საქართველოს ძალა და სიმტკიცე იზრდებოდა დღითი დღე.

და თუ მტერი ვერ ამჩნევს ჩვენს სიმტკიცეს, ის დაინახავს ამას, როცა პირისპირ შეეტაკება ჩვენ სახელოვან მეომრებს. მაშინ მოიგონებს ის ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლას, მოიგონებს ქართველი ხალხის ისტორიულ სიმამაცეს და გაუტეხელ ვაჟკაცობას.

ქართველო ხალხო!

შენი თავისუფალი დემოკრატიული სამშობლო ისევ განსაცდელშია და შენგან არჩეული დამფუძნებელი კრება კვლავ თავდაცვისათვის მოგიწოდებს.

სამშობლო მრავალგვარ მსხვერპლს მოითხოვს.

შემოკრბი შენი დამფუძნებელი კრების და მთავრობის ირგვლივ. დაიცავით შიგნით წესიერება.

სიყვარულით და მზრუნველობით მოეპყარით ჩვენს ფრონტს.

იქონიეთ შეუდრეკელი რწმენა მტერზე გამარჯვებისა და მაშინ სახელოვანი იქნება ჩვენი ბრძოლა.

ბრწყინვალე იქნება ჩვენი გამარჯვება.

ერობა და სამომრიგებლო სასამართლო.

მომრიგებელი მოსამართლენი, როგორც ვიცით ამორჩეულნი არიან ერობათა მიერ. ზოგიერთი საერობო მოღვაწენი ფიქრობენ, რომ ამით გათავდა ყოველივე როლი ერობისა სამომრიგებლო სასამართლოს მოპყრობაში. ზოგი პირიქით თავის მოვალეობათ სთვლის ჩაერიოს სამომრიგებლო სასამართლოს მოქმედებაში. აი მაგ. რა დაუდ-

გენია ერთ ერთ ეროობის ყრილობას: „ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება ამა და ამ უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა შეუფერებელ მოქმედების შესახებ, უცხადებს მათ უნდობლობას“.

ეს რასაკვირველია უკანონო და სრულიად დაუშვებელი მოქმედება იყო ეროობის, მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ეგრეეგ დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვენ სრული გულგრილობა, რომელსაც იჩენენ ბევრი ეროობები მომრიგებელ მოსამართლეთა მუშაობის მიმართ. მეტად პასუხისაგებელ საქმეს აკეთებენ მოსამართლენი მაზრაში. რომ ჩვენ უფლება გქონდეს გვერდი აუაროთ მათ მოღვაწეობას და ჩვენი მოვალეობაა, რასაკვირველია **კანონიერების ფარგალში,** მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ამისთანა დიდ მნიშვნელოვანი საქმე მათ გააკეთონ რამდენადაც შესაძლებელია ნაყოფიერად. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ მოსამართლემ სწორედ გადასჭრას დავა, ვაარჩიოს დამნაშავე უდანაშაულოსაგან. განა საექიმო დარგში ეროობის მიზანია მარტო ის, რომ მისი ექიმები სწორ დიაგნოზს სვამდენ და რაციონალურად სწამლობდენ ხალხს? როგორც ამის გარდა საჭიროა კიდევ რომ ავადმყოფებმა ადვილათ მიიღონ საექიმო დახმარება, აგრეთვე საჭიროა, **რომ მომჩივნებმა ადვილ პირობებში მიიღონ სამართალის დახმარება.**

ამ პირობების გაადვილებაში ეროობებს შეუძლიანთ შეიტანონ თავიანთი წვლილი და ამასთან დიდიც და ამას მათ აუცილებლათ უნდა მიაქციონ თავისი ყურადღება. ამ წერილის მიზანია გამოარკვიოს, რისი გაკეთება შეუძლიანთ ეროობებს ამ სფეროში.

1. სამომრიგებლო სასამართლოს დაახლოვება ხალხზე.

ჩვენში ეროობათა მიერ არჩეული მომრიგებელი მოსამართლეების შემოღებასთან ერთად, **მოისპო სოფლის სასამართლო.** ამით ჩვენ დავადექით ევროპიულ გზას. სოფლის სასამართლოების უვარგისობა მეტად ცნობილი იყო თვით სოფლის ხალხშიც, რომ ამ მოსპობას ვინმე დაეღონებია. მაგრამ სოფლის სასამართლოს ჰქონდა ერთი დიდი პლიუსი სოფლელთა თვალში—ეს **მისი სიახლოვე ხალხთან.** სოფლის მსაჯულნი ყოველ სოფლის საზოგადოებაში იყვნენ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ სოფლელებს ათასი **წვრილი** სადავო საქმეები აქვთ: მეზობელმა ღობე დაუშალა, ქათამი ან ღორი მოუკლა, ვინმემ საქონელი შეუშვა და ცოტა ყანა წაუხდინა და სხვა. ამისთანა საქმეების მოსაგვარებლათ გლეხი შორს ვერ წავა და ამის გარდა ის

შეჩვეულიც არის, რომ ამისთანა წვრილი საქმეები იქვე ადგილობრივად გაურჩიონ მას და იქვე დააკმაყოფილონ. მომჩივანიც რომ წავიდეს შორს მდებარე სასამართლოში, მოწმები არ მიჰყვებიან მას, აყვედრიან ზედმეტ შეწუხებას. შორს წასვლა, შორს მოწმეების წაყვანა ითხოვს დროს დაკარგვას, რაც გლეხის თვალში ხარჯი არის, და ისე ხარჯსაც. ფეხის ქირის გარდა პურის ჭამაზედაც მეტი ეხარჯება, რადგან სახლში ყველაფერი თავისი აქვს, და თუ შორს მიდის სამართლის მისაღებათ, იქ იძულებულია დუქანში ჭამოს პური.

ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და სოხუმის ოლქში ითვლება 438 [1]) სოფლის საზოგადოება: ამავე ტერიტორიაზე, ქალაქებთან ერთად დაწესებულია სულ 131 უბნის მომრიგებელი მოსამართლე,[2]) ქალაქის მოსამართლენი შეადგენენ ამათში 33, მაზრებზე რჩება—98 მომრიგებელი მოსამართლე; მაშასადამე 438 სოფლის საზოგადოება, მოუწევს 98 მომრიგებელი მოსამართლე, ე. ი. 1 მოსამართლეს ჩაბარებული აქვს 4-5 სოფლის საზოგადოება. წინათ კი ყოველ ამისთანა სოფლის საზოგადოებაში თავისი სოფლის სამართალი იყო მოწყობილი. მომრიგებელი მოსამართლე 4-საზოგადოებიდან ერთ ერთში მოაწყობს კამერას, დანარჩენი 3-სოფლის საზოგადოების მცხოვრებნი მოკლებულნი რჩებიან „თავის“ ე. ი. სოფლის საზოგადოებაში მოწყობილ სასამართლოს და იძულებული არიან გადავიდნენ სამართლის მისაღებათ მეორე საზოგადოებაში. ამრიგათ არა ნაკლები სამი მეოთხედი ყველა სოფლის საზოგადოებისა ე. ი. დიდი უმეტესობა სამი მეოთხედი სოფლის ხალხისა მოკლებულია თავის საზოგადოებაში მოწყობილ სასამართლოს და კარგავს ბევრ დროს და ბევრ ზედმეტ ხარჯს, რომ სამართალი მიიღოს.

გლეხის თვალში ეს სიშორე სასამართლოსი, მაშინ როცა უმეტესი ნაწილი მისი სასამართლო საქმეებისა სწორედ ზემოხსენებულ წვრილ საქმეებისგან შესდგება, იმისთანა მინუსია, რომ მიუხედავათ ახალი სასამართლოს მოსპობილზე უპირატესობათა შეგნების, ის ბევრ ალაგას ვერ ურიგდება ამ ახალ სასამართლოს. არ სდიოს ამ წვრილ საქმეებს გლეხს არ შეუძლიან, რადგან იმან იცის, რომ თუ რაიმე ზომები არ მიიღო, მაშინ ის დაიტანჯება, მას დაიბრიყვებენ; მისი მყუდროება ირღვევა ამისთანა წვრილ წვრილი „თავდასხმით“ მეზობლებისაგან. სოფ-

[1]) კანონი № 31—1918 წ. სასოფლო მილიციის შესახებ.

[2]) კანონები № 66—1918 წ. და № 90—1920 წ.

ლის მეურნეობა კი საზარალოა, თუ არ არის დაცული მისი ნაშრომი. სდიოს და, როგორც ვთქვით, ეს დიდ ხარჯებს ითხოვს.

და აი ის ეძებს გამოსავალს, რომელსაც პოვებს მასში, რომ აღადგინოს ამ წვრილ საქმეების გასარჩევად ადგილობრივი სასამართლო რაიმე სახით.

ზოგან არალეგალურად მოქმედებენ სოფლის „სუდიები“ და მომრიგებელნი მოსამართლენი. კანონის ძალით ატყობინებენ პროკურორს სასამართლოს ფუნქციების მითვისების შესახებ კერძო პირთა მიერ, ზოგან სოფლელნი სასამართლო საქმით მიმართავენ სოფლის კომისარს, რომელიც ძველებურად მამასახლისურად თვითონვე სჭრის, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, და თითონვე ასრულებს თავის განაჩენს; ბევრ ალაგას გლეხთა დაჟინების მოთხოვნილების გამო თემს აუღია თავის თავზე სამართლის მიცემა ხსენებულ წვრილ საქმეებზე. დუშეთის მაზრის ერთერთი თემი მაგ. უმთავრესად ამისთანა საქმეებით არის დატვირთული. მათ აქვთ სპეციალური წიგნი საჩივრებისა, საცა მდივანს შეაქვს საჩივარი, რომელსაც აცხადებს მომჩივანი, მერე კვირა დღისათვის თემი უწყებით იბარებს დაინტერესებულ მხარეებს და მათ მოწმეებს და საქმის გარჩევის მერე თემის გამგეობა ან მარტო თავმჯდომარე სწყვეტს საქმეს, განაჩენს სწერავენ ხსენებულ წიგნში და ასლს უგზავნიან სოფლის კომისარს ასასრულებლათ. სიღნაღის მაზრის ერთ ერთ თემში სოფლელები თემის გამგეობის წევრებს მოსამართლეებს ეძახიან.

აშკარაა, **რომ ჩვენ წინ არის ნიშნები დრო მოჭმულ სოფლის სასამართლოს ფაქტიურად აღდგენისა**, ერთხელ არჩეულ ევროპიულ გზიდან გადახვევა რუსულ-აზიურ გზისაკენ.

საჭიროა ამ მოვლენასთან სასტიკი ბრძოლა, ეს უდავოა. როგორ? **—მომრიგებელი მოსამართლის ხალხთან დაახლოვებით.**

კანონი ამბობს [1]), რომ საჭირო შემთხვევებში მომრიგებელი მოსამართლე არჩევს საქმეებს იმ სოფლის საზოგადოებებში, საცა საქმე წარმოიშვა. მომრიგებელ მოსამართლეებმა იციან ეს. კანონი და მოსურნენიც არიან ადგილობრივ გაარჩიონ საქმეები. მაგრამ ამაში მათ უშლით საშუალებათა უქონლობა, რომ მივიდეს ადგილობრივ და დარჩეს იქ ერთი ან ორი დღე. თავის ღბნის ფარგალში სამოგზაუროთ მომრიგებელი მოსამართლე იღებს თვეში 500 მან. აშკარაა, რომ დღე-

[1]) სასამართლო დაწესებულებათა დებულების 41-1 მ.

ვანდელ პირობებში ამ თანხით 2 დღეც ვერ იმოგზაურებს. ამნაირათ საჭიროა მომრიგებელ მოსამართლეთათვის გადასაზიდ საშუალებათა მიცემა. მერე თუ მოსამართლე მოსცილდება თავის მუდმივ ბინას და მოვა რომელიმე სოფელში საქმის გასარჩევად ეს მოითხოვს მისგან ზედმეტ ხარჯის გაწევას როგორც ბინაზე, აგრეთვე ჭამა-სმაზე. საჭიროა დღიურის დაწესება.

აი მაგ. რა დაადგინა ტფილისის მაზრის ოლქის (აქ შედის დუშეთის და ბორჩალოს მაზრებიც) მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობამ ამ საკითხზე:[1]) ყრილობა სასურველათ სცნობს საქმეები ადგილობრივათ გაირჩეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერობა დაეხმაროს საჭროებისამებრ მომრიგებელ მოსამართლეთ და ხაზინიდან მიეცეს მომრიგებელ მოსამართლეს და ერთ ერთ მის მოხელეს დღიური თანახმად 1920 წ. თებერვლის 13 კანონის (დღეში $^{1}/_{30}$ ჯამაგირისა).

თუ საქმეების გარჩევა ადგილობრივათ მოეწყო, მაშინ იმის მაგივრათ, რომ, როგორც ეხლა არის მცხოვრებლების $^{3}/_{4}$-მა იაროს სხვა შორეულ სოფელში სამართალის მისაღებათ, თითონ მომრიგებელი მოსამართლენი მივლენ მათთან და ამით ჩამოაცილებენ გლეხს ბევრ ათას და ათი ათასს წვალებას და ხარჯს.

მომრიგებელ მოსამართლისათვის ცხენის ან ეტლის მიცემა რაიონში სასიარულოთ და მისთვის დღიურის დანიშვნა ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ეს ხარჯი **ათასჯერ ნაკლები იქნება** იმ ხარჯზე, რომელსაც ეხლა ეწევა ხალხი, რომ შორს წავიდეს მოსამათლესთან თავის ინტერესის დასაცავად. **სჯობია ამ დღიურების და სამოგზაურო ხარჯების ასანაზღაურებლათ სასამართლო ბაჟების** გადიდება, მინამ სასამართლოს მოშორება ხალხისაგან.

იქნება დაუშვებელია, რომ მოსამართლე დროგამოშვებით წავიდეს თავის მუდმივ პუნქტიდან რაიონში, ხომ არ გამოიწვევს ეს არევ-დარევას მის საქმიანობაში?—არა, რადგან მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია წინ და წინ განსაზღვროს ის პუნქტები, საცა ის მივა პერიოდულათ და ის დრო, როცა მივა და შეატყობინებს ამის შესახებ ხალხს. ამ შემთხვევაში ყველას ეცოდინება, თუ როდის და სად იქნება მოჭრიგებელი მოსამართლე და ამისდაგვარად მოიქცევა. ვინ უნდა გასწიოს ამ მოგზაურობის ხარჯები?—ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგან მთელი შემო-

[1]) სხდომის ჟურნალი 14—16 აპრილის 1920 წ. მ. 14.

სავალი სასამართლო ბაჟებიდან ხაზინაში შედის, ეს ხაზინის მოვალეობას უნდა შეადგენდეს და ერობებმა უნდა მიმართონ ამის შესახებ ერობათა კავშირის საშუალებით მთავრობას. მთავრობის როგორც ზევით ვსთქვით შეუძლიან დაფაროს ეს ხარჯი სასამართლო ბაჟების აწევით, მხოლოდ ჩვენ მიზან შეუწონლათ მიგვაჩნია დაცდა მინამ მთავრობა იკისრებს ამ ხარჯებს. ეს შეიძლება ბევრ ხანს გაგრძელდეს, მომრიგებელ, მოსამართლის დაახლოვება ხალათან კი საჩქარო საქმე არის. ეს საეღლეისო საკითხია თუ ჩვენ საჭიროდ ვსთვლით რასაკვირველია, რომ გლეხის შრომა და მისი პიროვნება დაცული იყვეს რესპუბლიკის კანონებით და არა მუშტის ძალით. ჩვენ კიდევ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მომრიგებელი მოსამართლე და მაშასადამე კანონი ვერას დროს ვერ დაიჭერს სათანადო ადგილს სოფელში, სანამ ის დაშორებულია ხალხზე.

ჩვენ უფრო მიზანშეწონილათ მიგვაჩნია, რომ საჭირო ხარჯები დღეს დღეობით ერობებმა გაიღონ თვითონ ან ფემების მონაწილეობით და მერე მოსთხოვონ მთავრობას გაწეული ხარჯების ანაზღაურება ან არა და საბიუჯეტო უფლებების განხილვის დროს სამოსამართლო ბაჟებიდან ნაწილის მიცემა, როგორც ეს ერთდროს (1912 წლამდე) იყო.

სამომრიგებლოს სასამართლოს ხალხთან დასაახლოვებლათ საჭიროა აგრეთვე, **რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის სხდომებიც რამდენადაც შეიძლება ადგილობრივ ხდებოდეს**. ეხლა ჩვეულებრივ ეს სხდომები შესდგება ბოლმე სამაზრო ქალაქში.

ერთი მხრივ იმისთვის რომ ავაცილოთ სოფლის ხალხს სამაზრო ქალაქში წასვლა და მასთან დაკავშირებული ხარჯები, მეორეს მხრივ, რომ მან დაინახოს და გაეცნოს სამომრიგებლო სასამართლოს მეორე ინსტანციას და მის მუშაობას, საჭიროა, რომ მოსამართლეთა ყრილობის სესიები ხდებოდეს სამაზრო ქალაქის გარდა მაზრის სხვა მნიშვნელოვან პუნქტებშიც.

ადგილობრივ მისვლა კოლეგიალური სასამართლოსი ერთნაირი დემონსტრაციაა სასამართლოს არსებობის, რასაც ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს კანონიერების შეგნებაში. თანახმად სამომრიგებლო სასამართლოს შესახებ არსებულ კანონების[1]) მოსამართლეთა ყრილობის ჩვეულებრივ (წინ და წინ განსაზღვრულ ვადებში დანიშ-

[1]) სასამართლო დაწესებულებათა დებულების 52 და 54 მ. მ.

ნულ) სხდომების დროს და ადგილს ნიშნავს სამაზრო ერობის ყრილობა. განსაკუთრებულ სხდომებისას კი მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე.

ამრიგად თვით კანონი ავალებს ერობას, რომ მან დანიშნოს დრო და ადგილი მოსამართლეთა ყრილობის სხდომების. ვეჭვობთ, რომ რომელიმე ერობას მიეღოს მონაწილეობა ამ საქმეში. ეს კი საჭიროა. ერობას შეუძლია ამ კანონის ძალით დაადგინოს, რომ მოსამართლეთა ყრილობის სხდომები ხდებოდეს მაზრის მნიშვნელოვან პუნქტებში და ამით დაუახლოვოს მოსამართლეთა ყრილობა ხალხს.

აქაც ისმება საკითხი გადასაზიდ საშუალებების და დღიურის შესახებ, რაც ისევე უნდა გადასწყდეს, როგორც ზევით ვსთქვით. **როგორ მოიქცეს დაბოლოს პრაქტიკულად ერობა სამომრიგებლო სამართლის ხალხთან დაახლოვების საკითხში!**—საჭიროა, რომ ეხლავე ყოველივე ერობის გამგეობამ დასვას ეს საკითხი თავის მუშაობის დღიურ წესრიგში, მოელაპარაკოს მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს, თუ რომელ პუნქტებში და როდის მოხდეს ხოლმე მომრიგებელ მოსამართლის ან მოსამართლეთა ყრილობის სხდომები, გამოარკვიოს რა თანხა დასჭირდება დღიურებზე და გადასაზიდ საშუალებებზე. მოსთხოვოს ეს თანხა უახლოეს ხმოსანთა ყრილობას და აღძრას შთავრობის წინაშე ეროკავშირის საშუალებით შუამდგომლობა სათანადო თანხის გაღების ამ საქმეზე ან გაწეულ ხარჯის ანაზღაურების.

თუ ერობა, როგორც ჩვენ ვიძლევით წინადადებას, მისცემს, მომრიგებელ მოსამართლეთ სამოგზაუროთ თანხა, აქვს თუ არა მას უფლება ყურადღება დაიჭიროს, რომ ეს თანხები დანიშნულებისამებრ დახარჯონ?—დიახ ამისთანა უფლება ეკუთვნის ერობებს, თანახმათ სასამართლო დაწესებულებათა დებულების 75¹ მ. ერობას ენიჭება უფლება დააწესოს კონტროლი თავის შეხედულობით იმ თანხების ხარჯვაზე, რომელსაც იგი აძლევს მოსამართლეთ.

3. წვრილ აღმასრულებელ ფურცლების სისრულეში მოყვანა ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით.

თუ მომჩივანმა მოიგო საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან, ამით სამწუხაროთ საქმე არ თავდება. ფაქტიური დაკმაყოფილების მისაღებათ (ფულის გამოსართმევათ, მამულის ჩასაბარებლათ და სხვა) საჭიროა მოსამართლის დადგენილების სისრულეში მოყვანა. მოსამართლე

როგორც ვიცით განაჩენის მერე მისცმს მომჩივანს აღმასრულებელ ფურცელს ზედ წარწერით, თუ ვინ უნდა აასრულოს ის განაჩენი და ამის მერე დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს კიდევ მეორე ძალას-აღმასრულებელს.

ვის სახელდობრ?—სამოსამართლო ბოქაულს ან სოფლის ადმინისტრაციას ან ადგილობრივ მილიციას იმისდა მიხედვით თუ ვის დაავალებს განაჩენის ასრულებას მომრიგებელი მოსამართლე. მოსამართლემ კი უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი **მიზანშეწონილების თვალსაზრისით** [1]).

რადგან მოსამართლეები სამართლიანათ ეჭვობენ, რომ ადგილობრივი სოფლის ადმინისტრაცია და მილიცია არც იცნობს წესებს განაჩენების სისრულეში მოყვანის შესახებ და ვერც პირნათლად შეასრულებს ამას, რადგან სოფლის მილიციაში და ადმინისტრაციაში ბევრგან ჯერ კიდევ სცოცხლობენ ძველი პოლიციის და მამასახლისების ტრადიციები,—ამიტომ მოსამართლენი არჩევენ მიანდონ განჩინების ასრულება სამოსამართლო ბოქაულებს. უკანასკნელები კი დაშორებულნი არიან ხალხზე ისევე, როგორც მომრიგებელი მოსამართლენი და უფრო მეტადაც. მომრიგებელ მოსამართლესთან ერთი ბოქაულია შტატით, მაგრამ რადგან მათ შედარებით ცოტა საქმეები აქვთ (რადგან ბევრ შემთხვევაში გლეხები განაჩენის მერე თვითონ ძალდაუტანებლივ ასრულებენ მას), ამიტომ ფაქტიურათ ყოველ მოსამართლეს არა ჰყავს ბოქაული და მის მოვალეობას ასრულებს მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული, რომელიც დროგამოშვებით მოდის ხან ერთ ხან მეორე მოსამართლესთან, საცა განსაკუთრებული ბოქაული არ არის. ამ პირობებში დაინტერესებულ სოფლელთა დიდ ნაწილს უხდება აქაც შორს წასვლა ბოქაულის სანახავად (რაც როგორც ვიცით ზედმეტ ხარჯებს თხოულობს) და მისი შორიდან მოყვანა იმ სოფელში, საცა განჩინება უნდა ასრულდეს, რაც თხოულობს კიდევ ახალ ზედმეტ ხარჯს, რადგან ბოქაულს უნდა მიეცეს სამოგზაურო და დღიური. მართალია ნაწილი ამ ხარჯებისა მტყუან მხარეს დაეკისრება, მაგრამ ნაწილი ხარჯებისა აუნაზღაურებელი რჩება, გამართლებულ მხარესთვის.

რომ ეს ზედმეტი ხარჯები აიცილონ სოფლელები ბევრს შემთხვე-

[1]) სამოქალ. წარმოების წესდების 158, 1474, 1475 მ.მ. და სასამართლო დებულებათა წესდების 63 მ. და სენატის საზოგადო კრების განჩინება. 1872 წ. № 13.

ვაში სთხოვენ მომრიგებელ მოსამართლეს, რათა ასრულება დაეკვალოს სოფლის ადმინისტრაციას.

წინათ ხომ სოფლის სამართლის გადაწყვეტილებას სოფლის ადმინისტრაცია ასრულებდა. ერობას აქაც შეუძლიან დაეხმაროს ხალხს. თუ ერობა შეასწავლის სოფლის ადმინისტრაციას აღმასრულებელ ფურცლების ასრულების კანონიერ წესებს, მაშინ მოსამართლეთ შეუძლიანთ თავისუფლათ წვრილი განაჩენების ასრულება (წანახედზე და სხვა ამისთანა) მიანდოს სოფლის ადმინისტრაციას თავის კონტროლის ქვეშ. კანონით ამ ფუნქციების ასრულების დროს მილიცია და ადმინისტრაცია ექვემდებარება მოსამართლეს—სამოქ. წარმ. წესდების 158 მ. ეს უფრო შეღავათიანი იქნება ხალხისათვისაც, რადგან ადგილობრივ ადმინისტრაციას **სამოგზაურო ხარჯებს** არ მისცემს და ადმინისტრაციასაც, რომელიც კანონიერ ჯილდოს მიიღებს. აქაც საჭიროა მოლაპარაკება ერობის გამგეობის მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარესთან. ერობას შეუძლიან დაეხმაროს მოსამართლენი, რასაკვირველია განსაზღვრულ ჯილდოს მიცემით, რათა მათ აუხსნან სოფლის ადმინისტრაციას წესები განჩინების სისრულეში მოყვანის. ამისთანა ერთნაირი აღზრდა სოფლის ადმინისტრაციის აუცილებელი წინასწარი პირობაა მისთვის სასამართლო განჩინებების სისრულეში მოყვანის დაკისრებისა. წინაღმდეგ შემთხვევაში ბევრ უკანონობას და ბოროტმოქმედებას ექნება ადგილი.

3. სიტყვიერი თხოვნების მიღება მოსამართლის მიერ.

სასამართლოს შესახებ არსებულ წესებში ერთ სოფლელთათვის ფრიად საყურადღებო კანონია[1]) ეს ის, რომ მოჰმჩივანი არ არის ვალდებული აუცილებლათ წერილობითი საჩივარი შეიტანოს ჰომრიგებელ მოსამართლესთან, არამედ შეუძლიან უბრალოთ მივიდეს და სიტყვიერათ განაცხადოს თავისი საჩივარი, მოსამართლე კი ვალდებულია ამ შემთხვევაში თითონ გამოხატოს წერილობითი ფორმაში (ოქმი!) ეს განცხადება. დიდმა ნაწილმა ჩვენი გლეხებისა, როგორც ვიცით, ან სულ არ იცის წერა (აღმოსავლეთ საქართველოში) ან მარტო ხელის მოწერა იცის და ყოველ შემთხვევაში არ შეუძლიან თითონ შეადგინოს და დასწეროს თავისი საჩივარი. ყველა ამათ შეუძლიან ისარგებლონ ხსენებულ შეღავათიან კანონით, ე. ი. მიმართონ მოსამართლეს სიტყვიე-

[1]) სამოქალ. წარმ. წესდების 51 და 52 მ.მ.

რი განცხადებით. მე მახსოვს მოსკოვში (1911 წელს), როცა ძიხვიდოდი დილით მომრიგებელ მოსამართლესთან, იქ მთელი რიგი იდგა მთხოვნელთაგან, რომელნიც უცხადებდენ სიტყვიერათ მოსამართლეს თავის საჩივარს და მოსამართლეც სწერავდა მათ და ზოგიერთებს ვინც დაწერილ საჩივარს მოუტანდა კიდეც უსაყვედურებდა, რათ დახარჯეთ მწერალზე ფულიო, მე ხომ უფასოთ დაგიწერდიო. ხანდისხან კიდეც დახვევდა ამისთანა თხოვნას და თითონ შეადგენდა ახალს.

ჩვენში როგორლაც სიტყვიერი განცხადებანი არ ხეირობენ. ის უსწავლელი მასსა, რომელთათვისაც დაწესებულია ხსენებული შეღავათიანი კანონი, მიდის სოფლის აბლაკატებთან, იხდის დაწერვაში 100,500 და 1000 მან. და მოსამართლესთან მიაქვს წერილობითი საჩივარი.

საჭიროა ეს ზედმეტი ხარჯი მოშორდეს ხალხს. ერთ ერთი მიზეზი, რომ სიტყვიერი განცხადებანი არ შეაქვთ, ჩვენ ვფიქრობთ იმაში მდგომარეობს, რომ **გლეხმა არ იცის, რომ ეს მისი უფლება არის** და მოსამართლის კი მოვალეობა. ერობამ ფართოდ უნდა გააცნოს გლეხებს (ყრილობებზე გამოცხადებით, სოფლებში განცხადებების გამოკვრით), რომ საჭირო არ არის წერილობითი თხოვნების შეტანა, არამედ საკმაოა სიტყვიერად თავის საჩივრის განცხადება. უფრო კარგია, რომ ყოველ თემის კანცელარიაში მდივანს დაევალოს, უფასოდ რასაკვირველია, თხოვნების დაწერა. რომ მდივნებმა ეს შესძლონ და შეცდომები არ დაუშვან კარგი იყო, რომ მათ ამის შესახებ მიეღოთ ერთგვარი დარიგება ზოგიერთ კანონების გაცნობასთან ერთად ერობის ვამგეობის იურისტისგან (თუ ასეთი ჰყავით) ან მოსამართლეთაგან, რაშიაც აგრეთვე შეუძლიან ერობას ისინი დაიხმაროს.

4. საერთო დახმარება და ყურადღება.

სამწუხაროდ ზოგიერთი ერობა აქამდე ვერ გაიმსჭვალა შეგნებით, რომ მომრიგებელი მოსამართლენი აკეთებენ იმისთანავე საჭირო და საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც ექიმები, მასწავლებლები და საზოგადოთ საერობო მოღვაწენი. მათ ძველებურად უყურებენ, როგორც „ჩინოვნიკებს“, „ფორმალისტებს“ (ავიწყდებათ, რომ ამისთანავე ფორმალისტია ექიმი, რომელიც აპერეციის წინ ნახევარი საათი იბანს ხელებს) და სხვა ამისთანებს. ეს არის მემკვიდრეობა იმ ხანისა, როცა სამართალი იცავდა ჩვენ წინაამღდეგ მტრულად მოწყობილ კანონებს. ეხლა კი უნდა გვახსოვდეს, რომ მომრიგებელი მოსამართლენი ადგი-

ლობრივ იცავენ ჩვენი რესპუალიკის კანონებს, ე, ი. მთელი საქართველოს ხალხის ნებისყოფას—და თავის მოქმედებით უნერგავენ ხალხს კანონების და სამართლიანობის გრძნობას. ამიტომ ერობა ისევე უნდა დაეხმაროს როგორიც მატერიალურად (ჯამაგირის დამატება, სურსათით უზრუნველყოფა) ისე მორალურად, მომრიგებელ მოსამართლეებს, როგორც ექიმებს და მასწავლებლებს. ხალხში არის მოთხოვნილება ამა თუ იმ ფორმით მიიღოს მონაწილეობა მართლ-მსაჯულების აღსრულებაში. სისხლის სამართალში არიან ამიტომ ნაფიცი მსაჯულნი. კერენსკის კანონით ევროპიულ რუსეთში სამოქალაქო საქმეებშიც სამომრიგებლო სამართალში იყო შემოღებული ხალხის მონაწილეობა: მომრიგებელ მოსამართლეს ყოველი საქმე უნდა გაერჩია 2 ხალხის წარმომადგენელთ ერთად.

სამომრიგებლო ინსტიტუტში ჩვენცა გვყავს არა პროფეისონალისტი მოსამართლეები, საზოგადოების წარმომადგენლები. ესენი არიან **საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი.**

უბნის მომრიგებელი მოსამართლენი არჩეულნი არიან ერობისაგან. უკვე ეს არის გარანტია, რომ მოსამართლეებს მუდამ ექნებათ კავშირი ცოცხალ ცხოვრებასთან, და არა მარტო მშრალ კანონებთან. საპატიო მოსამართლეებს შეუძლიანთ შეიტანონ მოსამართლეთა მოქმედებაში კიდევ უფრო მეტი ელემენტი ამ ცოცხალი ცხოვრებისა. პრაქტიკულათ საპატიო მოსამართლეთა როლი 2 საქმეში გამოიხატება ხოლმე: ისინი იღებენ მონაწილეობას 1) მოსამართლეთა ყრილობის სესიებში სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების გარჩევის დროს და 2) მოსამართლეთა საზოგადო კრებაში სხვა და სხვა ორგანიზაციულ კითხვების გადაწყვეტათ. აი ამ **საზოგადო კრებაზე** მათ შეუძლიათ მიუთითონ როგორ უნდა სრულდებოდეს მართლ-მსაჯულება, რომ ხალხისათვის სამართლის მიღება რაც შეიძლება გაადვილებული იყვეს. ამასთან მოსამართლეთა ყრილობა პირდაპირი მეთვალყურეა [1]) მოსამართლეთა მოქმედებისა და ამ პუნქტიდან და ამ საშუალებით (და არა საერობო ყრილობაზე—უნდობლობის რეზოლიუციების გამოტანით) საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიანთ კანონიერათ თვითონ თვალყური ადევნონ არჩეულ მსაჯულთა მოქმედებას. **საჭიროა საპატიო მოსამართლეებათ საერობო მოლვაწეების არჩევა და დავალება მათი, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეთა ყრილობის ყოველ შემთხვევაში საზოგადო კრების მუშაობაში.**

ლ. ასათიანი.

---

[1]) სასამართლო დაწესებულებათა დებულება მ. 64.

თემის მნიშვნელობა—დანიშნულებაზე.

I.

საიდან მოგვევლინა თემი?

თებერვლის დიდ რევოლიუციამდე ხალხის ადგილობრივ საქმეებს ჩვენში განაგებდნენ ზევიდან დანიშნული ჩინოვნიკები, რომელთა მთავარ მიზნათ იყო დასახული მეფის თვითმპყრობელობის განმტკიცება ხალხში. ხალხი და მთავრობა სულ სხვა და სხვა ცნება იყო. კიდევ მეტი, ხალხი მთავრობის მტრათ იყო გამოცხადებული და მათ საქმეებზე მთავრობა და მისი მოხელეები იმდენათ ზრუნავდენ, რამდენათაც ეს საჭირო იყო თვით მეფის ინტერესებისათვის. მთელი მართვა გამგეობის ძალა-უფლება ჩაგდებული ჰქონდა ხელში ერთ მუჭა თავად-აზნაურობას, მსხვილ მემამულეთა და კაპიტალისტებს, რომელნიც მთელი ხალხის 5% საც კი არ შეადგენდენ. უპირველესი მემამულე კაპიტალისტი და ბრწყინვალე წოდების ვარსკვლავი იყო გვარეულობით სამეფო ტახტზე მირონხცებული მეფე ნიკოლოზი და მისი წინაპრები. ის სწერდა კანონებს და იგივე ნიშნავდა მინისტრებს, გუბერნატორებს და მაზრის უფროსებს, რომელთაც ავალებდა ამ კანონებით ქვეყნის მართვა-გამგეობას. რადგანაც ქვეყნის მყვლეფელი ბრწყინვალე წოდების პირველი წარმომადგენელი იყო თვით მეფე კანონმდებელი, ამიტომ ცხადია კანონებსაც ის სცემდა ისეთს, რომელიც იცავდა აი ამ ხალხის მყვლეფელ მუქთა-ხორათა ინტერესებს, წინააღმდეგ მთელი ხალხის ინტერესებისა. საუკუნოებით განმტკიცდა ასეთი წესი რუსეთის იმპერიაში და იქიდან ჩვენში, როგორც ერთ განაპირა კუთხეში. საქართველოს რუსეთი უცქეროდა როგორც დაპყრობილ ქვეყანას და ამიტომ თვითმპყრობელობის ულელი გაცილებით უფრო მძიმე იყო ჩვენში. აქ დაპირდაპირებული იყო ერთი მეორესთან არა მარტო ხალხი და მთავრობა არამედ ერები. ყველა თავის სამშობლო რუსეთში დაწუნებული მოხელე პოულობდა ჩვენში თავშესაფარს მოხელის თანამდებობაზე. გარყვნილ, მემთვრალე რუს „გაროდოვოის“ და „სტრაჟნიკს“ მეფეთ მოჰქონდა თავი ჩვენში. გაბატონებული ერის შვილს სულიერი ყოყოჩობა ისე მაგრათ ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ დარწმუნებული იყო თვით რუსის სისხლი ანიჭებდა მას ქართველობაზე ბატონობის უფლებას. ამიტომ, სადაც სამსახურში იყო რუსი, ის ,,გოროდოვოიც“ რომ ყოფილიყო, ქართველ მაზრის უფროსსაც აკანკალებდა მისი შიშით. დიდი მორიდებით ეპყრობოდა. ეშინოდა: არ ჩამთვალოს უიმედო მოხელეთ, არ დამასმინოს რუსეთის თვითმპყრობელობასო... ამიტომ იყო, რომ ჩვენში ქართველი მოხელეები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ სიმკაცრეში და ხალხის დამონების საქმეში ერთნაირი დოლი ჰქონდათ გამართული. იყვნენ ჩვენში მამასახლისე-

ბი, რომლებსაც ხალხი ირჩევდა, მაგრამ მათი სამსახურში დამტკიცება და დათხოვნა მთავრობის ხელთ იყო და ამიტომ ეს მამასახლისებიც მაზრის უფროსების და ბოქაულების მონა-მორჩილ მოხელეთ ხდებოდნენ, სხვა გზა არ ქონდათ. ხალხისკენ ეს მოხელეები მაშინ მოიხედავდნენ, როცა მეფის რეჟიმის საბედისწერო წუთები დადგებოდა, როცა ამ რეჟიმის გადასარჩენათ საჭირო ხდებოდა ხალხი. ასეთი დრო მათ უდგებოდა ომიანობის ხანაში. ომი განსაკუთრებულ საჭიროებას იწვევდა ჯარისა და გადასახადის ზრდაში და რომ ხალხს უმტკივნეულოთ გაეშვა ბრძოლის ველზე თავისი შვილები და გაეღო ხაზინის სასარგებლოთ ფულები, ამისათვის საჭირო იყო ცოტაოდნათ მაინც მისი ყურადღების დამსახურება. ამ დროს მოიგონებდნენ ხალხს და შესთავაზებდნე მას ზოგიერთ კუდშეკვეცილ უფლებებს რეფორმების სახით.

რომ გადაავლოთ თვალი ერობის შემოღების ისტორიას რუსეთში და თვითმართველობების სხვა ქვეყნებში თქვენ დარწმუნდებით, რომ მათ შემოღებას ყოველთვის წინ უსწრებდა ომი, აჯანყება, რევოლიუცია. მოვიყვანოთ მაგალითი ახლო წარსულიდან. იაპონიასთან ომმა აიძულა მთავრობა 1904 წ. 12 დეკემბერს გამოეცა ბრძანება საქალაქო და სასოფლო თვითმმართველობათა უფლების გაფართოების შესახებ. მაშინ კავკასიასაც მიეცა უფლება გამოეთქვა თავისი აზრი ამ საგანზე. მოიგონეთ 1905 წლის მიტინგები და ერობაზე მსჯელობა. ბევრი საგულისხმო აზრი დამუშავდა იმ ხანათ, მაგრამ ყოველივე ეს წარეცხა 1905 წ. სასტიკმა რეაქციამ და ერობაზე ფიქრიც კი ჯოჯოხეთისკენ გაისტუმრა. 1914 წ. იფეთქა მსოფლიო ომმა, მაშინ ორკეცათ დარჩა საჭირო ხალხის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. ვორონცოვ-დაშკოვი, როგორც წინდახედული მმართველი მიხვდა ამ აუცილებლობას და მისი შუამდგომლობით 1915 წ., გამოცემულ იქნა სასოფლო კანონი. ამ კანონის ძალით ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, მეურნეობაზე, მოღვაწეობა სავალდებულოთ იყო აღიარებული და ამაში მდგომარეობდა უმთავრესათ მისი პროგრესიული მნიშვნელობა. ვერც ეს კანონი გატარდა ცხოვრებაში, მას მოუსწრო 1917 წლის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც გაანთავისუფლა ჩვენი ერი რუსეთის მონობისაგან, მოგვანიჭა დამოუკიდებელი სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკის სახით და დაუდვა მას საძირკვლათ ჩვენი დღევანდელი თემი.

II

რა არის თემი?

პირველი ძირითადი ერთეული, რომელშიაც ხალხი შეკავშირებულია ერთ მთლიან ოჯახათ თავის საკუთარი საქმის თვითმართველობაში არის სოფლად თემი, ქალაქებში კი ქალაქის თვითმართველობა.

თემი არის ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებთა მიერ პირდაპირ არჩეული ორგანიზაცია, რომელიც ყველა სხვა თვითმმართველ ერთეულზე უფრო ახლო სდგას ხალხთან. თემში დარაზმულია ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა თითქმის სამი მეოთხედი.

თემის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან მოაწყოს თავისი ამრჩეველი ხალხის სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ისე, რომ სავსებით დაცული და უზრუნველყოფილი იქნას ამრჩეველთა ინტერესები. ამ დანიშნულების განსახორციელებლად მას აქვს მინიჭებული საჯარო უფლება. ე. ი. რესპუბლიკის კანონის ძალით თემის საბჭოს დადგენილება ამავე კანონით განსაზღვრულ ფარგლებში სავალდებულოა ყველა მცხოვრებთათვის და თუ ერთის მხრით ეს მცხოვრებლები ვალდებულნი არიან გაატარონ თემის დადგენილება ცხოვრებაში მეორე მხრით თვით თემის საბჭო და გამგეობა ვალდებულია დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში რესპუბლიკის ძირითადი კანონით დაკისრებული მოვალეობანი და ამ მხრივ ისინიც პასუხის მგებელნი არიან რესპუბლიკის კანონით მოწოდებულ უფლება-მოსილ დაწესებულებათა წინაშე.

ამნაირათ, თემი არის ისეთი სახალხო ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო უფლება-მოსილება რესპუბლიკის ძირითადი ერთეულის ცხოვრების მოწყობაში, მართვასა და გამგეობაში. მას აქვს მოვალეობა და პასუხის-გება, როგორც აღსრულებითი ისე განკარგულებითი და თუ ერთის მხრივ ასრულებს რესპუბლიკის უმაღლესი საფეხურების, სამინისტროსა თუ ერობის განკარგულებებს მეორე მხრივ თავათ ახდენს განკარგულებას თავის ტერიტორიაზე საჭიროების მიხედვით და ამით ის ხდება ერთსა და იმავე დროს, როგორც ხალხის ისე მთავრობის დაწესებულებათ. **ის ხალხსა და მთავრობას ორთავეს გამოხატავს თავის თავში** და ამაშია მისი განსაკუთრებული თვისება და სახე.

დღეს ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ თემის დანიშნულება-მნიშვნელობაზე. ამიერიდან კიდევ უფრო გაცხოველდება ამ საგანზე სჯა-ბაასი. გადმოშლიან ძველ და ახალ კანონდებულებას, მოიყვანენ მრავალ მაგალითს დაწინაურებული ქვეყნებიდან, მაგრამ მაინც ვერ იტყვიან იმას, რაც სათქმელია, თუ ერთხელ და სამუდამოთ არ შეთანხმდებიან იმ დებულებაში, რომ ჩვენი თემი თავის თავში აერთებს ხალხსა და მთავრობას და ამაში არის განსაკუთრებული ხასიათი.

რუსეთის ერობა და ევროპის თვითმართველობები უაღრესათ ეკონომიური ხასიათის სამეურნეო ორგანიზაციათ ითვლებოდენ. პოლიტიკურ მნიშვნელობას არც ერთი ქვეყნის კანონდებულება არ აძლევდა თავის თვითმმართველობებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონდებულება კი თვითმმართველობას (ერობას, თემს, ქალაქს) სთვლის ერთათ ერთ ადგილობრივ ორგანოთ, რომელსაც უკვე ჩააბარა როგორც თვითმართვის, ისე მართვის ფუნქციები და ამ ძირითადი დებულებით ერთხელ და სამუდამოთ აღიარა, რომ თვითმმართველობა ჩვენს რესპუბლიკაში არის ცენტრალური მთავრობის ერთათ ერთი ორგანო, რომელიც ირჩევა თვით ადგილობრივ მცხოვრებთაგან, პასუხის მგებელია როგორც ამორჩეული ხალხის, ისე რესპუბლიკის უფლებამოსილ დაწესებულებათა წინაშე და ამით კათეგორიულათ დასტურდება კანონმდებლობაში ის ფაქტიური მდგომარეობა, რომლის ძალით თემი ხდება მთავრობისა და ხალხის განსახიერებათ.

III

რა უნდა აკეთოს თემმა?

რადგანაც, ვიცით რა არის თემი, ამიერიდან იოლია იმის გარკვევა თუ რა უნდა აკეთოს მან.

უპირველესათ ყოვლისა თემის მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არას შემთხვევაში არ დაურჩეს ადგილი მთავრობისა და ხალხის დაპირ-დაპირებას. თუ წინათ მთავრობა უპირდაპირდებოდა ხალხს ეხლა თვით ხალხი უნდა დაუკავშირდეს მთავრობას თემის საშუალებით. თემს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხი და მთავრობა ერთი და იგივე ცნებაა, რომ ჩვენი მთავრობის ძალა და სიმტკიცე ჩვენი ხალხის ბედნიერებაა, რომ ჩვენი ხალხის შინაური თუ გარეშე ცხოვრების მოწყობა მოწესრიგება, მთავრობის უმთავრესი მიზანია, რომ მთავრობა ხალხის წინაშე პასუხის მგებელი მოსამსახურეა სახელიწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში და როცა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ნდობა და გავლენა იზრდება ჩვენს ხალხში, იმავე დროს და მხოლოდ ამით მტკიცდება თვით თემის საბჭოსა და გამგეობის ავტორიტეტი მის ამრჩევლებში.

ამავე დროს თემს უნდა ახსოვდეს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ისეთი წესწყობილებაა, სადაც ხალხის ნების-ყოფა უმაღლესი მბრძანებელია მთავრობა კი მისი ამსრულებელი. აქ ხალხი ყველაფერია, ის არის წყარო და სათავე ჩვენი რესპუბლიკის და მისი თემის ძლევა-მოსილებისა, ამიტომ ხალხთან, თავის ამრჩევლებთან, მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი, რაც შეიძლება მჭიდროთ დაახლოვება მასთან და ამ გზით ხალხის შეკავშირება თემის გარშემო ყველა სათემო თუ სახელმწიფო საქმეებში ეს თემის უპირველეს მიზანს უნდა შეადგენდეს.

მართვა-გამგეობის საკითხი არის საკითხი შინაური პოლიტიკისა, რომელიც ხალხს აინტერესებს იმდენათ, რამდენათაც ეს პოლიტიკა სარგებლობას მოუტანს მას პრაქტიკულათ. აქ იშლება ასპარეზი თვითმმართველობისა ესე იგი შინაური ცხოვრების საკუთარი ძალებით მოწყობისა და ამ ასპარეზზე ის იმარჯვებს, ვინც უფრო მჭიდროთ აკავშირებს და მწყობრათ რაზმავს ადგილობრივ ძალებს.

ამნაირათ, მთავრობის ავტორიტეტის განმტკიცება ხალხში და ხალხის მტკიცე ორგანიზაციული კავშირი რესპუბლიკის მთავრობისა და თემის გარშემო, აი ის საერთო გეზი, რომელსაც უნდა ატარებდეს თემი თავის მოღვაწეობაში. ადგილობრივი ძალების ამოქმედება, ხალხის თავის მოყრა და შეკავშირება სახალხო საქმის გარშემო, აი ის გზა, რომელზედაც უნდა დადგეს თემი.

როგორ უნდა აამოქმედოს თემმა საზოგადოებრივი ძალები?

უნდა დაიწეროს საერთოთ თემის სამოქმედო პროგრამა და ჩამოყალიბდეს ის განსაკუთრებულ დებულებაში, მაგრამ პრაქტიკულად ამ გეგმის გან-

ხორციელება მაინც თემს უნდა მიენდოს. და აი ამ პრაქტიკულ მოღვაწეობაშია საჭირო გამჭრიახობა, რომელ თემშიაც ხალხს რა უფრო უჭირს, თემის მოღვაწეობაც ამ გასაჭირის განელებით უნდა დაიწყოს.

ხალხს სჭირია გზები. უგზოობა ერთი უმთავრესი უბედურობაა ჩვენი სოფლებისა. მაგრამ ამ გზების ფულით გაკეთება დღეს შეუძლებელია. თემმა აქ უნდა გამოიჩინოს საქმის ინიციატივა. ის ფრთხილათ და წინადახედულათ უნდა მიუდგეს ხალხს, უნდა აუხსნას და დაუმტკიცოს, რომ დღეს ხალხი თვითონ არის თავის თავის პატრონი, საკუთარი ბედის გამჭედი, რომ ეს გზები თვით ხალხს ეკუთვნის და არის მისი გასაკეთებელი და რომ მათი გაკეთება შესაძლებელია დღევანდელ პირობებში მხოლოთ და მხოლოთ ნატურალური ბეგარის საშუალებით. ასეთ სიტყვიერ შთაგონებას თან უნდა სდევდეს თემის მოწინავე პირთაგან აქტიურათ განხორციელება ნატურალური ბეგარისა. მაშინ თემის მცხოვრებნი გაიგებენ და შეიგნებენ ამ საქმის მნიშვნელობას და კიდევაც გააკეთებენ გზებს თავის საკეთილდღეოთ. ამით მოგვარდება ერთი უდიდესი და უპირველესი საქმე სოფლათ.

სოფელს ესაჭიროება სკოლისა და საექიმო პუნქტის შენობები, ჭაობების ამოშრობა, სახნავ-სათესი მინდვრების სარწყავი არხების გაყვანა, სახალხო სახლი და მრავალი სხვა. რა საშუალებით შეიძლება დღეს ამ საქმეების მოწესრიგება თუ არა ნატურალური წესით? ვინ შესძლებს დღეს ფულ ამ შენობების აგებას, როცა ორთვალიანი სახლის აგებას ასი ათასები სჭირდება და როცა თითო მუშა ას თუმნობით ანგარიშობს თავის დღიურ ხელფასს? ნატურალური გზით კი ეს ყოველივე ძრიელ იოლათ გაკეთდება. განსაკუთრებით ჭაობების ამოშრობა, დამბების გაკეთება, არხების გაყვანა, თემმა რომ ერთი ასეთი სასიკეთო საქმე გააკეთოს, ხალხი დაინახავს ამ სიკეთეს, რომელიც თავის თავზე თვითონ იყვირებს და ამით ხალხი უთუოთ შეიყვარებს სახალხო საქმის მკეთებელ თემს.

დღესაც ბევრია ჩვენში ქურდ-ბაცაცები, მაწანწალა, ყაჩაღი, მშვიდობის მოყვარე და მშრომელ ხალხს რომ მოსვენებას არ აძლევენ. ეს მავნე ელემენტები აოხრებენ ხალხის ნაამაგარს და საფრთხეს უმზადებენ თვით ჩვენს რესპუბლიკას. თემს ჰყავს ამის საწინააღმდეგო ძალა, ხალხის შვილი მილიცია და მოწინავე ელემენტები, რომლებიც პირველი დაძახებისთანავე არა ერთხელ გამოსულან იარაღით ხელში ხალხის ინტერესების დასაცავათ. თემმა უნდა შესძლოს ამ ძალების მტკიცეთ შეკავშირება და მათი საშუალებით სოფელი სასწრაფოთ უნდა გაანთავისუფლოს მავნე ელემენტებისაგან და დაამყაროს მშვიდობიანი მუშაობისათვის საჭირო მყუდროება. ხალხი დაინახავს ამ ღვაწლს და სწრაფად ამოუდგება მას მხარში.

ცენტრალური მთავრობისა და ერობის ყოველგვარ განკარგულებას სწრაფათ უნდა ასრულებდეს თემი. ყველა თვალსაჩინო ნაბიჯი ცენტრალური მთავრობისა, გადადგმული მის მიერ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესების დასაცავათ ფართეთ უნდა აუხსნას თემმა ხალხს, არ უნდა დარჩეს არც ერთი კუთხე თემის ერთეულისა, რომელიც არ იყოს დაკავშირებული თემის ცენტრთან ამა თუ იმ სახით.

თუ თემის ცენტრი ასე მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფებით იქნება დაკავშირებული თავის უბნებთან, მაშინ გადასახადის აკრეფაც სასურველ ნიადაგზე დადგება, რადგანაც ამ შემთხვევაში ხალხის ყურამდე მისწვდება გადასახადის დანიშნულება და მიზანი.

რადგანაც დემოკრატიული წყობილების პრინციპი მოითხოვს ხალხის საქმის გაკეთებას ხალხისავე საშუალებით, ამიტომ სიტყვიერათ თუ პრესის საშუალებით საქმიანი საუბარი თავის ამრჩევლებთან თემის მოღვაწეობის ერთ აუცილებელ საგნათ უნდა ჩაითვალოს, თემს უნდა ახსოვდეს: **ვინც ხალხთან არის ხალხიც მისია.**

როცა თემი ამ გვარი „პატარა საქმეებით“ საკმაოთ შეაკავშირებს ხალხს სახალხო საქმეთა და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობის გარშემო, როცა ის საგრძნობლათ განამტკიცებს მთავრობის ავტორიტეტს ხალხში, მაშინ და მხოლოდ მაშინ გახდება იმ უდრეკ ძალათ, რომელიც დაედება საიმედო საძირკვლად ჩვენი რესპუბლიკის შენობას.

ვიქტორ ლლონტი.

მორიგ საკითხთა გარშემო

პატარა შენიშვნა დიდ საკითხზე.

თანამედროვე საქართველო დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ეს ჩვენი ცხოვრების უდავო ფაქტია.

დღეს ყველანი, მთავრობის წრეებიდან დაწყებული უბრალო მოქალაქით გათავებული ყველა ამ კრიზისზე ლაპარაკობს და მსჯელობს.

ყველაზე უდიდესმა ჩვენში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ საკითხისათვის განსაკუთრებული თათბირიც კი გამართა. თათბირი ვრცელი და დასაბუთებული რეზოლიუციით დამთავრდა.

ჩვენი პრესა თავს დასტრიალებს ამ დიდ საკითხს, იხილავს კრიტიკულად მთავრობის ნაბიჯებს და არკვევს ან კიცხავს თათბირის რეზოლიუციას.

და მართლაც, ღირს კიდევაც ლაპარაკი და მსჯელობა ამ საკითხის შესახებ. ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მომენტის მთავარი მოთხოვნილებაა, იგი დედა-ძარღვია საერთო პოლიტიკისა.

როცა ხალხს შია, როცა იგი დღიურ ლუკმა პურის ძიებაშია, მაშინ დადებითი მუშაობა ან ჩერდება სრულიად ან და საშინლათ ფერხდება.

დღითი-დღე მძიმდება და რთულდება ცხოვრების პირობები. ნახევარი წლის განმავლობაში პირველ მოთხოვნილების საგანთა გაძვირებამ 400—500% მიაღწია.

ამ კრიზისს თავისი ღრმა მიზეზები აქვს. მაგრამ ჩვენ ამ დიდი საკითხის ზოგიერთ მხარეზე ვილაპარაკებთ.

ეკონომიურ კრიზისს საოცრათ აძლიერებს ის გარემოება, რომ ჩვენ ვერ შევძელით ნორმალი სავაჭრო და ეკონომიური ურთი-ერთობის დაჭერა უცხოეთთან. ვერ შევსძელით არა მარტო ჩვენი სისუსტის თუ მოუმზადებლობის წყალობით, არამედ იმიტომაც, რომ უცხოეთი ჯერ არ გვენდობა.

უცხო კაპიტალს თავისი სპეციფიური თვისება აქვს. იგი აგრე ადვილათ არ მიდის იქ, სადაც მისი პერსპექტივები სავსებით ნათელი არ არის.

და უცხო კაპიტალი დღეს-დღეობით ჩვენ ამ გვარი თვალით გვიყურებს.

ტყუილათ კი არ გვეუბნებოდენ სოციალისტურ დელეგაციის წევრები: ძლიერ დიდი სიფრთხილე და შორს მჭვრეტელობა დაგჭირდებათ უცხოეთის კაპიტალთან ურთი-ერთობის დაჭერის დროს, რადგან იგი შეეცდება ისარგებლოს თქვენი მდგომარეობით და სულ ერთიანათ თავის საშინელ კლანჭებში მაგრამ ჩაგიჭიროთო.

ჩვენში უცხოეთიდან საქონელი ნაკლებათ შემოდის.

ჩვენ ვერ ვისარგებლეთ სათანადოთ იმ ბუნებრივი სიმდიდრით (ქვა-ნახშირი, შავი-ქვა, ხე-ტყე, მატყლი, აბრეშუმი, თამბაქო), რომელიც უხვათ მოგვეპოვება, რომ შეგვძლებოდეს მის საშუალებით ეკონომიური გაცვლა-გამოცვლისათვის ფართე ხასიათი მიგვეცა. ეს ჩვენი ნაკლია.

და ბათომისა ან ფოთის ნავთსადგურს ნაკლებათ ან იშვიათად თუ მოადგება ინგლის-საფრანგეთ-იტალია-ამერიკის ან სხვა სახელმწიფოთა გემი საქონლით დატვირთული.

დეპეშები „სანდოსანისა“ იმ წამსვე გვაცნობებენ, როცა ასეთ გარემოებას აქვს ადგილი,

თუ შემოვიდა გემი საქონლით დატვირთული, თუ მისმა მმართველმა ღუზა ბათომის ნავთსადგურთან ჩააგდო, ეს ზემოხსენებულ მიზეზების გამო ჩვენში სულ სხვა შედეგებს იწვევს, ვინ-ემ უნდა ყოფილიყო.

ამ სახით მოტანილ საქონლის პატრონს დიდი მადა აქვს გახსნილი. მას სურს ერთი მოსვლით საბოლოოდ გაიტენოს ჯიბე და ისე გაუდგეს აქედან გზას. ეს ხომ მისი ბუნებრივი სურვილია, მაგრამ აქ სხვებიც ჰყოფენ თავს.

ათასი სხვა და სხვა უცხოელი სავაჭრო ფირმები, რომელნიც მხოლოდ ასეთი პერსპექტივებით ცხოვრობენ, წამსვე ამოძრავებენ თავისი აგენტურის ქსელს და იწყება ერთი უშველებელი ვაკხანალია.

აგენტები გარბიან ერთი დაწესებულებიდან მეორეში — წინადადებას წინადადებაზე აძლევენ და იმართება ვაჭრობა-კონკურენცია.

ბოლოს საქონელი იყიდება. იყიდება მაგრამ ისეთ ფასებში, რომელზედაც არ ფიქრობდა ალბად თვით მისი პატრონიც-კი. ამ ფასში შედის ჯერ ერთი პატრონის მიერ დადგენილი ფასი, შემდეგ რომელიმე სავაჭრო ფირმის მიერ დაწესებული პროცენტები და ბოლოს პროცენტები იმ რამოდენიმე შუამავალ აგენტებისა, რომელნიც ერთი დაწესებულებიდან მეორეში გამალებულ მიმოქცევაში არიან.

ამრიგათ გაძვირებული საქონელი კი გამოდის ბაზარზე საშინელ ფასებში და უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ მოქალაქეს სჭირდება ამ საქონლის ასეთ საოცარ ფასებში ყიდვა, არამედ ის, რომ ასეთი ძვირი საქონლის ბაზარზე გამოჩენა ძალა-უნებურად სწევს ფასს სხვა საქონელ-სანოვაგეზეც.

ეს გარემოება კი თან და თან ამწვავებს მდგომარეობას და ქმნის დაუსრულებელ ეკონომიურ კრიზისს.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს შინა-მრეწველობის განვითარების საქმეს.

საქართველო სასოფლო — მეურნეობის ქვეყანა არის და რომ ჩვენში წარმოების ეს დარგი სათანადო სიმაღლემდის იყოს აყვანილი, ან და ოდნავათ მაინც გაუმჯობესებული, მაშინ ცხადია ეკონომიურ კრიზისს, რომელიც ჩვენში არსებობს სრულებით არ ექნებოდა ის ხასიათი, რაიც მას დღესა აქვს.

მაგრამ ჩვენ აქ სასოფლო-მეურნეობის განვითარების შესაძლებლობის შესახებ არაფერს ვიტყვით

იმედი გვაქვს ამ საკითხის შესახებ მკითხველს უფრო დაწვრილებით შემდეგ წერილებში მოველაპარაკებით.

ამ რიგათ უცხოეთის საქონლის ჩვენში შემოსვლა იმ სახით, რომელორც ეს ზევით აღვნიშნეთ, აძვირებს ბაზარზე სხვა დანარჩენ საქონლის ღირებულებასაც.

ჩვეულებრივი მოქალაქე შეურიგდებოდა ალბად თავისდა თავდ პატრონის მიერ საქონლის გაძკირებას, მაგრამ იგი ვერ ითმენს და ვერც მოითმენს იმ გარემოებას, როცა საქონელი ხშირათ 100—200% იზრდება აგენტთა დაუსრულებელი ფაციფუცის წყალობით.

არც ერთი აგენტი არა თუ რომელიმე დაწესებულებას, არამედ მეორე აგენტსაც არ მისცემს ისე წინადადებას თუ საქონელს ფასი ერთი 10—20% არ წაუმატა. ასე სჩადის მეორე აგენტი მესამესთან და როცა უკანასკნელი შუამავალი აგენტი ასეთ წინადადებას რომელიმე დაწესებულებას აძლევს, მაშინ საქონელი უკვე 100—200% და მეტით არის გაზრდილი. მთელი უბედურება სწორედ იმაში არის, რომ ძალიან ხშირად ასეთ სახით გაძვირებული საქონელი საზოგადოებრივი დაწესებულებები (ერობები, კოოპერატივები, ქალაქთა და ერობათა კავშირები) იძულებული ხდებიან შეიყიდონ.

და შემდეგ მას გაძვირებულ ფასის მიხედვით ურიგებენ მოსამსახურეთ, ესე იგი ბოლოს და ბოლოს ათასი ხროვა სპეკულიანტ-აგენტებისა ისევ მუშა-მოსამსახურეთა ნაოფლარით იკვებება და არა მარტო იკვებება განცხრომითა სცხოვრობს ქეიფსა და დროს ტარებაში.

ამ აგენტების წინააღმდეგ კი ვერავითარმა ზომამ ვერ გასჭრა. კანონი სპეკულიაციისა მათზე ვერ მოქმედობს. ვერც მიუდგებით მათ ამ კანონით, მას ვაჭრათ მოაქვს თავისი თავი. და ბოლოს არც ერთი დაწესებულება, რომელიც კი ამ აგენტის საშუალებით ყიდულობს საქონელს არ შედის იმის გამოძიებაში თუ ვისია საქონელი და რამდენი პროცენტით გაზარდა მან მისი ფასი.

რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივმა ძალებმა სასტიკი კავშირი უნდა შეჰკრან ასეთ პირთა წინააღმდეგ. მხოლოდ ორგანიზაციულათ შეკავშირებას შეუძლია გვიხსნას ამ დაუსრულებელი ვაკხანალიისაგან.

ნუ თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათ არ შეუძლიათ საქონლის პატრონთან უშუალო დამოკიდებულება იქონიონ? ნუ თუ ისინი ვერ ასცდებიან ამ აგენტურის გზას? ჩვენ გვესმის და კიდეც მიზანშეწონილათ მიგვაჩნია საკუთარი—ორგანიზაციის აგენტების ყოლა, მაგრამ განა კვერდი ვერ უნდა აუხვიონ მათ სხვა სპეკულიანტ-აგენტებს მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი დაწესებულებანი ჩვენში დიდი ძალა უფლებით სარგებლობენ?

ამ რიგათ პირველი მოვალეობა გახლავთ როგორმე აცილება შუამავალი კერძო აგენტებისა და საქმის პირდაპირ მეპატრონეებთან ან მწარმოებლებთან დაკავება.

ეს უნდა ესმოდეთ და ამას ცხოვრებაში უნდა ატარებდენ ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

მეორე ბოროტება უფრო მავნე და სასირცხოა, რომელიც ისედაც აგენტების წყალობით გაძვირებულ საქონლის ფასს კიდევ მაღლა სწევს. მდგომარეობა შემდეგშია:

საქონელს (დიდ პარტიებს საქონლისას უმეტესათ) ჩვენში უმთავრესათ საზოგადოებრივი დაწესებულებანი ყიდულობენ. ასეთი არიან ერობათა და ქალაქთა კავშირები, კოოპერატივები და მათი ცეკავშირი, ქალაქები—ერობები და სხვა.

საშინელება ის არის, რომ ამ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის ამ საკითხში არავითარი კონტაქტი არ არსებობს.

ყველა ესენი საქონელს ყიდულობენ მუშა-მოსამსახურეთა დასარიგებლათ, რომ მათ შეღავათიან ფასებში მისცენ როგორმე პირველ საჭიროების სანოვაგე ან მანუფაქტურა.

აგენტი, რომელიც ერთი დაწესებულებიდან მეორეში მირბის, რათა შეაძლიოს საქონელი თავისთვის ხელსაყრელ პირობებში, ადარებს ორ ან სამ თუ მეტ პასუხში, რომელიც მან მიიღო ამა თუ იმ დაწესებულებიდან და საქონელს მას მიჰყიდის, ვინც უფრო მეტ ფასს აძლევს.

ქალაქთა კავშირის კომიტეტმა არ იცის რა ფასები შეაძლია მას ერობათა კავშირმა ან ცეკავშირმა და პირიქით. ის მხოლოდ თავის პირობებზე ელაპარაკება აგენტს. აგენტი კი სარგებლობს ამ გარემოებით და ეუბნება მეორე დაწესებულებას ამან ამდენი შემომაძლია და თუ არ დამთანხმდით ჩემ პირობაზე იძულებული გავხდები საქონელი მას მივყიდო. ეს უკანასკნელიც იძულებული ხდება საქონელს ფასი მოუმატოს და ისე შეიძინოს.

ერთი სიტყვით სათანადო კონტაქტის უქონლობის გამო საზოგადოებრივ დაწესებულებებთა შორის იმართება ფარული, ჩუმი კონკურენცია იმავ დაწყევლილ აგენტის სასარგებლოდ და საქონელი, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა დაწესებულებას გაცილებით უფრო იაფად შეეძინა, რჩება მას სრულებით არა ხელსაყრელ ფასებში.

რომ კონტაქტი იყოს, აგენტი იძულებული იქნებოდა თავის წინადადებით მხოლოდ ერთი დაწესებულებისათვის მიემართა. ეს უკანასკნელიც მას განსაზღვრულ ფასს დაუდებდა და ბევრი ყოყმანის შემდეგ აგენტი მოვალე გახდებოდა, რადგან მეტი გზა მას აღარ ექნებოდა, ამ

დაწესებულებისათვის დაეთმო საქონელი. ამით, თავის და თავად, შემ-ციერდებოდა ასეთი სახის აგენტების რიცხვიც და დაწესებულება უშუალოდ მივიდოდა, თუ გინდ თავისი საკუთარი აგენტის წყალობით, საქონლის მეპატრონესთან და მასთან გამართავდა საჭირო მოლაპარაკებას. საქონლის ფასიც დაიკლებდა და მომხმარებელიც მოიგებდა.

ამ რიგათ, ჩვენი რწმენით, ფართო კონტაქტის დაჭერა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის, განსაზღვრა იმ საქონელთა სიისა, რომელსაც ესა თუ ის დაწესებულება შეიძენდა, იხსნიდა მუშა-მოსამსახურეთა იმ ზედმეტი გადასახადისაგან, რომელსაც დღეს იგი ძალაუნებურათ იხდის სპეკულიანტ-აგენტების სასარგებლოდ.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ეს გარემოება კარგათ უნდა ასწონონ და მის განსახორციელებლათ სათანადო ნაბიჯებიც უნდა გადასდგან.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში არსებულ ეკონომიურ კრიზისს ეს ზომა ვერ მოსპობს. მაგრამ გვწამს, რომ ამ საქმის განხორციელება ერთგვარად მაინც შეამსუბუქებდა იმ საშინელ ატმოსფერას, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით.

მასთან ეს ისეთი ზომა გახლავთ, რომლის განხორციელებაც ჩვენივე ძალებით დღესვე შეგვიძლია და რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა დაუყონებლივ უნდა შეასრულონ თუ სურთ, რომ ხალხის იმედები გაამართლონ და მათ გაჭივრებას მალამო დასდონ.

ნარ-აძე.

როგორ უნდა მოეწყოს 1-სამეურნეო მანქანეგის მიწოდება მეურნეთა-ეის.

თანამედროვე ხანის უდიდეს საკითხს შეადგენს—წარმოების განვითარება ჩვენს ქვეყანაში. ამაზედ სწერენ პრესაში, ამაზედ ლაპარაკობენ საჯარო და კერძო კრებებზე წინამძღოლნი და ჩვეულებრივი მოქალაქენი ჩვენის რესპუბლიკისა. მაგრამ ხშირად ხდება, რომ გატაცებულ კამათში, აღფრთოვანებულ მსჯელობაში ამ საგანზედ უმთავრესათ გულისხმობენ ინდუსტრიალურ წარმოების განვითარებას, ქარხნების და ფაბრიკების დაარსებას, ან შავი ქვის და ქვა ნახშირის დამზადების გადიდებას და სრულიად ივიწყებენ ჩვენი ეკონომიის დედა ბოძს—სოფ-

ლის მეურნეობას, რითიც იკვებება მთელი სახელმწიფო და რაშიაც არის ჩაბმული 80% მეტი რესპუბლიკის მოქალაქეებისა.

თუ ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ჩაუკვირდებით დავინახავთ, რომ მისთვისაც ბევრი რამაა სასურველი. ყველასათვის აშკარაა მისი დაბალი ნაყოფიერება, რაც გამოწვეულია ამ წარმოების ტექნიკის მეტის მეტად დაბალ საფეხურზედ მდგომარეობით. ჩვენ არამც თუ ჯერ არა გვაქვს შემოღებული მორიგეობითი თესვა და სათოხნი მანქანებით თოხვნა, საქართველოს ყველა კუთხეში ისევ გაბატონებულია ის მძიმე, მოუწყობელი ქართული გუთანი, რომელშიაც აბამენ 7—9 უღელ საქონელს, ან ხის კავი, რომელიც მხოლოთ სჩიჩქნის მიწას და მოგვაგონებს კაცობრიობის პირველ სახნავ იარაღს. რევოლუციის დაწყებამდე გაუმჯობესებული იარაღები როგორც მიწის დასამუშავებელი ისე სათესი, სათიბი, სალეწი მანქანები და აგრეთვე მერძეობისათვის და მეურნეობის სხვა დარგებისათვის საჭირო იარაღები თან და თან შედიოდა ჩვენი მეურნეობის პრაქტიკაში,—საქართველოში არსებობდა რამდენიმე ცნობილი ფირმები—ფრიდონივისა, აუფერმანი, ედდი და სხვა, რომლებთანაც შეიძლებოდა შეგვეძინა ყველა საჭირო მანქანები და იარაღები, რომლებიც სოფლათ ვრცელდებოდა მოწინავე მეურნეთა და აგრონომიულ პერსონალის საშუალებით; ამ მხრივ ჩვენს მეურნეობას დიდ დახმარებას უწევდნენ 1-სამეურნეო იარაღების გამქირავებელი პუნქტები, რომელთა რიცხვიც ძალიან იზრდებოდა არსებულ აგრონომიულ დახმარების ორგანიზაციაში.

რევოლიუციის დაწყებიდგან მანქანების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში შემთხვევითი ხასიათი მიეცა. კერძო ფირმებმა თითქმის სრულიად შესწყვიტეს თავიანთი მოქმედება შექმნილ ეკონომიურ პირობებისა გამო და რესპუბლიკაში სამეურნეო მანქანების გავრცელება იკისრა მიწათ მოქმედების სამინისტრომ. ჩვენი ქვეყანა იმისთანა პირობებშია ამ მხრივ, რომ არამც თუ რთული მანქანები და იარაღები, სულ უბრალო ცულების, ნამგლების, ცელების და სხვა წვრილი იარაღიც კი იძულებული ვართ შემოვიტანოთ უცხოეთიდან. რასაკვირველია ამას სჭირია დიდი თანხები,—უცხო ქვეყნის ვალიუტა და სრულიად ბუნებრივია, რომ სახელმწიფოსთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო საწარმოვო იარაღების შეძენის მთავრობის ორგანოსგან დაკისრება, მაგრამ ეს დაკისრება არ უნდა იყვეს მარტო ფორმალური, არამედ იგი პირნათლათ უნდა გაუძღვეს ამ დიად საქმეს.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ მოგვივიდა მხოლოდ 1000-მდე გუთანი (სხვა და სხვა ტიპისა) და სხვა იარაღებიდგან მხოლოდ მეგალეობისათვის და მეევნახეობისათვის საჭირო წვრილი ინვენტარი. რასაკვირველია ცალმხრივობა ამ მხრივ ყველასათვის აშკარაა. სამი წლის განმავლობაში არ შეგვიძენია არც ერთი სათესი მანქანა, არც გაუმჯობესებული ფარცხები, არც ხორბლის სარკვევი მანქანები და არც ჭირნახულის ასაღები—ჩასაბინავებელი—როგორც სათიბები, სამკალი, სალეწი და სხვა. მეურნეობის ზოგიერთი დარგები—როგორც მესაქონლეობა, მერძეობა, მეფუტკრეობა ხომ სრულებით მივიწყებულია. თუ რათ ხდება ეს ასე იმის მიზეზების გამონახვას ნუ შეუდგებით. ეს არ შეადგენს ამ წერილის მიზანს.

საჭიროა, რომ ყველა საჭირო მანქანების სია სდგებოდეს ერობების აგრონომიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით და ყველა სოფლის მეურნეობის დარგისათვის საჭირო იარაღები იძინებოდეს. ჩვენ იძულებული ვხდებით საზღვარგარეთიდგან სურსათი შემოვიტანოთ, სჯობს სურსათის მოსაყვანი იარაღების შემოტანა სათანადოთ მოვაწყოთ, ეს უფრო იაფათ დაგვიჯდება. ბოლოს და ბოლოს, ჩემის აზრით უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, თუ გვინდა მართლა ეკონომიურად განმტკიცება და ჩვენი სურსათის დაკმაყოფილება. შესაძლებლობა საკმაო სურსათის მოყვანისა არის, თუ სოფლის მეურნეობის წარმოების გასაუმჯობესებელ იარაღებს და მანქანებს შევიძენთ. სხვა რომ არა იყოს რა, სამართლიანობაც მოითხოვს, რომ ჩვენი ქვეყნიდგან გატანილ ნედლი საქონლის — თამბაქოს, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ჯაგრის და სხვა სამეურნეო პროდუქტების ფასი ისევ სოფლის მეურნეობის ტეხნიკას მოჰხმარდეს.

და თუ ჩვენ მეურნეებს დროზედ მივაწვდით მათთვის უსაჭიროეს იარაღებს არ გვიმტყუნებენ ისინიც—სახელმწიფოს შესძენენ არამც თუ პროდუქტების მეტ რაოდენობას, არამედ სავალიუტო საქონლის რიცხვსაც გააღიდებენ. ამ მხრივ საყურადღებოა მეღვინეთა ამხანაგობების (კახეთი და კავშირთა-კავშირის) დადგენილება ამიერიდგან ღვინის დაყენებაში ევროპიულ წესზედ გადვივდნენ.

საყურადღებოა აგრეთვე საკითხი თუ ვისი საშუალებით ან როგორ მიაღწიონ დანიშნულებას შეძენილმა სამეურნეო-იარაღებმა. ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, რომ გაუმჯობესებულ იარაღების გავრცელებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ერობების აგრონომიულ სამეურნეო მანქანების გამ-

საქირავებელ პუნქტებს. ეს პუნქტები ზოგგან ისევ არსებობენ, ზოგგან კი მანქანების უქონლობისა გამო მოიშალნენ. საჭიროა აღდგენა მოშლილებისა, შევსება არსებულებისა და დაარსება ამ გვარ პუნქტებისა ახალ-ახალ ადგილებში. სოფლის მეურნე ინერციული, უნდობელი ელემენტია. უმთავრეს შემთხვევაში იკი არამც თუ ვერ ჰბედავს ახალი მანქანის შეძენას, არსებულ ახალ ტიპის მანქანასაც კი გაურბის (მაგ. რკინის გუთნებს და სხვა). თუ ვისთვისმე ჩვენებაა საჭირო, ეს უეჭველად სოფლის-მეურნისათვის. დემონსტრაცია, საჯაროთ ჩვენება და ახსნა ახალი მანქანის ან შეცვლილი ტიპის იარაღის შესაძლებელია მხოლოდ აგრონომიულ გამსაქირავებელ პუნქტზედ. და როცა მეურნე დარწმუნდება ახალ მანქანის სარგებლობაში და მოისურვებს მის შეძენას, მას უნდა შეძლება მიეცეს შეიძინოს ერობის საწყობში. ამ გვარ გამსაქირავებელმა პუნქტებმა შეიძლება დიდი როლი ითამაშონ ჩვენი მეურნეობის გარდაქმნაში იმ მხრივაც, რომ შეძლებას მისცემენ ღარიბ მეურნეთ ისარგებლონ ერობისგან საწარმოვო იარაღებით მისაწდომ ფასის გადახდით, თორემ თანამედროვე პირობებში, როდესაც საწარმოვო იარაღები (მანქანები და საქონელი) უმთავრესათ მცირე რიცხოვან გლეხთა ხელშია დაგროვილი, ისინი ხდებიან ბატონ-პატრონად მით სოფლად გადასულ საფონდო მიწებისაც. და თუ წინეთ მშრომელი სოფლის მუშა თავის შრომის ნაყოფს უყოფდა მემამულეს, ეხლაც იგი იძულებულია გაუყოს მძლავრ ქონებით გლეხს, რომელიც მარტო მიწის დახვნაში ან გუთნის ქირაობაში ართმევს მას მოსავლის ნახევარს. ამის მაგალითები ბევრია ჩვენს სოფლად.

ერობა მთავრობის ადმინისტრატიული და ეკონომიური ორგანოა. ეს უკვე ყველასათვის ცხადია. და თუ ერობას ნაკისრები აქვს აგრარულ რეფორმის გატარება—მას უნდა დაეკისროს საშუალებებიც ჩვენი სოფლის მეურნეობის აღოროძინებაში. ამისათვის მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ცენტრისგან შეძენილ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ერობებზედ განსანაწილებლად გადაცემა. ამ მოვალეობას ისინი ისევე პირნათლად შეასრულებენ, როგორც ასრულებენ სხვა მთავრობის ფუნქციებსა.

ორიოდე სიტყვაც უნდა ითქვას ფასებზედ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესახებ რასაკვირველია, საწყალობელი არავინაა და სრულიად უფასოდ მანქანების მიცემა ან ქირაობა, როგორც მიღებული იყო ერობების გასაქირავებელ პუნქტებზედ უნდა მოისპოს. მაგრამ რად-

განაც ბაზრის ფასები სამეურნეო იარაღებზედ ნამეტან თუ ცოტათი მაინც რთულია იგი, მეტად დიდია, უნდა დაშვებული იყვეს ფასდაკლებით მიცემა მწარმოებლებისათვის, როგორც ფასდაკლებით ეძლევათ სახელმწიფო მოსამსახურეთ და მუშებს ბინები, სანოვაგე, ტანსაცმელი და სხვა. შემცდარი აზრია ის, რომ ფული სულ სოფელშია დაგროვილი და მჩვრებში აქვთ გლეხებს გამოხვეული. შეიძლება დიდი ნაწილი ჩვენი ბონებისა მართლაც იყვეს სოფელში, მაგრამ ისინი დაგროვილია განსაზღვრული რიცხვით სოფლის ჩარჩების ჯიბეში.

ფას დაკლებული მანქანები შეიძლება უფრო ბევრმა გლეხმა შეიძინოს და მათ მიერ მოყვანილი სურსათი ან ნედლი მასალა შეიძლება ფასდაკლებულადვე იყვეს შეძენილი მთავრობის აგენტების მიერ, როგორც ეს ხდება მატყლზედ და აბრეშუმის ჭიის პარკზედ. ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია დაშვებული იყვეს იარაღების ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც.

ამ რიგად, თუ გვინდა ჩვენი სასოფლო წარმოება გავანაყოფიეროთ, საჭიროა მთავრობის ცენტრმა-მიწათ-მოქმედების სამინისტრომ იკისროს ყველა მეურნეობისათვის საჭირო მანქანების შემოტანა საზღვარ გარეთიდგან; მანქანების განაწილება ხდებოდეს ერობების საშუალებით და გამქირავებელ პუნქტების მოწყობით. რასაკვირველია დიდი დახმარება შეიძლება გაუწიოს მთავრობას აგრეთვე კოოპერიტიულმა ორგანიზაციებმაც, რომლების მოქმედება ამ მხრივ შეთანხმებული იქნება ერობებთან.

აგრონომი **დ. გედევანიშვილი.**

თემის მუშაობის სიძნელენი[1].

ბევრი ითქვა და ბევრი ითქმება, ბევრი პროექტი დაიწერება თემების მომავალ უფლებების განსაზღვრაზედ, მაგრამ არც ერთი პროექტი არ იქნება სრული და უნაკლულო, თუ მოსმენილი არ იქნებიან თემებში მომუშავენი. მით უმეტეს საჭიროა ყველა თემების წარმომადგენლების მოწვევა, რომ სხვა და სხვა თემებში ბევრი თავისებურობაა. და ამ

[1]) რედაქცია სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირთ თემის და ერობის უფლებრივ მდგომარეობაზე და აქ აღძრულ საკითხებზე მოგვანდონ მასალა.

თავისებურობას უნდა გაეწიოს ანგარიში, გვინდა რომ კანონი საეროობო თვითმმართველობის შესახებ მრავალ შინაარსიანი და მოქნილი იყოს და არა მშრალი, განყენებული.

დავანებოთ თავი ჯერ მომავალ ბედს თემებისას; მე მინდა მოგახსენოთ თემების დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობაზე, წარსული არჩევნები თემებისა მოხდა ფორმალური მხრივ კანონიერათ და ნორმალურათ, მაგრამ აბსენტიზმი დიდი იყო. ხალხმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის დამფუძ. კრების არჩევნებში. ხალხი მოელოდა დამშვიდებას და სიწყნარეს შინ და გაერეთ. იმედი არ გამართლდა. ამას მოჰყვა სამაზრო ერობის არჩევნები. ერობის მოღვაწეობა ჯერ საორგანიზაციო პროცესში იყო, რომ ზედ მოჰყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. შემდეგ დაიწყო თემების არჩევნები. ხალხს ამდენი არჩევნები რამოდენიმეთ მობეზრდა. მან არ იცოდა რა იქნებოდა ეს თემი, არ იცოდა მისი მნიშვნელობა, და ყუთთან მისვლისა და კენჭის ჩაგდების მაგიერ ჩაიქნევდა ხელს და გაბრუნდებოდა თავისთვის. მან არ იცოდა თუ სოფლის კომიტეტები უნდა მოსპობილიყვნენ და კომისრებს უნდა უფლებები შეჰკვეცოდათ. ვერც ადვილათ გაუმხელდი ამას: „მაშ როგორ იქნება თუკი კომისარს ქურდის დასჯის ნება არ ექნება, ხალხი ხომ სულ ერთმანეთს დასჭამსო“. და ამნაირათ სოფლის ერთად ერთ მხსნელათ წარმოდგენილი ჰყავდათ კომისარი და თემი მეტ მაჩანჩალათ მიაჩნდათ. მე არ ვიცი როგორ არის სხვა ერობებში, ხოლო ასეთი წარმოდგენა რამოდენიმედ გაამართლა ტფილისის ერობამ. აქ ბევრგან პარალელურათ თემთან ერთად ისევ არსებობენ თავისი ატრიბუტებით სოფლის კომისრები და სასოფლო ყრილობები. ამნაირათ თემის ოთხ ფორმულიანი წესით არჩეული ხმოსნების გადაწყვეტილებას უთუოდ განიხილავს სასოფლო ყრილობა. ყრილობას კი ხელმძღვანელობს უმთავრესათ კომისარი. ეს ცუდად მოქმედობს საქმეთა ვითარებაზე. კომისარი თავის გავლენას ხშირად ბოროტად ხმარობს. შეძლებულზე გავლენას ახდენს და ხალხსაც ხშირად იმხრობს როგორც უნდა. თემის წარმომადგენელს ცოტას უჯერებს ხალხი. ამ უუფლებოთ არსებულ მდგომარეობაში ვერაფრის გაკეთებას ვერ ახერხებს, მარტო ზნეობრივი ზომები შეუგნებელ ხალხზედ სამწუხაროთ ჯერ არ მოქმედობს. და თუ რომელიმე თემმა გადალახა ზნეობრივი საზღვარი და იხმარა რაიმე ოდნავი იძულებითი ზომები, (რაც ხშირათ აუცილებელი ხდება) მაღლიდან პასუხისგებით გვემუქრებიან ხოლმე. სულ სხვაა კომისარის მდგომარე-

ობა, ის ძველებურათ მამასახლისივით ქურდსაც სჯის,[1]) გამოსცემს სავალდებულო დადგენილებას, დააჯარიმებს ვინც ამ დადგენილებას დაარღვეს, აქვს საკუთარი ბიუჯეტი და სხ. ამიტომ მას უფრო პატივსა სცემს, ემორჩილება.

როცა ერთმანეთს უპირდაპირებს სოფლის ყრილობა კომისარისა და თემის საქმიანობას ჰხედავს, რომ **კომისარი ყველაფერია თემი კი არაფერი.** აი მაგალითები თემის უუფლებობისა: ადერბეიჯანთან ომის დროს თემებს დაავალეს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების მინდვრის დამუშავება. თემის ხმოსანთა ყრილობამ ამ მიზნით გამოიტანა დადგენილება თემის მცხოვრებთა თვით დაბეგვრისა, ამ გზით თემს უნდა დაექირავებინა მუშები და გაეთოხნათ ჯარისკაცთა სიმინდები. ეს დადგენილება სასწრაფოთ გადაეგზანა მაზრის ერობას დასადასტურებლათ. თემმა გასცა საკუთარი თანხიდან თავის უკანასკნელი კაპეიკი რადგან სიმინდის თოხნის სეზონი მიდიოდა და ფულის აკრება-კი მხოლოთ დაგვიანდებოდა. მაზრის ერობამ არ დაადასტურა თვით დაბეგვრა და ამნაირად თემი დარჩა უკაპეიკოთ-გაჭირვებული. ახლა რადგან თემს არა ჰქონდა საშუალება ყველა ჯარისკაცთა ოჯახები დაეკმაყოფილებინა და დააკმაყოფილა მარტო ერთი ნაწილი, ახლა დანარჩენები მოდიოდნენ და თავპირს გვაჭამდნენ: „რატომ ჩვენ კი არ გვაძლევთო“.

თემს ავალებენ სკოლების გათბობა—განათებას, სკოლების დარაჯების შენახვას, შენობების შეკეთებას და ყველა ამაებისათვის კი თემს არა აქვს უფლება ხარჯის გაწერის, არა აქვს ბიუჯეტი. მაზრის ერობა აარსებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებს, გზავნის მასწავლებელს და თავის ხარჯთაღრიცხვაში კი არ შეაქვს ამის ვარაუდი შენობის ქირა, გათბობა-განათება, დარაჯი, პარტების შეძენა და სხვა აუცილებელი მოწყობილებისათვის და ამ ხარჯებს ავალებენ თემს, რომელიც ძლივს არსებობს საერთო სახელმწიფო და საერობო გადასახადებიდან მიცემული %-ით და სხვა არავითარი შემოსავალი და სპეციალური ხარჯის გაწერის უფლება კი არა აქვს. საექიმო პუნქტს საავადმყოფოსთვის უგზავნიან 15000 მან. და ეუბნებიან: „იყიდე მთელი ზამთრის სამყოფი 7—8 საჟენი შეშაო“, და ჰპირდებიან ამაში თემი დაგეხმარებაო. თემი ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა დაეხმარება და უყიდის $1^1/_2$ საჟ. შეშას და თუ ვერ უყიდა მთელი ზამთრის საკმარი ამას თემის უმოქმედობას აწერენ..

[1]) თუმცა ასეთი უფლება არც წინანდელ მამასახლისსა ჰქონდა ვ. კ.

ექიმს აძლევენ ცხენს მხოლოთ არ შეაქვთ ხარჯთაღრიცხვაში მისი საკვები და მთელი ორი თვე არ იცის ექიმმა ვინ უნდა ინახავდეს ცხენს და მოითხოვს თემისგან მისთვის საკვების მიცემას. თემი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. არ იცოდა ამ ცხენისგან გამოწვეული ხარჯები რომელი შემოსავლიდან დაეფარა. ერთი ხანობა უარი უთხრა, მაგრამ მოადგენენ აქეთ იქიდან თემს: მაშ ვინ უნდა შეინახოს, ექიმი თქვენთვის არის და ცხენი კი არ გინდათ შეუნახოთო „შეგვარცხვინეს“ და თემი იძულებული გახდა ესესხნა სადმე თივა, ქერი და მიეცა ექიმის ცხენისთვის ანდა გამგეობის წევრები და მოსამსახურენი უჯამაგიროთ დარჩენილიყვნენ და ცხენისთვის თივა და ქერი ეყიდნა იმ იმედით, რომ თავის დროზედ ხარჯებს მაზრის ერობა გაგვინაღდებდა. მაგრამ ბოლოს როგორც იქნა გამოირკვა ამ ცხენის ბედი და მაზრის ერობა ავალებს თემს საჭირო საკვები გააწეროს ნატურით მცხოვრებლებზედ და აკრიბოს. თუმცა არ ვიცით ეს გადასახადი საერთო საერობო ხარჯების დროს ჩაეთვლება თუ არა ხალხს გადასახდელათ? ან და ხომ არ ჩაეთვლებათ ეს საგზაო 7 დღიან სავალდებულო ბეგარაში? მე ამით იმის თქმა კი არ მინდა თითქოს წინააღმდეგი ვიყო საზოგადოთ ბეგრის, არამედ მე ვამბობ ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ერთი გადაჭრილი, გარკვეული ფორმით ან სულ ყველაფერი უნდა გადავიტანოთ ფულზედ რაკი ვარდგენთ დაწვრილებით ხარჯთაღრიცხვას ან უნდა პირწმინდათ ხელი ავიღოთ ბეგარაზედ, ან უნდა ვალიაროთ იგი და თანაც განვსაზღვროთ რა უნდა კეთდებოდეს ბეგრით და რა ფულით. ყოვლად შეუძლებელია ისეთი ხარჯები, რომელსაც საჭიროებს უმაღლეს დაწყებითი სკოლის მოწყობა, წინადღით, ნავარაუდევ ხარჯთ ანრიცხვაში არ იყოს შეტანილი. მიუტოვებელი შეცდომაა ჯერ მასწავლებლის დანიშვნა—სწავლის დაწყება, და მერე ფიქრი იმაზედ თუ ვინ უნდა იყიდოს პარტები (რომელიც სკოლას არ აქვს და უიმისოთ მეცადინეობა შეჩერებულია) მაზრის ერობამ, თემმა თუ მოწაფეებმა. თემი თავის უფლებრივ მდგომარეობით წარმოადგენს მხოლოთ მაღლიდამ გამოგზანილ განკარგულებების გადამცემ პუნქტს. დღეს თემი არ არის **თვით მმართველი**. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა მოეღოს ბოლო ამ მდგომარეობას. გამოარკვიეთ მათი უფლებები, მიეცით მათ ძალა და მოსთხოვეთ მუშაობა, თორემ მოვალეობა უუფლებოთ წარმოუდგენელია...

საგარეჯოს თემის თავმჯდომარე **ვასილი კანჯარაშვილი.**

ევროპის ეკონომიკა

გამრავალკეცებულ მეცადინეობის მიუხედავათ ევროპის ეკონომიურ-ფინანსიური პრობლემა ისევ ისეა გადაუწყვეტელი, როგორც იყო ომის გათავების მეორე დღეს. საყოველთავოთ ცნობილ ვალიუტის დეპრესიისა და ემისიათა გამრავლების გარდა, ევროპას ღრღნის წარმოებათა ნაყოფიერების შენელება, რაც დამოკიდებულია უმთავრესათ, ცნობილ ამერიკულ ეკონომისტ ჰუვერის მოხსენებით ვილსონისადმი: 1) ძლიერსა და ხანგრძლივ უწესრიგობაზე რუსეთსა, ჰუნგრეთსა და სხ.; 2) ახალ მთავრობათა შექმნაზე და მათი გამოუცდელობაზე ეკონომიურ ურთიერთობის განახლება მოგვარების საქმეში როგორიცაა მაგ. პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიაში და სხ.; 3) მწარმოებელ შრომის დაკარგვაზე მთელს კონტინენტზე ომისა თუ ახალ მობილიზაციათა გამო; 4) შრომის ნაყოფიერების შემცირებაზე გამუდმებულ შიმშილობის გამო ცენტრალ ევროპაში; 5) ნიადაგის გამოფიტებაზე ჩვეულებრივი განოყიერების შეწყვეტის გამო ომიანობის მიზეზით; 6) მუშათა სულიერ განწყობილებათა მერყეობაზე მათი ცხოვრების ეკონომიურ მიზეზებისა გამო, მაგრამ ყველაზე უწინ 7) ფიზიკურისა და ზნეობრივი მოღლილობის გამო, რაც შედეგია მცხოვრებთა გაჭირვებებისა და უბედურებათა, რომელიც თავს გადახდა მათ ომის გამო. ხუმრობა ხომ არაა, ჰუვერის დაწვრილებითი გამოკვლევით 1919 წ. ივლისში ხუთმეტი მილიონი (15.000.000) ოჯახი ცხოვრობდა ევროპაში უმუშევრობისათვის გადადებულ ფონდიდან ამა თუ იმ სახის დახმარებით. ოჯახში სამი სული მაინც რომ იანგარიშოთ მიიღებთ 45—50 მილიონ სულს, რომელიც აარაფერსა ან ვერაფერსა ჰქმნის სახალხო მეურნეობისათვის, მაგრამ ჰხმარობს და სჭამს სხვათა ნამუშევარს. კიდევ მეტი, იგივე ჰუვერი ბრძანებს „ვარაუდით სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ევროპის მცხოვრებთა რაოდენობა მთელი 100.000.000 (ასი მილიონით) უფრო მეტია ვიდრე ევროპას შეუძლია გამოკვებოს უიმპორტოთ და უნდა იცხოვროს მაშასადამე საექსპორტო წარმოებით.“ საექსპორტო წარმოება კი უსაშინელეს მდგომარეობაში იყო ევროპის სახელმწიფოებში ნორმალ პირობებთან შედარებით. 1919 წ. ივლისის მანძილზე საფრანგეთის იმპორტი სჭარბობდა ექპორტს ე. ი. სავაჭრო ბალანსი დამძიმებული იყო 68.778.000 ინგლ. გირვ. სტერ-

ლინგით; იტალიისა—27.804.000 ინგლ. გირვ. სტერლ., ინგლისისა 50.000.000 გირვ. სტერლინგით. ამას მიუმატეთ კიდევ ის მძიმე ლოდი, რომელსაც წარმოადგენს მცხოვრებთათვის, მთელ ევროპისათვის სამხედრო ვალის წარმოუდგენელი სიდიდე. შეთანხმების ყველა სახელმწიფონი ყელამდისინ დავალიანებულია. მხოლოდ ამერიკაა თავისუფალი ვალისაგან. პირიქით ის კრედიტორია, მთელი ევროპა კი მოვალეა მისი. ოთხი მილიარდი გირვანქა სტერლინგი ჰმართებს ევროპას ამერიკასი. აქედან მთლათ 766.000.000 გირვ. სტერლინგი უწევს აწ განადგურებულ რუსეთს. დანარჩენი კი ევროპის უბედური ხვედრია. ბრიუსელის ფინანსიურ სხდომაზე ამერიკის წარმომადგენელთ ახალი მოთხოვნა წარმოუდგენიათ და ვალი პროცენტებიანათ ცხრა მილიარდამდე ასულა! ევროპის ამ დავალიანებას ვერაფერი უშველის თუ არა წარმოების განვითარება და ახალ ღირებულებათა წარმოშობა, რასაც ძალზე ენერგიულათ აწარმოებენ სახელმწიფონი. ამ მხრივ ევროპისათვის დიდ დანაკლისს წარმოადგენს გერმანიის მრეწველობის შესუსტება-დაცემა და რუსეთის საკვები თუ ნედლ მასალის მოჭრა ევროპის ბაზრისათვის. ყველა ევროპის სახელმწიფოებიდან ინგლისს ყველაზედ მეტი კომერციული დამოკიდებულება გერმანიასთან ჰქონდა ომამდე. საფრანგეთისათვის რუსეთი საუკეთესო ბაზარი იყო როგორც ფრანკისათვის ისე ფრანგულ ნაწარმოებისათვის. იტალიამ ავსტრიის იმპერიის განადგურებით დაჰკარგა შეუდარებელი ბაზარი, რომლის მსგავსს იგი მხოლოთ ათეულ წლების მუშაობით თუ შეიქმნის ხელახლავ.

მეორეს მხრივ ომამდისაც ჰქონდა ევროპას საკმარისი საფრთხობელა, რომლის წინაშე იგი თუ არა ყოველთვის შიშით, დიდის მოკრძალებით მაინც იდგა. შორეულ აღმოსავლეთის მრეწველობითი განვითარებამ უკანასკნელ მეოთხედ საუკუნის მანძილზე მძლავრი იერიში მიიტანა და ზოგან სრულიად განდევა ბაზრიდან ევროპის ნაწარმოები. მხოლოთ გერმანიის ნაწარმოები უძლებდა ცოტათი მაინც ჩინეთ-იაპონია ინდოეთის იაფ ნაწარმოებს კონკურენციას, რადგან გერმანული ნაწარმოები ყოველთვის უფრო იაფი იყო ინგლისურზე. გერმანია როგორც ექსპორტის ქვეყანა სრულიად შებოჭილია. ინგლისს კი ნაწარმოები არაფრითაც არ გაუიაფებია. წინააღმდეგ გააძვირა კიდეც. იტალია-საფრანგეთი სახეში არაა მისაღები რადგან მათ საექსპორტო არაფერი აქვთ შედარებით. შეერთებული შტატების ნაწარმოები კი არა ნაკლებ ძვირია ინგლისურზე მუშის მაღალი ხელფასის გამო. ევროპამ ბევრი დაჰკარგა

ომის წინ აზიაში, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში ადგილობრივი მრეწველობისა და მკვიდრთა ეკონომიურათ და ტეხნიკურათ დაწინაურების გამო. ომიანობისა და მის მომდევნო ხანებში ევროპამ ხელი აიღო და ვერას გზით ველარ დაიბრუნებს როგორც წინათ დაკარგულ ბაზრებს ისე ახლათ დაკავებულს აზიელების მიერ. შეერთებული შტატები ყველაზე უფრო ახლო მეზობელია შორეულ აღმოსავლეთის ერთა და უშუალო მოწამეა მათი ეკონომიური დაწინაურებისა. ამიტომაა, რომ შეერთებული შტატები ყველაზე მეტათ გრძნობენ კონკურენციის ახალ სიძლიერეს და ვაჭრულ იერეშების სიმკაცრეს. აქედან გამომდინარეობს ახალი საფრთხე კაცობრიობის, მთელ მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის. აღარავისთვის საიდუმლოობა არ არის, რომ ამერიკის სამხედრო ძალთა ახალი გაძლიერებას მიზნათ აქვს იაპონიის მრეწველობა-ვაჭრობისათვის ფრთების შეკვეცა; იაპონია კი თავის მხრივ ხელს არ აკლებს მზადებას. მან მოხერხებულათ ხელი შეუწყო ამერიკა-ინგლისის უთანხმოებას პარიზში და ყოველ შემთხვევისათვის ზურგი მოიმაგრა ინგლისთან მეგობრულ ხელშეკრულების განახლებით. მისი სამხედრო ძალთა გაძლიერება ხომ თავისთავათ წინ მიდის. მშვიდობიანობის საფრთხე არც ევროპის ხალხებს აკლიათ. საფრანგეთი ეკონომიურ დეპრესიის შესანელებლად მინისტრ კლოცის განცხადებით დიდ იმედებს ამყარებდა გერმანიის კონტრიბუციაზე, რომელიც ყოფილ ფინანსთა ხსენებულ მინისტრის საჯარო განცხადებით 15 მილიარდ ვირ. სტერლინგამდე უნდა ასულიყო. ამას მიუმატეთ მთელი გერმანიის ეკონომიური დამონების სურვილი, რომელიც გატარებულია ვერსალის ხელშეკრულებაში და ცდა გერმანიის პოლიტიკურათ მოსპობისათვის, რაც გამოკრთის მისი დანაწილებისა და ცალკე პროვინციების ჩამოჭრის მისწრაფებიდან. გერმანიისათვის ომი ეხლა დაიწყო. ომი, საშინელი, სადაც მახვილის წილ მოხერხება და ფოლადისებური მოქნილობა და ხასიათის სიმტკიცე მუშაობს. არც ერთ ომში გერმანიის ფიზიკური არსებობა ისე არ ყოფილა მუქარის ქვეშ, როგორც ომის შემდგომ შექმნილ პირობებში. ყოველ შემთხვევაში გერმანელები თავიანთ მდგომარეობას უყურებენ როგორც მოგერიებითი ომში ჩაბმულ ერის მდგომარეობას. როგორც არ უნდა იყოს, ერთი ცხადია, რომ გერმანია ვერსალის ხელშეკრულების პირობებს ვერ შეასრულებს, ე. ი. იტალია-საფრანგეთს ვერ მისცემს იმ დოვლათს, რაც საჭიროა მათი ეკონომიური წონასწორობის გამოსაბრუნებლათ. ამ შემთხვევისათვის საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს დაადგეს

მოქმედების პოლიტიკას, რასაც სავსებით ინგლისი არ ინაწილებს. ეს უკანასკნელი გარემოება თუ ფაქტათ იქცა, გერმანიას საშუალება მიეცემა უფრო თამამად იმოქმედოს; თუ ინგლისმა ბოლომდისინ მიიყვანა ვერსალის ხელშეკრულების პირობათა სისრულეში მოყვანის საქმე, გერმანია დიპლომატიურ გზას ვერ ასცდება, მაგრამ შეუძლებლობა ზავის პირობათა შესრულებისა საკითხს ძალიან გაამწვავებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს გადაჭრილი მოქმედება მოკავშირეთაგან ოკუპაციის სახით, რაც მათ ბევრს არაფერს შეჰმატებს და ძალთა დიდს და ახალ შეხლა შემოხლას კი წარმოშობს. თუ არა და ევროპამ უნდა მიიღოს ინგლისელ ფინანსისტის ბ. კინეის ცნობილი წინადადება: უარის თქმა კონტრიბუციაზე, უარის თქმა ყველა სამხედრო სესხზე და ყოფილ მეომართა მხარეების მშვიდობიან ეკონომიურ მუშაობაში თანამშრომლობა თანაბარ პირობებში. ამ წინადადებით ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა უარი უნდა განაცხადონ იმ მილიარდებსა და მილიონებზე მათ რომ მისცეს ეს სხვა მეომარ სახელმწიფოთ; აქ ყველაზე მეტს დაჰკარგავს, რასაკვირველია ამერიკა, რომელიც ამ წინადადებაზე ამის გამო არ თანხმდება; გერმანია გადიხდის ბელგეთის და სხვა განადგურებულ რაიონების აღსადგენათ ორ მილიარდ გირვ. სტერლ. და შემდეგ რაც მთავარია, ევროპის ყველა მრეწველობა შენახულ ქვეყნებმა და ამერიკამ უნდა გაიღონ 250-500 მილიონი გირვ. სტერლინგი ცენტრალ ევროპისა და სხ. ყველა მრეწველ ქვეყნებისათვის კრედიტის სახით დასახმარებლად. მით უფრო საჭიროა გერმანიის თანამშრომლობა ევროპისთვის, რომ მხოლოდ მას შეუძლია აამუშაოს და ასარგებლოს ევროპა რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრითაო, ამბობს იგი. უკანასკნელ წინადადებას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ამერიკაში, რომელმაც კინეის წიგნის გამოსვლის შემდგომ თავისი პოზიცია ევროპისადმი კიდევ უფრო გააძლიერა. ბრიუსელში ამერიკის წარმომადგენელმა მიუთითა დამსწრეთ ევროპის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის გამოკეთების აუცილებლობაზე. ძნელია იმის თქმა, რომ ამერიკამ მით უმეტეს, რომ 1919-1920 წ. მანძილზე ევროპის ყველა სახელმწიფოებმა დიდი პროგრესი გააკეთეს, დიდი ნაბიჯი გადადგეს საკუთარ მრეწველობის გასაუმჯობესებლად და ექსპორტის გასაცხოველებლად. ეს დაეტყო ამერიკასაც, რომლის ვალიუტის მაღალი კურსის გამო წინად, 1918 და 1919 წ. იმპორტი უმნიშვნელო იყო ექსპორტთან შედარებით. წლის პირველი ოთხი თვის განმავლობა-

ში—31 აპრილამდე—ამერიკის საგარეო ვაჭრობა წარმოადგენდა შემდეგ სურათს:

წწ.	ექსპორტი		იმპორტი		სალდო	
1919	2.525	მილ. დოლ.	988	მილ. დოლ.	1.537	მილ. დოლ.
1920	2.871	„ „	1.920	„ „	951	„ „
განსხვავება	+ 932	„ „	+ 346	„ „	— 586	„ „
განსხვავება %%-ში	+ 94%		+ 14%		— 38%	

ამერიკის ექსპორტი შემცირებულა იმპორტთან შედარებით. ეს გამოიწვია ამერიკის მეტის მეტმა მაღალმა დოლარის კურსმა: ექსპორტი შედარებით დაბალ კურსიან ევროპის ქვეყნებში წამგებიანი შეიქმნა და იმპორტი კი უფრო მომგებიანი. იმპორტი გაიზარდა. მხოლოდ ერთი თვის აპრილის 1920 წ. მანძილზე ექსპორტი უდრიდა 684 მილიონ დოლარს, მარტში კი 820 მილიონს ე. ი. ექსპორტი თვიდან თვემდე მცირდება შ. შტატებში და იმპორტი მეტ როლს თამაშობს ამერიკა-ევროპის ვაჭრულ დამოკიდებულებაში. ეს კი კიდევ მეტად აძლიერებს სტიმულს ევროპის ქვეყნებისათვის როგორც ექსპორტისა ისე საზოგადო მრეწველობის განსავითარებლად. ამ მიმართულებით მუშაობს მთელი ევროპა და ბევრიც მოასწრო ყოველმა სახელმწიფომ როგორც დაზიანებულის აღდგენისა ისე ახალ ღირებულებათა წარმოშობის საქმეში. მაგრამ საერთო ვითარება ჯერ კიდევ შორს მიაჩნიათ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობიდან. გარდამავალ ეპოქაში განსაკუთრებით ყველა სცდილობს რაც შეიძლება მეტის შეძენას, თუ შეიძლება სხვის ხარჯზედაც. აქ ყველაზე უფრო სუსტი მდგომარეობაა დამარცხებულ და ანარქიულ ქვეყნების მაგ. გერმანიისა და რუსეთისა, რომლის ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ უწყობს აქტიურ მუშაობას და ეკონომიურ ინტერესებისათვის თავისუფლად ზრუნვას ყველგან და ყოველთვის. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ შეიცავს დაუნდობლობას, შურისა და შეურიგებლობის უთვალავ ელემენტებს. ამერიკა ძალიან ფრთხილადაა. იქ ხშირად გაისმის ხმები, რომელიც სინანულს გამოხატავს, ნეტავ არ ჩავრეულიყავით ევროპის საქმეებშიო. მონრეს დოქტრინა ისევ იბრუნებს თავის გავლენას. ყველა ზემონათქვამის გამო ძნელი წარმოსადგენია რომ ამერიკამ შეიცვალოს აზრი გასესხებულის უკან დაბრუნების შესახებ დაჰთანხმდეს და სესხის დაბრუნებაზე უარი თქვას. არაა იმედი აგრეთვე, რომ შეიცვალოს საფრანგეთის პოზიცია გერმანიისადმი. მაგრამ ის კი ცხადია რომ ვერსალის პირობების შესრულებაც თვით ინგლისელ ფინანსისტთა აზრით აღემატება ყოველ-

გვარ შესაძლებლობას. ამას კი უნდა მოჰყვეს ან ახალი ძალადობა გერმანიისადმი და მაშასადამე უკანასკნელის საწინააღმდეგო რეაქცია, ან და სრული გაღატაკება დაცემა საკუთარ წარმოებათა ეკონომიურათ და ფინანსიურათ სუსტ ქვეყნებში საფრანგეთში, იტალეთში და სხ. მდგომარეობა მართლაც რომ უბედურია. ევროპის უბედურება მაშია, რომ ის მოჰყვა გაუვალ ჩიხში, რომლიდგან მისი გამოყვანა შეუძლია მხოლოდ იმ ახალ პირობებს, რომელიც სამართლიანათ წამოაყენეს ზოგმა ფინანსისტებმა და რომელიც მოასწავებს ვერსალის ხელშეკრულების უმთავრეს პირობათა შეცვლას.

ტ. მარგველაშვილი.

ნარინჯოვანი ხეხილის ბაღისათვის ნიადაგის არჩევა.

ნიადაგი საქართველოში მრავალ ნაირია, მხოლოდ ჩვენ გვექნება ლაპარაკი შავი ზღვის პირის აღმოსავლეთის ნაწილის ე. ი. ბათომსოხუმის ოლქის და გურია-სამეგრელოს ნიადაგზე.

როგორც წინა წერილში ვსთქვით ეს ადგილები ვულკანიური წარმონაშობია და შესდგება პატარა-პატარა გორაკებიდან, რომლებსაც დასდევს ვიწრო ხევები და ზღვის ახლო-მახლო მდებარე მინდვრები. გორაკებზედ ნიადაგი თიხნარია, რომელ ტიპის ნიადაგზედაც გვექნება ჩვენ ლაპარაკი.

ნიადაგი და მისი შემადგენლობა:

ზენიადაგს ეძახიან მიწის ზევითა ნაწილს, ქვევითას-კი ქვენიადაგი ჰქვიან. ქვენიადაგს მოსდევს ხელუხლებელი, ატმოსფერის გავლენას მოკლებული ნიადაგი, რომელსაც **ყამირს** უწოდებენ. ჩვენ აქ გვაინტერესებს ზენიადაგი და ქვენიადაგი რადგანაც მათი სისქე არ აღემატება 3 ჩარექს და ნარინჯოვანი ხეხილის ფესვები კი 3 ჩარექზედ ღრამად არ მიდის მიწაში.

თ ი ხ ნ ა რ ი მ ი წ ა:

თუ რომელიმე ნიადაგში იმყოფება ორმოცდა ათ $^0/_0$0,01 მილიმეტრიანი წვრილი ნივთიერება ამისთანა ნიადაგს თიხნარს ეძახიან. როდე-

საც ნიადაგში ომყოფება 75% 0,01 მილიმეტრიანი წვრილი ნივთიერებაჰქვიან თიხა. წითელი ფერის თიხას ეწერს ეძახიან. თიხნარს აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები.

თიხნარი მდიდარია მინერალური მაკვებარი ნივთიერებით რის გამოც მას შეუძლიან დიდხანს ასარგებლოს მცენარე გაუპატივებლად. უარყოფითი მხარეები თიხნარისა შემდეგია:

თიხნარი-მწებავია და მზისა და ქარის გავლენის ქვეშ ძლიერ მაგრდება ზედა პირი და ჰაერს არ უშვებს ფესვებამდის, უამისოთ კი მათი სიცოცხლე შეუძლებელია. მცენარის ფესვები ჰაერის საშუალებით ნიადაგიდან ამონაწოვ ნივთიერებას გარდაჰქმნიან ქიმიურათ და ამზადებენ მცენარისათვის საჭირო საკვებ მასალას. ამიტომ თიხნარ მიწის გაფხვიერება ჩვენ ხშირად გვიხდება. წვიმის დროს თიხნარი ბლოშად იზიდავს სინესტეს და დიდხანს არა შრება, მხოლოდ გაშრობის დროს თიხნარი მიწა სკდება ყაშა-ყაშა და სწყვეტს წვრილ მაკვებარ ხის ფესვებს.

თიხნარი მიწა დიდხანს არა თბება და როცა კი გათბება გვიანა ჰკარგავს სითბოს. ამიტომ მცენარეების წვენი გაზაფხულზე გვიან იწყებენ მოძრაობას და შემოდგომაზე მცენარე დიდხანს ვერ ასრულებს ზრდას. ეს უკანასკნელი მოვლენა ცუდ გავლენას ახდენს მასზე, რადგანაც მის ნორჩ ყლორტებს შემოდგომის პირველი სიცივე აზიანებს. ყველა ზემოხსენებულის გარდა სველი თიხნარი დასამუშავებლად ძნელია, რადგანაც ხარბად ეკვრის სამუშაო იარაღსა. ყველა ამ ნაკლის მიუხედავად თიხნარ ნიადაზე გაშენებული ბაღი უზრუნველ ყოფილია ქარის გავლენისაგან, რადგანაც ხეს ნაყოფი მაგრად აბია და ქარი ვერა ბერტყავს, ნაყოფი დიდხანს შემოდის, დიდხანს ინახება და ადვილათ იტანს გადაზიდვას. თიხნარ მიწაზე გაშენებული ბაღების ნაყოფი ძვირად ფასობს ბაზარზე. ამისთანა ნიადაგზე ბაღებს აშენენებენ კომერციული მიზნით.

თიხნარ მიწაზე ხეხილი კარგადა ხარობს, იზრდება, თუმცა ნაყოფს გვიან იღებს, მაგრამ ზომიერად. თიხნარი ყოველ პატივს იზიდავს და იერთებს. ასეთ ნიადაგს ხშირად გაპატივება არა სჭირია. შეგვიძლიან ერთხელ ხარბად გავაპატივოთ, რაც დიდხანს შეინახება და ხეხილსაც არ აწყენს. როცა ჩვენ ბევრ პატივს ვაყრით რომელსამე ნიადაგს, ჰაერისა და სინესტის გავლენით ის უცბად მოქმედობს, აქ თიხნარზედ კი, რადგანაც ჰაერის გავლენა ცოტაა და სინესტე ხელს არ უწყობს, პა-

ტივი ისე ჩქარა არა მოქმედობს როგორც სხვა ნიადაგზე. როგორც ზემო ნათქვამიდან დავინახეთ ქიმიური შემადგენლობა თიხნარი მიწისა კარგია, ხოლო ფიზიკური-კი უვარგისი, ამიტომ უნდა ვეცადოთ მის ფიზიკურად გაუმჯობესებას. თიხნარის ფიზიკურად გაუმჯობესებისათვის საჭიროა მიემატოს: საქონლის პატივი, ნაშომპალი, შერეული ორგანიული სასუქი, ნახერხი ქვიტკირის ჩამონანგრევი და უმთავრესათ კი მიწის ლამი. თიხნარ მიწაზედ ნარინჯოვან ხეხილის ფესვები არ მიდის რვიდან ექვს გოჯზე ქვევით, ამიტომ ჩვენ უნდა გავაპატიოთოთ 6—8 გოჯის სიღრმეზედ. თიხნარის გასაფხვიერებლად ერთ დესეტინაზე დასჭირდება 200 კუბ. საჟენი გასაფხვიერებელი მასალა ე. ი. ზემო ჩამოთვლილი ნივთიერება. ასეთი შრომის გაწევა ერთად რასაკვირველია ძნელია, ამისათვის ეს უნდა მოხდეს ნაწილ ნაწილ. ამის შესახებ შემდეგ გვექნება ვრცელი წერილი.

ე წ ე რ ი

როცა თიხნარ მიწას წითელი ფერი აქვს, ეს იმის მომასწავებელია, რომ მასში იმყოფება ბევრი გახსნილი რკინის ჟანგბადი. ამისთანა ნიადაგი ბევრია შავი ზღვის მახლობლად მდებარე ადგილებში. ხალხი ამისთანა ნიადაგს უწოდებენ ეწერს. თუ მშრალ და მაღალ ადგილებში ნიადაგს რკინის ჟანგბადი ურევია, ეს უკანასკნელი მცენარეს არ ავნებს და ზოგიერთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობაც აქვს. როცა ნიადაგში რკინის ჟანგბადი მოჭარბებით არის და ნიადაგი სველია მაშინ ნიადაგი წითელი ფერის მაგივრად იღებს ლურჯ ფერსა და მცენარეზედ ძლიერ ცუდად მოქმედობს. იმ ადგილებში, სადაც უმეტესად ნარინჯოვანი ხეხილი ხარობს ნიადაგი ეწერია. აქ ჩვენ შეუდგებით მის ყოველ მხრივ შესწავლას, რისთვისაც საჭიროა მივმართოთ მეცნიერებას ე. ი. ქიმიურ ანალიზს.

ამ მხრივ მშვენივრად შესწავლილია ბათომის ოლქი, რომლის ნიადაგიც ქიმიურათ უკვე გამოკვლეულია მაგალითად: მახინჯაური, ჩაქვის, ლიმანის, ციხისძირის და საპის. ეს გამოკვლევა მოახდინა კავკასიის საბრეშუმო სადგურის ქიმიკოსმა სტახოვსკიმ.

მისმა გამოკვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

	ჩაქვი	მახინჯაური	ციხისძირი
თიხა . .	20,36	26,44	33,22
სილა . .	0,001-002-23,30	34,34	33,22

. .	0,25-10,20	13,34	10,44
. .	0,50-20,40	20,00	12,44
. .	1 -11,02	4,44	7,54
. .	2 -9,52	1,24	2,64

დაკარგული ნივთიერება გაშრობის დროს%

. .	11,93	20,80	21,85
წყალი	5,53	7,11	7,93
ორგ. ნივთ.	4,45	3,95	4,57
გახსნილ. კირ. . .	0,18	0,25	0,10
წყლის მიმზიდ. . .	28,45	49	54,5
ამიაკის მიმზიდ. . .	28,50	30.95	24,41

ზემო აღნიშნული ანალიზიდანა ჩანს, რომ ეწერა ნიადაგში იმყოფება 20—35% წმინდა თიხა, 65—80% ლამი, ძლიერ ცოტა კირი და ბევრი რკინის ჟანგბადი.

ეხლა განვიხილოთ ბერნიკოვის ქიმიური ანალიზი. ეს ანალიზია ციხისძირის ნიადაგისა 120 ს. სითბოში ნიადაგი ჰკარგავს 5,5% სინესტეს 100 ნაწილ დამპალ მიწაში 125% სიცხეში იმყოფება შემდეგი ნაწილები:

ანალიზი მაგარი ნაწილებისა.

კაჟი	0,00225	0,00225
2) გოგირდის სიმჟავე	0,00090	0,00360
3) ხლორი	0,00030	0,00800
4) კალიუმინის ოკისი . . .	0,00025	0,00020
5) კალცის	0,00260	0,00350
6) მაგნიუმის	0,00060	0,00200
7) კალიუმის	0,00160	0,00380
8) ნატრიუმისა	0,00100	0,00220
9) ფოსფ. ანღიდ.	0,00002	0,00030

აზოტიური ნივთიერებების შემადგენლობა:

სინესტე 125 სითხეს შემდეგ	4,9700
ორგანიული ნივთიერება	0,2520
ფოსფორის სიმჟავე	0,0863

გოგირდის სიმჟავე	0,0310
კალუმის ოკისი	0,0965
ალუმინის ოკისი	32,2000
რკინის „	122,6000
მარგანეცის „	0,0280
კალუმის	0,0740
ნატრიუმის	0,0620
კაჯნარის	34,7698

როგორც გვიჩვენებს ზემო აღნიშნული ანალიზი ბათომის ოლქის ნიადაგი ეწერია ე. ი. წითელი თიხნარია, რომელშიაც იმყოფება მცირე ნაწილი ორგანიული ნივთიერებებისა. როგორც მათომის ოლქში, ასეთივე ნიადაგია მთელ გურია-სამეგრელოში და სოხუმის ოლქში.

დ ი ხ ა შ ო მ ი წ ა:

დიხაშო მიწას ეძახიან ისეთ ნიადაგს, რომელიც იმყოფება დიდ მდინარეების პირად როგორიც არის მაგ. რიონი, ტეხური, სუფსა და ნატანები. ზემო აღნიშნული მდინარეები ხშირად იცვლიან კალაპოტს. კალაპოტის გამოცვლის დროს მის ახლო-მახლო ადგილზე ილეკება ლამი. ლამში არის ბევრი მინერალური და ორგანიული ნივთიერება. ასეთი ნიადაგი მცენარესთვის საუკეთესოთ, როგორც მდიდარი მცენარის მაკვებარ მასალით ამისთანა ნიადაგზე ხარობს ყველა მცენარე, რომელსაც კი ჰავა ხელს უწყობს. სინოყიერით ასეთი ნიადაგი მცენარეთათვის საუკეთესოა, მაგრამ ნაკლი მისი ის არის, რომ გადაჭარბებული ნესტიანია, რაც მცენარისთვის არ არის სასარგებლო.

საჭიროა ცოდნა დიხაშო მიწის ქიმიური შემადგენლობისა. როცა ვიცით მისი ქიმიური შემადგენლობა ადვილად შეგვიძლია მიუმატოთ იმას ნაკლები ნივთიერება გაპატიჟების დროს რადგანაც ასეთი ადგილები მთელ ზემო აღნიშნულ რაიონში ერთნაირი შემადგენლობისაა. მე მოვიყვან ქიმიურ ანალიზს ოზურგეთის თამბაქოს საცდელ მინდვრისას. ოზურგეთის საცდელი მინდორი მდებარეობს სწორედ იმ ადგილას, სადაც მდინარე ნატანები ერთვის ბჟუჯს, ეს ადგილი პატარა ღელე ბლვანით იყოფა ორ ნაწილად. ის მხარე, რომელიც ეკედლება ბჟუჯს არის დიხაშო და დაბალი, მეორე კი სიმაღლით უდრის სამოცდა ათ მტკაველს და რამდენადაც შორდება ის წყლის პირს იმდენად მაღლდება. ნიადაგი ამ ადგილში თიხნარია და ეწერის ანალიზი ჩვენ უკვე

გავითვალისწინეთ. ეხლა მოვიყვან ანალიზს დიხაშო მიწისას, რომელიც გამოარკვია ქიმიკოსმა ვ ი ტ ნ ნ მ ა:

ზენიადაგი			ქვენიადაგი
1. ქვა	5 მილ.	31,42	51,34
2. ფხვნილი . .	5-3	1,78	5,19
3. ფხვნილი . .	3-2	2,63	5,40
4. ფხვნილი .	2-1	2,63	5,40
5. ფხვნილი . .	1-0	0,55	3,37
6. ფხვნილი	0,5-0,95	4,21	3,78
7. სუყველა		43,41	60,869

ზემო აღნიშნულ ანალიზში აღებული იყო მიწის ზევითა პირი ანუ ზენიადაგი, ეხლა განვიხილოთ მიწის ქვენიადაგი.

მშრალი მიწის უმთავრესი შემადგენლობა.

აღებულია მშრალი მიწის 100 გრამმი.

გიგროსკოპიული სინესტე	15,18
დაკარგვა სინესტისა წვის დროს	21,80
ჯამი მინერალური ნივთიერებისა	78,20
ორგანიული ნივთიერება	17,78

ა ზ ო ტ ი.

პროცენტი აზოტის	0,665
ქიმიურათ შეერთებული სინესტე	0,02

როგორცა სჩანს ქიმიური ანალიზიდან მინერალური ნივთიერება ბლომად იმყოფება ნიადაგში და აგრეთვე ძლიერ ბევრია ლამის ნაწილები—

წყალში გახსნილი ნივთიერება	19,416
. . . . .	0,407
გოგირდის სიმჟავე	0,115
ფოსფორი	0,463
ალუმინი	10,93
რკინა	9,44
ალთეთრა	2,670
კალიუმი	2,224
ნატრიუმი	0,162
კაჟი	11,42

როგორც ანალიზმა გვიჩვენა დიხაშო მიწა არის მდიდარი როგორც მინერალური, ისე ორგანიული ნივთიერებით. ამასთანავე მასშია წვრილ-წვრილი ლამიც, რაც ნიადაგის გაფხვიერებას ხელს უწყობს. საკმარისია აგრეთვე თიხა, რომელიც სინესტეს იჭერს თავის დონეზედ. ასე რომ ქიმიური და ფიზიკური შემადგენლობა ამ მიწისა ზომიერია. ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესი ტიპები ნიადაგისა: ე. ი. თიხა, თიხნარი, ეწერი და დიხაშო. ეხლა დაგვრჩა ერთი ტიპის ნიადაგი, რომელიც დაშორებულია შავი ზღვის ნაპირიდან სახელდობრ აჭარა-გურიის და სვანეთის მთის კალთებსა. ამ ნიადაგსა ჰქვიან კირნარი. მას ჩვენ ვხედავთ ხშირად აღმოსავლეთ გურიაში, ჩოხატაურის რაიონში და სენაკ-ზუგდიდის მაზრის ბითაგორიან ადგილებში. კირნარში იმყოფება 10—20% კირი. თუ კირნარს ურევია ბევრი თიხნარი მიწა, ასეთი ნიადაგი ნოყიერია ხეხილისათვის, რომელზედაც ყველა მცენარე კარგად ხარობს (კურკოვანი მცენარე): ატამი, ბალი, ფოთოხალი, მანდარინი და სხვა. კირნარ მიწას თუ სხვა მინერალური და ორგანიული ნივთიერება ბევრი ურევია ასეთი ნიადაგი ნარინჯოვან ხეხილისათვის საუკეთესოდ ითვლება. კირი ნიადაგს აფხვიერებს, რის გამოც ჰაერი კარგა მუშაობს, ხსნის მინერალურ ნივთიერებას და გახსნილ ნივთიერებას კი მცენარე ადვილად ითვისებს, ასე რომ ფიზიკურად და ქიმიურად ნიადაგს აუმჯობესებს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ კირი მეტი არ არის ნიადაგში ე. ი. არ აღემატება 20%. როცა ნიადაგში ბევრი კირია იგი ნიადაგი ჰკარგავს ყველა იმ თვისებებს, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ.

მ. ქარცივაძე.

ხოლერა

(გაგრძელება)

არის ისეთი ადამიანი, რომ მას ხოლერა სრულიად არ უდგება. ასეთ კლდე ადამიანს ხოლერის ვიბრიონებით რომ ერთი სავსე ჯამი გადააყლაპოთ მაინც არა დაემართებარა და აინუნშიაც არ ჩაიგდებს. ესეთს რასაკვირველია ხოლერა არ შეხვდება. შეიძლება ადამიანმა დროებით აიცილოს თავიდან და ავად არ გახდეს, თუ ხოლერას აიცრის. ხოლერის აცრა სულ ადვილია. ექიმები უცრიან ხოლერას—ვინც კი მოისურვებენ. აი ასეთი ადამიანები, რომელნიც ხოლერით ავად არ არიან, ძალიან ხშირად ხოლერას ავრცელებენ სრულიად უჩუმრად და შეუმჩნევლად. რომ ასეთი ადამიანები ხოლერას ავრცელებენ არც თითონ იციან ეს ამბავი და არც სხვას ვისმეს შესდის ამაზედ ეჭვი. საქმე კი

აი რაშია: ხოლერის ვიბრიონები ასეთ ადამიანების ნაწლევებში მშვენივრად სცხოვრობენ, მრავლდებიან და ძალიან ბლომად შემდეგ განავალს გასდევენ. მთელი თვეობით შეიძლება ხოლერის ვიბრიონები ამ გზით ვრცელდებოდნენ და სენს ავრცელებდნენ. მაგალითად—იბანავა მდინარეში ხოლერის ვიბრიონების მატარებელმა ადამიანმა ან ეზოში ჭასთან ახლო ფეხის ადგილზედ მიდგა—ასეთმა ადამიანმა წყალი მასწამლა. მდინარეშიც და ჭაშიც. ორთავე ადგილიდან უკვე მოწამლული წყალი შემდეგ—სხვაზედ ავრცელებს ხოლერას. ასეთი წყალი ისმევა, ხოლერა ხალხში გადადის და ვრცელდება. ასეთ ნაირად ხოლერით მოწამლულ წყლიან ადგილებში სენი დიდი ხნით იბუდებს და ასობით და ათასობით ხალხს მუსრს ავლებს. ხოლერა ზოგიერთ ქალაქისთვის უფრო საშიშია ვიდრე სოფლისთვის. მეტადრე თუ ქალაქს მილებიანი წყალსადენი აქვს. ხშირად ქალაქის წყალ სადენი წყალს მდინარიდგან იღებს. საკმარისია ხოლერიანმა იბანოს იმ მდინარეში. მოწამლული წყალი მდინარიდგან წყალ სადენში გადავა, მთელი ქალაქი ვიბრიონებიან წყალს რომ დალევს—ხოლერა დიდ ხანს არ დაიცდის—თოფის წამალივით იფეთქებს..! უყურეთ მაშინ, სულ მოკლე ხანში, რამდენი ხალხი გახდება ავად! ავადმყოფი ჭერეხივით დაეგება!

აი ამიტომ არის—უმი წყალი—საშიში ხოლერობის დროს. თუ ხოლერა გაჩნდა უმი წყალი არ უნდა დაილიოს, ყველასთვის საშიშია და სახიფათო.

მდინარის წყალში ხოლერის ვიბრიონი ოცდა ათი დღე ისაძლისებს. ზღვის წყალში უფრო მეტს—სამოცდა ოთხ დღესა სცხოვრობს. ჭუჭყიან, უსუფთაო წყალში კი—მეტადრე ზღვის პირ მდებარე დიდ ქალაქებთან—სადაც გემები ჩერდებიან - ხოლერის ვიბრიონი უფრო მეტს—ოთხმოც დღემდისინ სცოცხლობს, ამიტომაა საშიში ზღვის წყალი. საკმარისია ვინმემ იბანოს ზღვაში. ბანაობის დროს ჩაყურყუმელავება ან პირის გამორეცხვა და ხოლერით ავად გახდომა ერთია! აი რა საშიში ყოფილა წყალი. **დავინახოთ, რომ წყალი ხოლერას ყველაზედ ძალიან ავრცელებს.** ხოლერის გავრცელებაში წყალს საჭმელი არ ჩამოუვარდება. ყველამ კარგათ ვიცით, რომ ხოლერა ზაფხულობითა ჩნდება და რაც უფრო პაპანაქება ზაფხულია ხოლერისთვის უფრო ხელსაყრელია. შემოდგომისთვის ხოლერა ნელდება. ზამთრობით კი ქრება. ამის მიზეზი შემდეგია: ზაფხულში აჟარებული, ხილი, მწვანილი შემოდის. რა გინდა სულო და გულო! კიტრი, საზამთრო, ჭერამი, ნესვი, ატამი—სუყველაფერი ბლომათაა და თავზედ საყრელი. სიცხე პაპანაქებაში არაქათ გამოლეული მუშა ადამიანი წყურვილს ვერაფრით იკლავს. ოღონდ კი გული გაიგრილოს და რასაც გინდათ დალევს. თუ გინდა ცივი ბალღამი დაალევინეთ!.. და აბა უმ წყალს რას დაერიდება! ხოლერას აინუნშიაც არ აგდებს! უმ წყალს ხომ სვამს და სვამს, ზედ ახლა ხილს ატანს. პირში გემოს იკეთებს. და აი ყველაფერი ეს—ხოლერისათვის გასახარელია! **გაიგრილა ვინმემ გული—უმი ცივი წყლით?! ცივ წყალს ხოლერის ვიბრიონებიც ჩაატანა!!**

ჩაიკოკლოზინაა ვინმემ ყელი წითელ-წითელი საზამთროთი?! გემრიელ საზამთროსთან—ვიბრიონებიც მიირთვა.!!

მიაძღა ვინმე გემრიელ ატამს?!. ატამზედ ბევრი ვიბრიონები გადაყლაპა!!.

და აი ასე... ხოლერის ვიბრიონი წყლით, ხილით, მწვანილით და დანარჩენი უმი, გაუოეცხავი—საჭმელ—სასმელით მიდის და მინავლდობს ადამიანის კუჭში. იქიდგან ნაწლავებში იკალათებს და მერე თითონ იცის თავის საქმისა! საცმელ-სასმელს, ხომ აშხამებს და აშხამებს ხოლერა ადამიანს!
ამას ვინა სჩივის! წუთი სოფელსაც უმწარებს და ეს არის უბედურება და ვაგლახი!

ზაფხულობით ხშირად მეტადრე მოუსვლელი ხილი და ბოსტნეულობა კუჭ-ნაწლევის მოშლას იწვევს. ხოლერობის დროს ეს ძალიან სახიფათოა. მსუბუქი ფაღარათობაც კი ძალიან საშიშია.

ჯანსაღი კუჭი უფრო ბევრ მჟავე წვენს უშვებს საჭმლის მოსახარშავად, ვიდრე მოშლილი კუჭი. კუჭში რაც უფრო ბევრი სიმჟავეა მით უმეტესად ვიბრიონებისათვის ცუდია. კუჭის სიმჟავე ვიბრიონებს ასუსტებს და კიდეც ხოცავს. მოშლილი კუჭი ნაკლებ სიმჟავეს ამზადებს. ავადმყოფი კუჭის სიმჟავე საჭმელსაც არა ჰყოფნის და აბა ვიბრიონებს რას დააკლებს! იმათაც ის უნდათ! ჯანსაღი კუჭი სანამ კარგად არ მოხარშავს საჭმელს, ნაწლევებში არ გადაგზავნის. სულ უკანასანელი ნახევარ საათს მამინც ანდომებს კუჭი საჭმლის შეზავებას. და მერე მთელი სამი ოთხი საათის განმავლობაში უკვე კარგად მოხარშულს, სუყველაფრით შეზავებულ საჭმელს—ჯერ-ჯერად—კუჭ-ნაწლევებს უგზავნის. ასეთი კარგი მეგობარია ჯანსაღი კუჭი ნაწლევებისა. მხოლოდ მშვენივრად დამზადებულ საჭმელს სთავაზობს. ცუდი საქმე ემართებათ ნაწლევებს, თუ კუჭი ავად ეახდა. ავადმყოფი, დასუსტებული კუჭი საჭმელს დიდ ხანს არ იჩერებს. არც ძალა აქვს და არც მოთმინება! თუ კი ისე ვერ მოუვლის და მოხარშავს საჭმელს—როგორც მას უნდა—აბა რა საჭიროა, რომ ედოს საჭმელი და ისე უცქიროს! ამიტომ ავადმყოფი კუჭი იღებს თუ არა პირიდან საჭმელს მაშინათვე—ორი—სამი—წუთის შემდეგ ნაწლევებს უგზავნის. უმი, მოუხარშავი საჭმელი გადადის ნაწლევებში! ვიბრიონებსაც ეს უნდათ! უხარიანთ რომ კუჭის მჟავე წვენს ასცდნენ. კუჭის მჟავე წვენი ხომ მათთვის ნამდვილი საწამლავია! საკმარისი იყო ვიბრონები თხუთმეტი წუთი მაინც დარჩენილიყვნენ კუჭში და მათ კუჭის სიმჟავე ბოლოს მოუღებდა! მაგრამ... ძათი იღბალია კუჭის ავადმყოფობა. კუჭის მოშლილობით ვიბრიონებმა გაიხარეს! ვაი და უბედურება კი ნაწლევებს და მათ პატრონს მიადგათ! ნაწლევებში გადასული ვიბრიონები ისე იკალათებენ, როგორც საკუთარ სახლში. აქ მათ აღარაფრისა ეშინიანთ! არავითარი სიმჟავე ნაწლევებს არა აქვსთ, რომ ვიბრიონებს სიცოცხლე მოუსპონ. ვიბრიონები იწყებენ გამრავლებას. ამზადებენ აუარებელ შხამს. შხამი ნაწლევებიდან წვეთ-წვეთად სისხლში გადადის. სისხლი მთელ სხეულს უვლის. სხეული იწამლება. კვდება... აი ხოლერობის დროს სად მიჰყავთ ადამიანი უმ წყალს, გემრიელ ატამს, ცივ-ცივ საზამთროს და სხვას...

ხოლერის გავრცელება-გადადებაში დიდად სახიფათოა ავადმყოფის განავალი. თუ ჩვენი გაუფრთხილებლობით როგორმე ხელი გავითხვარეთ და შემდეგ უსუფთაობა როგორმე ან საჭმელზედ ან ტუჩზედ გადავიტანეთ—მორჩა

—ავადმყოფობა ჩვენს თავს ჩვენვე შევყარეთ. ხოლერიანის განავალი კიდევ სხვანაირად არის სახიფათო! შინაური ბუზი ხომ მოურიდებელი და ონავარია! ყოველ ნაირ უსუფთაობას აჯდება. ფეხებ და ფრთებ ამოგანგლილი მერე, ვინ იცის საითკენ დაჰკრავს კამარას და საით გაინავარდებს! ვინ იცის ვის ტუჩებზედ გაისეირნებს და გათხიპნილ ფეხებს ვის ულვაშზედ გაიწმენდავს და მერე ულვაშის პატრონი—ღრმად დაფიქრებულ ულვაშს რომ დაიგრეხს და უსუფთაობას ტუჩებში შეიზელავს—ეს ხომ არავინ იცის!! ადამიანი ვერ ჩამოსთვლის ყველა იმ შემთხვევას, თუ ხოლერიანის განავალს როგორ და რამდენაირი გზით შეუძლია ხოლერა გაავრცელოს. აი მაგალითები. ხოლერით ავად გამხდარ შვილს დედამ გათხვრილი, ჭუჭყიანი საცვალი გამოუცვალა. ხელდაუბანელმა პური სჭამა. დაღლილ-დაქანცულს დაავიწყდა ხელის დაბანვა და ავად გახდა.. ავადმყოფი ძმის განავალი დამ გაიტანა ბაკში და ღობის ძირში მიაქცია. წვიმის წყალმა უსუფთაობა ზოგი ჭაში ჩაიტანა, ზოგი კი ბაკის გვერდზედ მოჩუხჩუხე რუში. რამდენიმე დღის შემდეგ ხოლერა მთელ სოფელს მოედო. აბა ვინ წარმოიდგენდა—წვიმამ საიდგან ჩაიტანა ხოლერის ვიბრიონები როგორც რუში ისე ჭაში?!

ხოლერა შეიძლება ძაღლმაც გაავრცელოს. მაგალითი. ბავშების საყვარელმა მეგობარმა მურიამ ტუჩები, ფეხები და კუდი ხოლერიანის უსუფთაობაში გაითხვარა. მერე ბავშევს მიულაქუცა. ენით გალოკა პაწია ბიჭიკო გიგლა და მისი ბიძიაშვილი თამრიკო. ბავშებმა კუდზედ მოავლეს ხელი მურიას და ისე ეთამაშებოდნენ... არ გაიარა ხუთმა დღემ ორივე ბავშვი ხოლერით ავად გახდა...

მაშასადამე ხოლერის სნებას ავრცელებს ჯერ თითონ ადამიანი და იმისი განავალი, შინაური პირუტყვი, მერე წყალი და შემდეგ საჭმელი.

ჰაერით ხოლერა არც გადადის და არცა ვრცელდება. ხოლერობის დროს გარედ უშიშრად შეიძლება სიარული, ოღონდ კი ავადმყოფის განავალს და პირნაღებს ყველა უნდა ერიდოს. თუმცა კი გარედ, ჰაერზედ, მზის ქვეშ არც განავალი, არც პირნაღები იმდენად საშიში აღარ არის. მზის სხივებით გახურებული ვიბრიონები დიდხანს ველარა ცოცხლობენ—ნახევარ საათში იხოცებიან. ამიტომაა უებარი საშუალება ავადმყოფის ტანისამოსის, ლოგინის, საცვლის გამზეურება-მზეზედ გაფენა. რაც უნდა ბევრი ვიბრიონები იყვნენ—მზის სხივებს ველარ გაუძლებენ—ერთიანად ამოიჟლიტებიან. ხოლერობის დროს სახლი, კარ-მიდამო, ეზო რაც შეიძლება სუფთად და მშრალად უნდა შევინახოთ. მორწყვას თავი უნდა დავანებოთ. სისველე-სინესტეში ვიბრიონები ფეხს მოიდგამენ, გაიხარებენ. სიმშრალე კი მათი ბოლოს მომღებია!

ჯანსაღი კუჭი და ხოლერა. ყველამ ვიცით, რომ დაღეჭილი საჭმელი პირიდან კუჭში ჩადის. კუჭი ორი-სამი საათის განმავლობაში საჭმელს კარგად მოხარშავს, სუყველაფრით შეაზავებს და ნაწლევებს უგზავნის. ნაწლევები საჭმელს თავისებურად კიდევ შეაზავებენ—და შემდეგ ასეთნაირად მომზადებულ საჭმელს—მის ნოყიერ წვენს—ნაწლევები წვეთ-წვეთად სისხლს აძლევენ. საჭმლის ნოყიერი წვენი სისხლს მიაქვს და მოარბეინებს სხეულის ყველა კუთხე-

ში-თავში, ხელში, ფეხში, გულში, ღვიძლში და სხვაგან. სისხლს მთელი სხეულის არც ერთი ნაწილი არ გამოეპარება. ყველგან დაივლის. სხეულის სულ მივარდნილ ადგილასაც კი არ დაივიწყებს და მარჩენალ საზრდოს მიუტანს. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის სისხლს. ამიტომაა რომ თუ სისხლით დაიცალა ადამიანი—მაშინ იგი კვდება. საჭმელი ძალიან კარგად უნდა დამზადდეს, რომ სისხლმა მიიღოს, მერე მთელს ტანს დაურბინოს და მიზიდ-მოზიდოს. ამ დიდ საქმეში—საჭმლის დამზადებაში-თუ კუჭი არ იღებს მონაწილეობას საქმე წამხდარია. საჭმელი რიგიანად ვერ დამზადდება. ადამიანი საზრდოს ვერ მიიღებს და დაიღუპება. კუჭს საჭმლის მოსამზადებლად ერთი ისეთი რაღაც აქვს, რაც მთელს სხეულში არ მოიპოვება. ეს არის **კუჭის მჟავე წვენი.** ხოლერის ვიბრიონები კუჭში საჭმელ-სასმელს ჩასდევენ. რა იციან ვიბრიონებმა კუჭში რას შეხვდებიან! მიდიან კუჭში მიუხარიანთ! მაგრამ მათი ჩასვლა კუჭში და კუჭის მჟავე წვნით მათი დაღუპვა ერთია. ჯანსაღ კუჭს დაუპატიჟებელ სტუმრებ ვიბრიონებისათვის—საწამლავი—თავის მჟავე წვენი—საკმარისი აქვს. თხუთმეტი, ოცდაათი წუთი სრულიად საკმარისია, რომ არც ერთი ვიბრიონი ცოცხალი აღარ გადარჩეს. აი ასეთი კარგი დარაჯია ჯანსაღი კუჭი ჩვენი სიცოცხლისათვის. კუჭში ჩასულ მტერს ყარაულად უდგია, იჭერს და ჰკლავს! ჩვენ კი ეს არ ვიცით და სრულიად არ ვაფასებთ ჩვენი ასეთი კარგი მოკეთის კეთილ საქმეს. ხშირად ძალიან უდიერად ვეპეკეთ კუჭს. ვინ იცის რას არ ვაყრით, რითი არ ვწვა ლავთ საცოდავს! უვარგისი, მაგარი საჭმელი, მკვახე, გორხალო ხილი, მწვანე კიტრი, ხრაკი არაყი, ჭანგი ღვინო—ყველაფერი კუჭისთვის საზიანო და საზარალო არ გვენანება. ვაყრით და ვაყრით საბრალოს თითქოს სანაგვე ორმო იყოსო! კუჭიც ვერ იტანს ამდენ უვარგისს საჭმელს-ავადა ხდება, იშლება. და სწორედ აქედან იწყება ჩვენი უბედურებაც. მოშლილი კუჭი მჟავე წვენს საკმარისად ვეღარ ამზადებს. საჭმელს რიგიანად ვეღარა ხარშავს. ვიბრიონებს ვეღარა ხოცავს. ცოცხალი ვიბრიონები ნაწლავ ში გადადიან. და ამის შემდეგ იწყობა მათი ადამიანის დამღუპველი საქმიანობა. **მაშასადამე ჯანსაღი კუჭი ჩვენი მფარველი ყოფილა. გაუფრთხილდეთ მას, რომ ხოლერა აღარ შეგვეყაროს!**

ვიბრიონები და მათი ზნე-ჩვეულობანი. უკვე ვიცით, რომ ვიბრიონები ადამიანის ნაწლევებში მრავლდებიან, და სიმჟავისა ძალიან ეშინიანთ, სასარგებლოა აგრეთვე ვიცოდეთ ვიბრიონები, გარდა ადამიანის ნაწლევისა, სად უფრო ისაძლისებენ, რომელ საჭმელ-სასმელში ან საგნებზედ უფრო ეწყობიან და მალე არ იღუპებიან. ჩვენ რომ ეს ვიცოდეთ ზოგიერთ საჭმელს, ან სასმელს ხომ თვალითაც აღარ დავინახავთ. ეს რძეში ვიბრიონი ორი დღით ისაძლისებს. დამჟავდება თუ არა რძე-ვიბრიონი მაშინათვე ისპობა. სიმჟავე მისთვის ხომ საწამლავია! ამიტომ მაწონი ხოლერობის დროს სრულებით საშიში არ არის. პირიქით სასარგებლოც არის. ადუღებითაც რძეში ვიბრიონები, რასაკვირველია, მალე იხოცებიან. ამიტომ ნადული რძე სრულიად უწყინარია. კარაქ-ერბოში ვიბრიონს შეუძლიან ორმოც და ათ დღემდე გაისაძლისოს, ამიტომ ხოლერობის დროს ძალიან საფიქრებელია მათი ხმარება. ნაყიდი კარაქ-ერბო უნდა გადაიდნოს და ისე იხმარებოდეს.

მშრალ პურზედ ვიბრიონი ერთ დღე-ღამეს ძლივსა სცოცხლობს. უკეთესია ფეჩში გამთბარი ან ცეცხლზედ გახუხული პური იჭამოს. ყოველნაირ ხილზედ-მსხალზედ, ვაშლზედ, ბალზედ და სხვა ვიბრიონი ორიდან შვიდ დღემდე ისაძლისებს. ქაღალდის ფულზედ ვიბრიონი ერთ დღესაც ვერა სძლებს. ოქროვერცხლის ფულზედ კი რამდენიმე საათის შემდეგ ისპობა. ყველაზე დიდ ხანს ვიბრიონი წყალში სცოცხლობს, მეტადრე მღვრიე, ჭუჭყიან წყალში. მდინარის წყალში მთელი თვე მშვენივრად ისაძლისებს. ზღვაში კი ორ თვესაც დასცურავს და არაფრისა ეშინიან. სიცივეს მშვენივრად იტანს. ყინულში მაგალითად, ორმოცი დღე სცოცხლობს. სამაგიეროდ სიცხე არ უყვარს—ვერ იტანს—მალე იღუპება. მზის სხივებს—მათ სიცხოველეს ვიბრიონი ნახევარ საათსაც—ძლივს უძლებს. დუღილი ვიბრიონს ხომ ერთს თვალის დახამხამებაზედა სპობს. წყლისა და სხვა სითხის გადადუღება სწორედ ამისთვისაა საჭირო და სასარგებლო. დიდხანს—ორმოცდაათ დღემდე სცოცხლობენ ვიბრიონები ადამიანის განავალში. ამიტომ განავალი ასე საშიში და სახიფათოა. ჰაერში ვიბრიონები არ დაფრინავენ. ამიტომ ჰაერით ხოლერა არა ვრცელდება. სინესტე ვიბრიონს ძალიან უყვარს. დიდხანს ისაძლისებს ჭუჭყიან-დასველებულ ლოგინ-საცვალში. **მაშასადამე ვიბრიონს ზოგან-ნაწლევში, წყალში—ძალიან უხდება ცხოვრება, ზოგან კი მალე იღუპება—სიმყავეში, სიმშრალეში და სხვაგან.**

(დასასრული იქნება).

ექიმი **ი. ლომოური**

შინ. საქ. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება და პროექტი ასალი საველერინარო ცენტრის შექმნისა.

ამა წლის 25 თებერვალს მომხდარ ექიმ ვეტერინართა ყრილობაზედ დიდ სადავო კითხვად გადიქცა საკითხი, თუ სად უნდა არსებობდეს რესპუბლიკის საველერინარო საქმის ცენტრალური ორგანო. დღეს ის შ. ს. სამინისტროსთან არსებობს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების სახელწოდებით, მაგრამ გამოვიდა ექიმ-ვეტერინართა, ერთი ჯგუფი, რომელიც თავგამოდებით მოითხოვდა არსებულ ორგანოს გაუქმებას და მის ერობათა კავშირის კომიტეტთან მოთავსებას. ამგვარად ყრილობა გაიყო ორ მოწინააღმდეგე მხარედ, ერთი იცავდა შ. ს. სამინისტროსთან დაოვებას, მეორე გადატანას ერობათა კავშირის კომიტეტში. ბევრი ტყვია-წამალი დაიხარჯა ამ შებრძოლების დროს ორივე მოწინააღმდეგე მხრით, მაგრამ ბოლოს ოპოზიციონური ჯგუფი დამარცხდა და გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ ცენტრალური საველერინარო ორგანო უნდა დარჩეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ შ. ს. სამინისტროსთან.

დღეს ამ საკითხსავე ხელმეორედ უბრუნდება ექიმი-ვეტერინარი მამამთავრიშვილი ჟურნალ „ერობის“ მე-7 ნომერში მოთავსებულ წერილში, „ერობათა

უფლებრივი მხარე საველერინარო დარგში", საცა ის ცდილობს დაუმტკიცოს ფართე საზოგადოებას, რომ შ. ს. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების არსებობა ზედმეტია, უაღრესად უსარგებლოა და ხელმძღვანელობა საერობო მუშაობისა და მათი გაერთიანება უნდა გადაეცეს ერობათა კავშირის.

ბ. მამამთავრიშვილი ამბობს, სხვათა შორის, რომ ვითომც საერობო ექიმ-ვეტერინარებს ადგილობრივ გამოეგონოთ ახალი საშუალებანი საქონლის ჭირის მოსპობისა, ეგრედწოდებულ კარანტინით მოსპობა ჭირისა, მაგრამ ეს საშუალება ახალი-კი არა, ძველის ძველია და ახლა უბარყოფილია ყველა კულტურულ სახელმწიფოებში და შემოღებულია, როგორც ნამდვილი, მეცნიერებაზედ დამყარებული, საშუალება,—აცრა საქონლისა შიატით. დღეს აცრით სპობენ საქონლის ჭირს ეგვიპტეში, ტრანსვაალში, ოსმალეთში, ბოლგარიაში, ამერიკაში და სხვაგან. აცრას ადგა რუსეთის ყოფილი სახელმწიფო და აცრასვე ადგია საქართველოს რესპუბლიკა, რომელმაც დაიარსა მცირე ხანში საშრატე სადგური, რომელიც ამზადებს თვეში ჯერჯერობით ოთხ ლიტრა შრატს.

შორაპნის ერობის განძრახვა საშრატე სადგურის აშენებისა გვსმენია მაგრამ, როგორც დანამდვილებით ვიცით, განძრახვა განძრახვადვე დარჩა, ვინაიდგან საშრატე სადგურის აშენებას და მოწყობას სჭირია არა 80.000 მანეთი, არამედ ათეული მილიონები და რაც უფრო ძნელია, მომზადებული საველერინარო პერსონალი, რომელსაც ფულითაც ვერ ვიშოვით.

ზოგიერთ ერობებს ერთი ექიმი-ვეტერინარიც არ მოეპოვება. რომ საერობო თვითმართველობებში სამწუხაროდ საველერინარო საქმე მოკოჭლობს, რასაკვრელია, სხვა-და-სხვა გარეშე და შინაურ გარემოებათა გამო, ეს ცხადია. და თვით ერობათა კავშირის კომიტეტსაც ჯერეთ ვერ მოუხდენია ჯეროვანი ზედმოქმედება ამ მხრივ მათზედ.

ბ. მამამთავრიშვილი აცხადებს, რომ ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ იმ ზარალისა, რომელიც ხალხს მოსდის საქონლის იძულებითი დახოცვით და აცრის შემდეგ სიკვდილიც გაუქმებულიაო, მაგრამ ეს არ არის მართალი. მართალია, 1918 წელს შ. ს. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულმა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ანაზღაურების გაუქმებაზედ, მაგრამ ეს მთავრობის მიერ შეწყნარებული არ იქმნა, ასე რომ ანაზღაურება ისევ დარჩა (იხ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება 11 თებერვლის 1918 წლისა). ბ. მამამთავრიშვილი ამბობს: „მთავრობის საშრატე სადგურს მოჰხმარდა რამდენიმე მილიონი, სადგური-კი ჯერაც არ არის მზადაო". ყველა სამაზრო ერობები დაამოწმებენ, რომ სადგური კაი ხანია მზადაა და შრატსაც უგზავნის, სადაც საქონლის ჭირია. ეს ცოტაა, ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას ხელთ აქვს მრავალი განცხადებანი ერობაში მომუშავე ვეტერინარ პერსონალისა, რომლებიდანაც სჩანს, რომ შრატს ჩინებული შედეგები მოაქვს. როგორ მოხდა, რომ ექიმ-ვეტერინარს მამამთავრიშვილს არ ცოდნია ეს ამბავი. ბ. მამამთავრიშვილი ასე ასკვნის: ერობებმა დიდი უნარი გამოიჩინეს საველერინარო საქმიანობისა, საქონლის ჭირს და სხვა ეპიზოოტიებს

სპობენ თავიანთ-მიერ გამოგონილ საშუალებებით, ერობები იარსებენ საშრატე სადგურებს, პერსონალს თითონ აძლევენ ჯამაგირებს, ხოლო მთავრობის ორგანომ ვერც სადგური დაარსა, ანაზღაურებაც მოუსპო ხალხს, საქმე აღარაფერი დარჩენიარა და მაშასადამე უკანასკნელი უნდა გაუქმდესო. მართლაც ისმება კითხვა, სად უნდა არსებობდეს ცენტრალური ორგანო სავეტერინარო საქმისა საქართველოს რესპუბლიკაში, ცენტრალურ მთავრობასთან, თუ ერობათა ცენტრთან. თუ ურყეველ დებულებად მივიღებთ იმას, რომ მართვა-გამგეობის საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები მთავრობა და ადგილობრივი თვითმართველობა, ხოლო ერობათა ცენტრი—ერობათა თავისუფალ შეთანხმებაზედ დაფუძნებული დაწესებულებაა, რომელიც საჯარო უფლებებით არაა აღჭურვილი, მაშინ თავის თავად ირღვევა ზემოდასმული კითხვა და უნდა სავეტერინარო საქმე ისევე, როგორც სხვა საქმეები, აგრონომიული, სასწავლო ტეხნიკური, საექიმო, სამართლმსაჯულებო გაუყოთ პირველ ორ ორგანოს. აქ იბადება მხოლოდ მეორე საკითხი, თუ რანაირად უნდა გაუნაწილოთ ადგილობრივ თვითმართველობას და ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოს სავეტერინარო ფუნქციები. აქ რასაკვირველია ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადო პრინციპით და არსებული პრაქტიკით, მაგალითად უცხო სახელმწიფოებისა. ეს საზოგადო პრინციპი-კი გვეუბნება: ცენტრალური ორგანო სცემს კანონებს ხელმძღვანელობს, კანტროლს და დახმარებას უწევს კანონების ასრულებაში ადგილობრივ თვითმართველობას, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობა ანხორციელებს ცენტრის მიერ გამოცემულ კანონებს, თვითშემოქმედებითი მუშაობას აწარმოებს მიკუთვნებულ ფარგლებში. ამისდა მიხედულობით ვეტერინარ-სანიტარული საქმიანობა ამ ორ ორგანოთა შორის ასე უნდა განისაზღვროს: ვეტერინარული კანონმდებლობა, უმაღლეს სავეტერინარო სასწავლებლის დაარსება-მოწყობა, საქონლის ჭირთან ბრძოლა, რომელსაც ფართე ეპიდემიური ხასიათი აქვს, ცენტრალურ სავეტერინარო ლაბორატორიის და საშრატე სადგურის დაარსება-გამგებლობა, სამრეწველო საქონელზედ ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და რესპუბლიკის სავეტერინარო საქმიანობის ანგარიშის შედგენა ყველა ეს ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოს საქმეა; ადგილობრივ თვითმართველობათა საქმეა—ადგილობრივ პიროტყვთა მკურნალობა, ყველა ეპიზოოტიათა წინააღმდეგ ბრძოლა თანახმად ცენტრალურ ორგანოს-მიერ შემუშავებულ ზომებისა, მონაწილეობა საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრობასთან ერთად, წარდგენა ვეტერინარულ საქმიანობის ანგარიშისა ცენტრალურ ორგანოში თვიურად, კვირეულად, წლიურად.

სავეტერინარო ფუნქციების ასე განაწილებას თავისი გასამართლებელი საბუთები აქვს. სავეტეოინარო კანონმდებლობის შემუშავება, რომ ცენტრალურ სავეტერინარო ორგანოში უნდა ხდებოდეს ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. უმაღლესი სასწავლებლები არის დაარსებული ყველა კულტურულ სახელმწიფოებში ერთის მიზნით-წმინდა მეცნიერების დასამუშავებლად და სასწავლებლად, არ-ად კი არ აქვთ დაკისრებული კანონ-პროექტების შემუშავება. როგორც ფიქრობს ბ. მამამთავრიშვილი. უკანასკნელს აწარმოებენ ცენტრალურ

მთავრობის სათანადო უწყებები და ადასტურებს დამფუძნებელი კრება ან პარლამენტი. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ არც საველტერინარო ინსტიტუტი გვაქვს და არც საველტერინარო ფაკულტეტი და, შეიძლება, რამდენიმე წელში ვერც მოვახერხოთ მისი დაარსება. ამ შემთხვევაში რა გამოსავალს გვირჩევს ბ. მამამთავრიშვილი. რუსეთსა, გერმანიასა, საფრანგეთს, ამერიკასა, იტალიას და სხვა სახელმწიფოებში მთელი საქონელი იყოფება ორ გვარად: ადგილობრივ ანუ სასოფლო-სამეურნეოდ, რომელიც ადგილობრივ იმყოფება და მეურნეობის აუცილებელ ფაქტორს შეადგენს და, მეორეს მხრით, სამრეწველოდ; რომელიც ჯოგის ან ნახირის სახით ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაირეკვის ან დასაკლავად ქალაქებში ან გასასყიდად. ხშირად სამრეწველო საქონელი გადირეკვის ერთი კიდიდან სახელმწიფოს მეორე კიდემდე, მაშასადამე გაივლის თითქმის მთელს ტერიტორიას სახელმწიფოსას. ეპიზოოტიების ანუ პირუტყვთა გადამდებ სენების გავრცელებაც მომეტებულ ნაწილად ამ მოსიარულე საქონლიდან ხდება და აი იმ თავითვე მთავრობების მეტი ყურადღებაც მიიქცია ამ უკანასკნელმა. რადგან მათი ადგილ სამყოფელი არაა განსაზღრული, განსაზღრული ერების ტერიტორია, არამედ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაა, ამიტომ მასზედ ველტერინარული ზედამხედველის უკეთ განსახორციელებლად მთავრობამ შემოიღო უწყებული შტატი პუნქტის ვეტერინარებისა (ყოფილ რუსეთის სახელმწიფოში), რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში იმავე მოსაზრებით იქმნა დატოვებული. გერმანიაში ეს საქმე აქვთ დაკისრებული იმავე ცენტრალურ მთავრობის ექიმ-ვეტერინარებს. ეს საკითხი სხვათა შორის განსახილველად იყო დასმული სრულიად რუსეთის ექიმ-ვეტერინართა სამივე ყრილობების სხდომაზედ, მაგრამ სამთავე ყრილობამ ერთი და იგივე დადგენილება გამოიტანა იმავე მოსაზრებით, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ (იხ. Труды 3-го съѣзда ветеринарныхъ врачей Россіи 1910 года) ეს რეზოლიუცია-კი ღაღადებს: ვინაიდგან საველტერინარო ზედამხედველობას სამრეწველო საქონელზედ საზოგადო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, ამიტომ ეს საქმე არ შეიძლება გადაეცეს ერობებს, არამედ უნდა დარჩეს მთავრობის ხელში. საველტერინარო ლაბარატორიების და სადგურების დაარსება, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მეტად ძნელია ცალცალკე ერების-მიერ, რადგან ერთობ დიდ ხარჯებს მოითხოვენ ესენი, სახელმწიფო-კი ადვილად აუვა ამ საქმეს; ესეც რომ არ იყოს, სათანადოდ მომზადებული პერსონალი ლაბორატორიასა და სადგურისათვის სულ არ გვყავს. ყოფილ-რუსეთის იმპერიაშიც, როდესაც ველტერინარულ ლაბორატორიას აარსებდნენ, რამდენიმე საერობო გუბერნია ერთდებოდა და ასე შეერთებული ძალით ანხორციელებდნენ თვითეულისთვის ცალკე ძნელ საქმეს. ჩვენი სამაზრო ერობების ქონებრივი ხელმოკლეობა ცნობილია. საჭიროებაც არ მოითხოვს, რომ თვითეულ ერობას ცალკე ჰქონდეს ველტერინარული ლაბორატორია ან საშრატე სადგური. ჩვენი პატარა სახელმწიფოსთვის სრულიად საკმარისია ერთი ლაბორატორია და ერთიც საშრატე სადგური, რომლების მოწყობასაც ცენტრალური მთავრობა ერობების დახმარებით ადვილად განახორციელებს. ესევე ითქმის უმაღლეს საველტერინარო სასწავლებელზედ, რომლის დაარსებაც ადვილია მხო-

ლოდ მთავრობის-მიერ ერობათა დახმარებით. რაიცა შეეხება კანტროლს ადგილობრივ თვითმართველობათა სავეტერინარო საქმიანობაზედ, ამასაც უკეთესად შესძლებს ცენტრალური სავეტერინარო ორგანო, ორგანო რასაც თვით ბ. მამამთავრიშვილი უარს არ ჰყოფს. ანგარიშების შედგენა-დამუშავება შესახებ ეპიზოოტიათა მიმდინარეობისა და საზოგადოდ სავეტერინარო საქმიანობისა რესპუბლიკაში, უეჭველია უნდა სწარმოებდეს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სავეტერინარო ცენტრში.

გარდა ამისა პრაქტიკა და მაგალითი უცხო სახელმწიფოებისა გვიჩვენებს, რომ სავეტერინარო ფუნქციები სწორედ ასე არის განაწილებული ცენტრალურ მთავრობასა და თვითმართველობათა შორის.

ბ. მამამთავრიშვილს თავის წერილში კიდევ ერთი საბუთი მოჰყავს მისის სიტყვით, იურიდიული ხასიათისა, რომელიც ვითომც ამტკიცებდეს მის აზრს სავეტერინარო ცენტრის გადატანისას და მიგვითითებს საექიმო წესდებაზედ, სადაც ლაპარაკია სავეტერინარო ფუნქციების განაწილებაზედ ცენტრალურ მთავრობასა და ერობებს შორის, მაგრამ აი რას გვეუბნებიან მუხლები ამ წესდებისა (იხ. რუსეთის კანონთა კრებულის მე-XIII ტომი, გამოცემა 1905 წლ. თავი მე-II საექიმო წესდებისა, მუხლები 1101, 1102 და 1103).. უმაღლესი ხელმძღვანელობა და მთავარი ზედამხედველობა იმპერიაში პირუტყვთა გადამდებ სენთა მოსპობაზედ და საქონლის ნედლი მასალის გაუვნებლობაზედ ეკუთვნის შ. ს. მინისტრს... და შ. ს. სამინისტროს სავეტერინარო სამმართველოს.... უშუალო გამგებლობა-განხორციელება ვეტერინარ პოლიციურ ზომებისა **ადგილობრივ საქონელზედ** (და არა სამრეწველოზედ) ევალება იმ გუბერნიებში, საცა ერობა არის შემოღებული, საერობო გამგეობებს და სხ. აი ეს გახლავს სწორი ამბავი.

ახალი პროექტი იწერება იმისთვის, რომ საქმე გამოაუმჯობესოს, გამოაუკეთესოს და არა დასწიოს და გააუვარგისოს. ამ პროექტით მისი ავტორი აქუცმაცებს სავეტერინარო საქმეს. და არა გვგონია რომ მან, ვინც საქმეში ღრმად ჩახედულია მოიწონოს ბ. მამამთავრიშვილს პროექტი.

ექიმი-ვეტერინარი **მ. მირიანაშვილი.**

მადლიანი შრომა

ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულშიაო, იტყოდენ ძველები.

ამ ნათქვამს ყველაზე უფრო მეტად ჩვენ უნდა ჩაუკვირდეთ და მისი ძირითადი მოთხოვნილებაც აღვასრულოთ.

ადამიანის ჯანსაღობა ხომ მისი სხეულის ყუათიან კვებაზეა დამოკიდებული. ხოლო ჩვენი ხალხის დიდი უმეტესობა-კი არა თუ ყუათია-

ნად, სრულიადაც ვერ იკვებება, ან თუ სჭამს რასმეს, — უმეტესად ღვარძლა პურს, არა ნოყიერ საჭმელს და მისი სხეულის ჯანსაღობას როგორღა უნდა ველოდეთ. ამას დაუმატეთ ხშირად მისი უმადური, უწესრიგო მუშაობა.

აკი ამიტომაც არც მისი **სულია** აგრე-რიგად ჯანსაღი. ჩვენის ქვეყნის ბუნებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ ეგოდენა სულიერი ძალა და აგერ-იგერ კეთილშობილური გრძნობაც შერჩენია. შენი მტერია, ბუნება რომ არ გვიწყობდეს ხელს, რა დღეში ჩავცვივდებოდით!

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ხალხი შრომის მოყვარე არ იყოს, — პირიქით: გადამეტებითაც მუშაობს და, როგორც ზევითა ვსთქვით, მუშაობს უწესრიგოდ, ან ისეთ საქმეს ალევს ძალ-ღონეს, რაიცა შრომას ნაკლებ აჯილდოვებს.

ჩვენი მშრომელი ხალხი იმშევა და იმშევა კიდევ უფრო იმიტომ, რომ ბუნებისაგან უხვად მინიჭებული პირობები გონივრულად ვერ გამოუყენებია, — მამა-პაპურ წესით შრომის საშუალებანი ვერ გაუმჯობესა და არც მეურნეობის დარგნი გაამრავლფერა.

რისი ბრალია?

უკულმართი, ჩვენს ცხოვრებასთან შეუფერებელი სკოლისა და ხალხში გონივრულ ცოდნის შეუტანლობისა.

ძველმა მთავრობამ დაამხო არა მხოლოდ ჩვენი ხალხის სულიერი კულტურა, სხეულებრივიც. უკულმართმა სკოლამ, თუ კი სადმე იყო, ხალხში ვერ ააჩუხჩუხა ცოდნის ის წყარო, რომელიც ერს დოვლათის მომნიჭებელ ბოლაზად გადაექცეოდა.

და ასეთი სახის სკოლა უმეტეს შემთხვევაში გვიზრდიდა ლაქლაქა და ნაყოფიერ შროჰის, უნარ მოკლებულ უუნარო ხალხს.

სამწუხაროდ ჩვენი სკოლების ასეთი ზერელობა თითქმის დღესაც გრძელდება.

ჩვენი ქვეყანა რომ უფრო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, ეს სადავო არ არის, სადავო მხოლოდ ის არის, რომ ჯერ კიდევ ბევრს ვერ შეუგნია. ამ მიწაზე როგორი მეურნეობა გააჩაღოს, რომ უკეთესად იცხოვროს: მევენახეობა, პურის თესვა, სიმინდი, შიგა და შიგ მეხილეობა, დანარჩენი კი ძლიერ მცირეა. თუ მეურნეობის სხვა დარგებიც შეიძლება ავაყვავოთ, ამაზე ნაკლებს ვფიქრობთ. მართალია, გლეხობამ საჭიროდ აღიარა სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, ორი-სამი ასეთი

სასწავლებელი გვაქვს კიდეც (წინამძღვარიანთ კარის, სადაც შორი კუთხეების ღარიბი მოწაფენი ვერ სწავლობენ, თუმცა მოწაფეთათვის შეღავათიანი პირობებია, თბილისის საბაღოსნო და ქუთაისის), მაგრამ მარტო ეს სასწავლებლები ჩვენს ხალხს საყოველთაოდ ვერ მისცემს იმ ცოდნას, რომელიც მადლიან შრომასთან ერთად ნაყოფიერ ლუკმასაც გაუჩენს.

ჩვენს განახლებულ სოფლის სკოლაში ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ პირველ დღიდანვე მოწაფე თეორიულ ცოდნასთან პრაქტიკულ ცოდნასაც ეწაფებოდეს, ხოლო მასწავლებელი ცხოვრების წყაროს იჩენდეს.

რა არის ეს ახალი საქმე?

ეს გახლავთ დამხმარე მეურნეობა მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და მებოსტნეობა.

ჩვენი ქვეყანა საამისოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს. ძველ საქართველოში განსაკუთრებით პირველ ორ დარგს თვალსაჩინო ადგილი ეკავა. და დღესაც უნდა აყვავდეს.

მეურნეობის ამ დარგთ, თუ რა დიდი და მადლიანი შემოსავლის მოცემა შეუძლიანთ, ამას მტკიცება არ ეჭირვება.

ყოველ სოფელში მოიპოვება ისეთი ნოყიერი მიწები, სადაც სკოლას მეცადინეობა და საკუთარი მეურნეობის გაჩაღება შეეძლება. ამ დარგთა სწავლება ერთსა და იმავე დროს იქნება—ბავშთათვის საამო გართობა-შრომა და მათი წარმოების მეცნიერულ გონივრული შესწავლა.

ამ სკოლებს პირველხანად ერობამ უნდა გაუწიოს დახმარება. თითოეულ სკოლას თავისი ხარჯით უყიდოს რამდენიმე ძირი (სკა) ფუტკარი, გაუჩინოს თუთის (ბჟოლის) ნერგები (სკოლა თითონვე დარგავს), მისცეს ჭიის თესლი და საბოსტნე თესლეულობა. ამ გვარად მიღებულ ფუტკარსა და თესლეულს ყოველი სკოლის მასწავლებელი მოწაფეთა და სოფლელ მსურველთა დახმარებით უვლის. სადაც ასეთი მცოდნე მასწავლებელი არ აღმოჩნდება, საერობო ინსტრუქტორი დაეხმარება, რომელიც მინდობილ უბანს (მთელ რაიონს) ჟამით-ჟამად ჩამოივლის, მასწავლებელ—მოსწავლეთ და სხვა მსურველთაც უსწავლის, როგორ უნდა მოვლა ფუტკარს, როგორ მოიყვანოს ჭია ანუ გააშენოს ბოსტანი, ამასთანავე პრაქტიკულადა მეცადინეობს.

ჩვენი სასოფლო სკოლა ხალხს მაშინ უფრო დიდ სამსახურს გაუწევს, როცა გონებრივ განვითარებასთან ერთად ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნასაც შესძენს.

ეს საქმე არც თუ ძნელი შესასრულებელია: ერობას მხოლოდ ერთხელ დასჭირდება ხარჯის გაწევა, რომელსაც ათწილ და ასწილ აინაზღაურებს, როცა ხალხი დოვლათით აივსება.

ყოველ ერობას ჰყავს აგრონომი, ასევე უნდა დაიქირავოს მეფუტკრე—მებარეშუმე და ეს აზრი ცხოვრებაში გაატაროს.

უკვე დავრწმუნდით, რომ ერის, ხალხის თვითარსებობის ერთი ნიშანდობლივი საბუთთაგანი მისი შემოქმედებითი შრომაა, მისი ნაშრომის ნაყოფიერება და დოვლათი.

საერთაშორისო მდგომარეობის აწეწვ-დაწეწვამ ქონებრივ—უფლებრივი ვითარება ისე არივ-დარია, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ კაი ხანს არ ჩადგება წესიერ კალაპოტში, და ვინ იცის, სად გაგვრიყავს, თუ დიდი გამჭრიახობა და მუყაითობა არ გამოვიჩინეთ!

იოსებ იმედაშვილი.

პატარა წერილები.

მილიცია.

ანარქიამ, უწესრიგობამ შთანთქა დიდი რუსეთი. სახელმწიფოებრივ ალმაშენებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია მაშინა, როცა სახელმწიფოში, შშვიდი, ნორმალური ცხოვრება არ სუფევს. ანარქია, სხვა და სხვა ბოროტმოქმედების სახით, სამწუხაროდ, თან დაყვა რუსეთის რევოლიუციას; რუსეთის ამ საერთო მოვლენიდან ვერც საქართველომ გადირჩინა თავი. განსაკუთრებით ჩვენი დამოკიდებულების პირველ ხანებში, როცა ერთმანეთში იყვნენ არეულნი ჩვენი მტერ-მოყვარენი, ხშირი იყო ბოროტმოქმედებანი. ადმინისტრაცია სუსტი და უდისციპლინო იყო, ბევრი მოხვდენ მათ შორის ისეთი ავაზაკები, რომლებსაც თვითპყრობელობის მთავრობაც კი სდევნიდა; ისინი მოქმედობდენ, უსანქციოთ, უხელმძღვანელოდ, როგორც სურდათ და შოეპრიანებოდათ ისე ჭრიდენ სამართალს: მათ თვითნებობას და თავხედობას არ ქონდა საზღვარი, მაგრამ მის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა შედარებით, ადმინისტრაციის გასაწმენდათაც სასტიკი ზომები იქნა მიღებული და ვფიქრობდით ეხლა მაინც აღარ იქნებოდა ადმინისტრაცია—მილიციის მოხელეთა

შორის ისეთ, რომელსაც დაახლოვებით მაინც არ ქონდეს წარმოდგენილი თავის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით, როცა „გაზ. ერთობის“, ერთ უკანასკნელ ნომერში წავიკითხეთ მილიციის მიერ ჩადენილი შემდეგი აღმაშფოთებელი ამბავი.

„ს. გოგოლეისუბანი“. დ. ჩოხატაურის მახლობლად, სოფ. გოგოლეისუბანში, ექიმი ვიქტორ ალმასხანის-ძე სიხარულიძის დროებით დატოვებული სახლი, ვიღაც სოფლის წვრილფეხა ქურდ ბაცაცებმა გასტეხეს და გაიტანეს სხვა და სხვა საოჯახო ნივთები.

ამ საქმეზე, სოფლის არჩეულმა კომისიამ იქვით წარუდგინა ჩოხატაურის თემის მილიციის უფროსს ამავე სოფელში (გოგოლეისუბანში) მცხოვრები 5 კაცი: სამი უბრალო მუშა და ორიც ჩოხატაურის გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფე. კომისიისაგან იქვით წარდგენილი პირები მილიციის უფროსმა რაფიელ ცინცაძემ დააპატიმრა და მოათავსა ადგილობრივ სატუსაღოში.

სამი დღის შემდეგ, 4 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, მილიციის უფროსი ცინცაძე თავისი მილიციონერებით შებრძანდა სატუსაღოში, გააღვიძა ტუსაღები და ორ მათგანს (მოწაფეებს) სიკვდილით დასჯა გამოუცხადა: „ადექით ჩქარა, წამოდით სახჩობელაზე“,—უბრძანა უფროსმა ბავშებს.—ნამძინარევი ბავშები ტირილით ემუდარებოდენ: „არა ვართ დამნაშავე და ნუ დაგვხოცავთ, ბატონო“. მაგრამ ძლევამოსილ მილიციის უფროსს არ ესმოდა ეს და გამოიყვანეს ბავშვები გარედ.

რევოლვერებით და თოფებით ხელში მიჰყავდათ უწლოვანი ტყვეები ღამის სივრცეში!.

ამათ შემოხვდათ კიდევ ორი თავ-პირშეხვეული კაცი, ვითომდა ოზურგეთიდან ჯალათებად გამოგზავნილები...

ბავშვები მიიყვანეს გიმნაზიის გვერდით, ხის ძირში, გააჩერეს და უბრძანეს „გაეხადათ ტანზე“, რადგანაც ხეზე უნდა ჩამოჰკიდონ,..

— „არ მინდა ბატონო ტანზე გახდა,—ცრემლებით უპასუხებდა მოწაფე გოგოლაძე.

— „გამოტყდი დანაშაულობაში და არ დაგახჩობთ“,—რევოლვერ ამოღებული ეუბნებოდა მილიციის უფროსი, მაგრამ, როცა კატეგორიული უარი მიიღო მოწაფისაგან,—ბრძანა, გადაწყეტილება მოეყვანათ სისრულეში...

სახჩობელაზე ასაწევად გაჭზადებულ მოწაფე გოგოლაძეს ესმოდა მეორეზე ჩამოკიდებულ მოწაფე ამხანაგის ხრინწიანი, მომაკვდავი ხმით

კვნესა. ამისათვისაც უკვე თოკი გაამზადეს, გადააბეს კისერზე და ასწიეს ხის ტოტზე...

სკოდავმა ერთ ხანს იომა — იფორთხალა, იკვნესა და შემდეგ, როცა მოძრაობა დაეკარგა, კვნესა შეწყვიტა, თვალები დაუფართოვდა; —ჩამოხსნეს ის!..

— კიდევ არ გამოტყდები? ეკითხებოდა მილიციის უფროსი, მაგრამ მხეცთა მსხვერპლს საამისო თავი არ ჰქონდა,

ამ რიგად, მილიციონერებმა ისინი დააგდეს ბაზარში... ბაზარის ყარაულებმა იგინი იპოვეს და ეს საშინელება წამსვე მათ მშობლებს აუწყეს. მშობლებმა კივილ-წივილით მოიკითხეს თავიანთი შვილები და ერთმა მათგანმა, გოგოლაძემ თავისი შვილი თოკით კისერ დაგლეჯილი წაიყვანა ოზურგეთში. იქ-კი მაზრის მილიციის უფროსის ბ-ნ თაყაიშვილის გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა, რომელმაც საჩქაროდ მოიწვია სამაზრო ექიმი, შეამოწმებინა ბავშვის წვალება, შეადგინა ოქმი და საქმე გამომძიებელს გადასცა.

რას ნიშნავს ეს, ამაზე შორს წავა ადამიანის ბარბაროსობა? ვინ მისცა ამის ნება უფლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში მილიციას? ან განა შეიძლება ასეთი სასტიკი საშუალებით დანაშაულობის აღმოჩენა, ეს არის მეთოდი ადმინისტრაციული საქმიანობისა? კიდევაც, რომ ეთქვათ მილიციისთვის ამ სხვერპლთ დამნაშავე ვართო, იმ დროს, როდესაც მათ ჯალათები სიცოცხლეს ართმევდენ, განა ეს გამოდგებოდა ბრალდების დამამტკიცებელ საბუთად?! რასაკვირველია არა. ამ აღმაშფოთებელ საქციელს გარდა სხვა ფაქტებიც ხშირად იბეჭდება გაზეთში. დროა, საბოლოოდ გაიწმინდოს მილიცია; დღეს ხალხი მთავრობის ავ-კარგიანობას მილიცია — კოშისრებით ზომავს, თუ რამე ჩაიდინა სამარცხვინო მილიციამ, მთავრობის ბრალია, ამისათვის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეცადოს, რათა განდევნოს მილიციიდან მექრთამეები და სხვა და სხვა დამნაშავენი, სასტიკათ უნდა დაისაჯოს, ამ შეჭთხვევაში ჩოხატაურის რაიონის მილიციის უფროსი და ძმანი მათნი; მაგრამ ამ საქმეში აუცილებლად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ერობებმა, დღეს ფაქტიურად მათ განკარგულებაშია მილიცია, ის ინახავს მათ; ერობის გამგეობა არის უმაღლესი ადმინისტრატორი მაზრაში და ამისათვის მილიციის ავ-კარგიანობის პასუხისმგებლობაც მას აწვევს კისრად. ერობებმა და თემებმა სასტიკ კონტროლის ქვეშ უნდა იყოლიონ თვითეული მილიციის მოხელე, სასტიკად უნდა დასაჯოს უბრალო ბო-

როტმოქმედებისთვისაც კი; ეს გარემოება აღამაღლებს ერობის ავტორიტეტს, ხალხში ნდობასა და სიმპატიას დაბადებს ერობისადმი, რაც მეტად შეუწყობს ხელს ერობის საქმიანობის ნაყოფიერებას,

მასწავლებელთა მდგომარეობა.

დღევანდელმა ზღაპრულმა გაჭირვებამ რესპუბლიკის ყველა დარგის მუშაკნი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა: ყველა პურზე მოსთქვამს, ყველა შეშაზე ლაპარაკობს... მაგრამ ყველაზე უფრო გოდებს მასწავლებლობა; მასწავლებლის მდგომარეობა ყოველთვის ცუდი იყო, მას მაშინაც შიოდა და სწყუროდა, როცა ყველაფერი უხვად იყო; ეს იმიტომ, რომ მასწავლებლის პიროვნება აბუჩად იყო აგდებული, ის ყველას დაბალ ღობედ მიაჩნდა; სწავლა-განათლების საქმეს ჩვენი ძველი „ჭირისუფალნი“ ალმაცერად უყურებდენ და რა გასაკვირია თუ სულაც არ ზრუნავდენ მასწავლებლის ნივთიერი და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ დღეს დროსა შეიცვალოს ძველი შეხედულება მასწავლებლის შესახებ; ამ მუშაკის მუშაობა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და მძიმეა; მის საქმიანობაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი თაობის ბედი; ამისათვის მასწავლებელი ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნივთიერად, მაგრამ ის ყველაზე უფრო გაჭირვებულია. აი ამის დასამტკიცებლად სალიუსტრაციო მაგალითი, აი როგორ ემუდარება მასწავლებელი საზოგადოებას:

ისმინეთ: ჩვენ ვამბობთ, ყველას გასაგონად, რომ სკოლა დაღუპვის კარამდეა მისული. მას დიდი დახმარება ესაჭიროება, დახმარება ყველასაგან. აღარ შეგვიძლია მარტო გაუძღვეთ ამ საქმეს, ცხოვრების აუტანელ პირობებთან ბრძოლაში მოქანცულებს აღარ შეგვწევს ძალა და უნარი სკოლის გადასარჩენად. იცით ყველამ, თუ რა პირობებში ვაწარმოებდით მუშაობას ამ ორი-სამი წლის განმავლობაში. სკოლა და მასწავლებლობა არც თუ უწინ ყოფილა კარგს პირობებში, მაგრამ აწინდელი ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი გახდა. ყოველივეს ვითმენდით მხოლოდ იმ შეგნებით, რომ ჩვენ ვქმნით დამოუკიდებელ რესპუბლიკას, თავისუფალი ერის შეგნებას, მის მომავალს. ამ შეგნებას ბევრი ჩვენგანი მსხვერპლად შეეწირა, ბევრმა მის სამსხვერპლოზე თავისი ჯანმრთელობა მიიტანა. ვითმენდით ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავლის შესაქმნელად, სკოლის გადასარჩენად. კიდევ მოვითმენდით, რომ შესაძლებელი იყოს, მაგრამ ამაზე მეტის მოთმენა ყოვლად შეუძლებე-

ლია. სკოლას ერთად ერთი მესვეური შერჩა ამ ჟამად ჩვენში. ეს მესვეური მასწავლებელია. და ეს მასწავლებელი სიმშილისაგან გამოფიტული და სიცივისაგან შეწუხებული, ფეხშიშველი, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი სასიკვდილოდაა განწირული. მას დღეს თუ ხვალ სული ამოხდება. სული ამოხდება სკოლასაც. ეს ასე არის. და ეს რომ მართლა ასეა ამაში დაგარწმუნებსთ ხვალინდელი დღე, თუ სასწრაფო ზომები არ მიიღეთ.

ჩვენ, მასწავლებლებს, გადაწყვეტილი გვქონდა და გვაქვს ჯანასკნელ შესაძლებლობამდე ვიდგეთ სკოლის ინტერესების სადარაჯოებზე. არავინ არაა სკოლის ბედით დაინტერესებული ისე, როგორც მასწავლებლობა. ეს რომ ასე არ იყოს, მასწავლებლობა აქამდე მიატოვებდა სკოლას ისეთ პირობებშია დღეს ის ჩაყენებული. ჩვენ, სანამ ბრძოლის უნარი შეგვრჩენია, არავის არ მივცემთ სკოლის დანგრევის ნებას. მაგრამ ჩვენ თუ დავეცით ამ ბრძოლაში, დაეცემა სკოლაც. სკოლის გარეშე კი ერს არსებობა არ შეუძლია. ამას დამტკიცება აღარ სჭირდება. მთავრობამ უძლურად გამოაცხადა თავისი თავი სკოლისა და მასწავლებლობის გადარჩენის საქმეში. ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე. ჩვენ დაგვეხმარებიან მოსწავლეთა მშობლები, ფართო საზოგადოება, მთავრობა ხელს ნუ შეგვიშლის...

ისმინეთ, ისმინეთ ეს ყველამ, ვისთვისაც სანუკვარია ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენი ახალი თაობის გადარჩენა"...

ჩამაფიქრებელი სტრიქონებია, მშობელთათვის და მთელი საზოგადოებისათვის...

მართლაც იქნება შევისმინოთ შევიგნოთ მასწავლებლის მდგომარეობა; უკეთესად თუ არა ისეთ პირობებში მაინც უნდა ჩავაყენოთ მასწავლებლები, როგორც არიან სახელმწიფო დაწესებულებების საშუალო მოხელენი.

ამ დღეებში მოხდა აგრეთვე სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენცია, რომელმაც წაუყენა მთავრობას სხვა და სხვა მოთხოვნილებანი. მაგრამ ამ საერთო ეკონომიურ კრახის დროს რა უნდა ქნას მარტო მთავრობამ; თუმცა მასაც კარგად ესმის მასწავლებელთა მდგომარეობა, მაგრამ დღეს სახელმწიფოს ფინანსიური ეკონომიური მხარე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვეჭვობთ მთავრობამ მინიმუმი მაინც დააკმაყოფილოს წაყენებულ მასწავლებლის მოთხოვნათა. ამისათვის საჭიროა ფართო საზოგადოებრივი დახმარება მშობლების, საზოგადოების

მხრივ. ერობები და თემები თავიანთ რაიონის მასწავლებლებს უსათუოდ უნდა დაეხმაროონ ნატურით, სიმინდით, ლობიოთი და სხვ. ამ დახმარებას არ უნდა ჰქონდეს „ბეგარის“ ხასიათი. ეს უნდა მოხდეს ხალხის შეგნებული ელემენტების დახმარებით, ისე რომ ამ გარემოებამ ოდნავათაც არ დაბადოს უკმაყოფილება ხალხსა და მასწავლებელთა შორის, არც მასწავლებლის თავმოყვარება უნდა შეილახოს.

მომარაგების სამინისტრომ კი უსათუოდ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები, რომ ყველა კათეგორიის მასწავლებელს იქნება ის სოფლად თუ ქალაქად მიეცეს იგივე დახმარება, რაც ეძლევა ქალაქში მყოფ სახელმწიფო მოხელეებს; ასეთი საშუალებანი ოდნავ მაინც გააუმჯობესებს მასწავლებლის მდგომარეობას და მისცემს მას საშუალებას ნახევრად „ფერდებ ამომსილმა“ მაინც განაგრძოს თავისი მძიმე მოვალეობა; თორემ „ბონებით“ დახმარება, დღეს ჩვენ აღარ მიგვაჩნია არავისათვის საშველ მასალად; პირიქით მათი სიმრავლე გვლუპავს.

დასაურულ მასწავლებლობა ჩვენს რესპუბლიკის მოწინავე და შეგნებულ ელემენტებისაგან შესდგება და ამისათვის ჩვენ სრული იმედი გვაქს, რომ ის არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც დისონანს შეიტანს ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და დაარღვევს რესპუბლიკის მთლიანობას...

მისაბაძი მაგალითი.

ჩვენ სწავლა-აღზრდის წესიერად მიმდინარეობას ძალზე აფერხებს მასწავლებლობის კრიზისი. არა გვყავს მომზადებულ მასწავლებელთა საკმაო რიცხვი, რის გამო იძულებული არიან ხშირათ ერობები და თემები სკოლა ჩააბარონ სუსტ, სრულიად მოუმზადებელ მასწავლებელს; ეს ჩვენ დიდ ბოროტებათ მიგვაჩნია, რადგანაც მოუმზადებელ მასწავლებელის ხელში ფუჭდება რაოდენიმე ნორჩი სიცოცხლე. სპეციალური ცოდნა აუცილებლად საჭიროა მასწავლებლისათვის, უიმისოდ მას სწავლა-აღზრდის საქმე არ უნდა ვანდოთ.

განსაკუთრებით მასწავლებლის დიდი კრიზისია დღეს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში; ვინ არ გინდათ, რომ არ მასწავლებლობდეს აქ: მღვდელი, დიაკონი, ხშირად საშუალო სკოლის მოწაფენიცკი.

ხსენებული სასწავლებლისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად შარშან დაარსდა საპედაგოგიო ინსტიტუტი, რომლის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ერთხელ კიდევაც გვქონდა ლაპარაკი პატარა

წერილებში; ჩვენ მოუწოდებდებით ერობებს დახმარებოდენ ამ სასწავლებელში სწავლის გაგრძობის მსურველთ, მაგრამ ჩვენ ხმას დღეს მარტო ბორჩალოს ერობა გამოეხმაურა; მან დაარსა ორი სტეპენდია ინსტიტუტში, ეს მისაბაძი მაგალითია, ყველა ერობებისა და თემებისათვის. საჭიროა ყველა ერობებმა დაარსონ რაოდენიმე სტეპენდია, სამაგიეროდ მისი სტეპენდიატი ვალდებული იქნება იმსახუროს მის სკოლებში ერთი თუ ორი წელიწადი. ამის შესახებ საპედაგოგიო ინსტიტუტის მსმენელთა გამგეობაც შემდეგის თხოვნით მიმართავს ერობებს:

ვინაიდან მსმენელებისთვის მეტად მოუხერხებელია სამსახურში შესვლა და ამავე დროს ლექციების მოსმენაც, რაიგან მეტად მნიშვნელოვანი ლექციები მსმენელთათვის იკითხება დღით სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამიტომ მრავალი მსმენელი ნაცვლად ენერგიულ მეცადინეობისა, იძულებულია ლუკმა პურის ძებნაში ჩამოშორდეს მეცადინეობასაც. ამიტომ მივმართავთ რესპუბლიკის სამაზრო ერობებს, სხვა და სხვა დაწესებულებათ და ქველმოქმედთ სტიპენდიების დაარსებით თუ კერძო დახმარებით კეთილ ინებონ და ხელი შეუწყონ მეცადინეობას ჩვენი ერის და მოზარდ თაობის საკეთილდღეოდ.

ასეთივე წინადადებით მიმართა ყველა ერობებს ინსტიტუტის დირექტორმა.

მართლაც ძნელია ლუკმა პურისათვის ზრუნვა და მაცადინობა ერთად; ასეთ პირობებში არ იქნება ჯეროვანად ნაყოფიერი მსმენელთა მუშაობა; ამისათვის ერთხელ კიდევ მივმართავთ ჩვენც ერობებს მიბაძონ ბორჩალოს ერობას და დაარსონ სტეპენდიები ინსტიტუტში; ამით ისინი დიდათ შეუწყობენ ხელს სწავლა-აღზრდის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას, რაც უნდა შეადგენდეს უმეტესად მათ საზრუნავ საგანს.

გრ. სა—ქედელი.

ორკვირეული მიმოხილვა

ბევრი რამ საგულისხმო მოხდა ამ ორი კვირის განმავლობაში. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც მეთაურობს ოსმალთა იმპერიალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი ქემალ-ფაშა. სომხეთი სუსტი გამოდგა ბა-

ქემალის ბანდებთან ბრძოლაში, უკეთ რომ ვსთქვათ, მან ვერ გაუძლო უთანასწორო ბრძოლის მწვავე შედეგებს; ამ უკანასკნელ დროს შეწყვეტილია ცნობების მიღება სომხეთიდან, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ქემალ-ფაშამ მოახდინა სომხეთის ტერიტორიის საუკეთესო ნაწილების ოკუპაცია. სომხეთის ამ ტრაგედიას არ შეუძლია გულხელ დაკრეფილი შეჰყუროს საქართველოს დემოკრატიამ; მეზობელ სახელმწიფოში ასეთი მდგომარეობა ართულებს ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებასაც, რადგანაც საქართველოს დემოკრატია დარწმუნებულია, რომ ქემალ-ფაშის გეგმები უფრო ვრცელია, ის სომხეთის ტერიტორიას ცილდება; თუ ქემალ-ფაშის ბანდებს შესაძლებლობა მიეცა, ისინი მიზნად დაისახავენ გადმოთელონ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიც. ეს კარგად იცის და აქვს შეგნებული დამფუძნებელ კრებას და საქართველოს მთავრობას. მიტომ იყო რომ 5 ნოემბერს მოხდა დამფუძნებელი კრების არა ჩვეულებრივი სხდომა; დეპუტატებმა ერთ ხმად აღიარეს მოსალოდნელი საფრთხის შესაძლებლობა და გადასწყვიტეს მოუწოდონ მთელ ერს საბრძოლველად, თუ მტერი ჩვენ ტერიტორიაზე შემოჭრას გაბედავს. მთავრობამ კი გამოაცხადა მობილიზაცია 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულ ახალგაზდობისა; მართალია მოსწყინდა ჩვენ ხალხს ამდენი ომები, მას მოსვენება ესაჭიროება, მაგრამ ერთხელ კიდევ მოითხოვს მისგან მსხვერპლს ბორკილ აყრილი, დემოკრატიული სამშობლო; ამისათვის ჩვენ ღრმად ვვრწამს, რომ უკანასკნელი მობილიზაციაც მწყობრად ჩატარდება; ამის დასამტკიცებლად გვაქვს ცნობები რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებიდან, სადაც ბრწყინვალედ, სრულიად ძალდაუტანებლივ ტარდება მობილიზაცია. ჩვენს ერობებს მეტად ბევრი სამუშაო აქვთ ამ მობილიზაციის დროს; უმთავრესად მათი საქმიანობაზეა დამოკიდებული შინაური ფრონტის სიმტკიცე და ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ, როგორც ერობები ისე თემები გაამართლებენ სახელმწიფოს წინაშე მათზე დამყარებულ იმედებს.

* * *

რომ ქემალ-ფაშის საფრთხე ჩვენთვის მოსალოდნელია ამას ადასტურებს ის პროვოკაცია, რომელსაც დღეს აწარმოებენ ქემალ-ფაშის მოსყიდული აგენტები სამუსულმანო საქართველოში. ოსმალეთი დიდი ხანია კბილებს უკრაჭუნებს ბათუმსა და მის ოლქს, მაგრამ ეს ვერ შესძლო ერთ დროს ძლიერმა ოსმალეთმაც, კი მით უმეტეს ეს უფრო

ძნელი იქნება ქემალ-ფაშის ბანდებისათვის, თუმცა ქემალის მიზნების განსახორციელებლად ბათუმის პორტის ხელში ჩაგდება საუკეთესო იარაღი იქნებოდა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ოლქში დღეს ასეთ აგიტაციას კიდევაც აქვს გასავალი ზოგიერთ შეუგნებელ ჩვენ თანამოძმე მუსულმანთა შორის; მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ რომ საქრისტიანო საქართველო მუდამ მათან იყო გაჭირვების დროს; გავიხსენოთ საქართველოს მონაწილეობა ომის დროს მოღალატეობა რომ დასწამა აჭარას რუსეთის მთავრობამ, სამუსულმანო საქართველო გააპარტახეს სულ რაოდენიმე ხნის განმავლობაში ასკერებმა, ამ დროს აქ საქართველო კულტურულ მუშაობისათვის მოღვაწეობდა. მართალია ჩვენც მიგვიძღვის ბრალი ჩვენ თანამოძმეებთან—დროზე ვერ მივაქციეთ ამ საუკეთესო კუთხეს ყურადღება, გვიან შევეცადეთ შეგნების და სინათლის შეტანას ამ ჩვენ განუყოელ მოძმეთა შორის; თორემ ჩვენ, რომ იქ ადრევე დაგვეწყო მზრუნველობა სამუსულმანო საქართველოს შემოსაერთებლად, ხალხი უფრო გათვითცნობიერდებოდა; ის აღარ დაიწყებდა აქეთ-იქით ქანაობას ქარიშხალის დროს, მაგრამ ეხლა გვინდაა წარსულზე მოთქმა; დღეს სამუსულმანო საქართველო ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის განუყოელი ნაწილია; დღეს ის ჩვენ მფარველობის ქვეშ არის. ამისათვის საჭიროა ისტორიულად ძველს და განუშორებელ ორგანიზმს, მაგრამ ეხლა მაინც ნორჩს, მეტი სიფაქიზით, წინდახედულობით მოვეპყროდ. თვითეული ადმინისტრატორს იქ, დაწყებული უბრალო მილიციის მოხელიდან, ვიდრე ოლქის საგანგებო კომისრამდე ნათლად უნდა ქონდეს შეგნებული თავისი მძიმე მოვალეობა; ადმინისტრაცია აქ მეტის მოწიწებით და თანაგრძნობით უნდა მოეპყროს ხალხის ტრადიციებს, ადათ-ჩვეულებებს, სჯულს. თვითეულ ქრისტიან ქართველ ადმინისტრატორში მუსულმანმა ქართველმა უნდა დაინახოს ნამდვილი თავისი საკუთარი ინტერესების მიუდგომელი მფარველი და პატრონი; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწი მაინც კეთილად წარემართება აჭარის გამგებლობის საქმე. დღიურ წესრიგში სდგას აგრეთვე აჭარისათვის ავტონომიის საკითხი; საამისო მუხლი შეტანილია ჩვენ საკონსტიტუციო დებულებებში. აჭარის ისტორიაში აღსანიშნავია აგრეთვე მეჯლისის საქმიანობა, რომელიც მუდამ მიმართული იყო ჩვენთან შესაკავშირებლად; მეჯლისმა პირველად აღიარა „მღვთისა და ერის წინაშე“, რომ აჭარას სურს ჩვენთან ერთად სიკვდილიც და სიცოცხლეც. დღეს ქემალ-ფაშის პროვოკაციასთან ბრძოლას განაგრძნობს

ეს მეჯლისი, მან ამ მიზნით გამოსცა მოწოდება, რომელითაც ასე მიმართავს ხალხს:

სამუსულიმანო საქართველოს ფრიად გაუმრავლდენ ათასი უპასუხისმგებლო პიროვნებანი, რომელნიც აღელვებენ, რა არის, ყველას თვალები აუხვიონ და არევ-დარევა შეიტანონ თქვენში.

თქვენ შეგასმინეს და გასმენენ კიდეც, ვითომც საქართველოს მთავრობა მტერია თქვენი, ვითომც საქართველოს მთავრობა გიუქმებდეთ სკოლებს და რწმენის გულს მახვილით გიგმირავდნენ!..

მამულიშვილნო, ვისაც სჯერა ასეთი სიტყვა, ის ყოვლად დაბეჩავებული იქნება! ნუ თუ დიად წარსულის შვილებს, სახელოვან მამა-პაპათა შთამომავლებს შეგშვენით ასეთ შხამიან სიტყვებს დაუჯერონ, რასაც ბოროტი და ჩვენი ერის მტრები ანთხევენ?

მამულიშვილნო! ჩვენ გიგზავნით ჩვენს მოციქულებს და გახარებთ სასიხარულო ამბავს, რომ საქართველოს მთავრობამ რაც გვითხრა, რასაც დაგვპირდა იმ თავითვე, კიდეც ხელმტკიცედ აგვისრულებს: სამუსლიმანო საქართველოს გვეძლევა ავტონომია, რაც უკვე აღნიშნულია დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად განმზადებულ კონსტიტუციის მე-120 მუხლში,

ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვამოწმებთ, რომ სამუსლიმანო საქართველოსთვის ეს სიტყვა - „ავტონომია“ არაა ცარიელი სიტყვა, რომ მეჯლისიც და სრულიად საქართველოს მთავრობაც მალე შეუდგება მთავარი გეგმის შედგენას, თუ რა სახით და როგორი უნდა იყოს ჩვენი ავტონომია!

მამულიშვილნო! ჩვენ გვგონია, რომ ამ დიდ სიხარულს თქვენც სიხარულით მიიღებთ და ყველა ჩვენს მტრებს ფრთებს შეაკვეცავთ, რომ შეცდომაში არ შეგვიყვანონ!

გახსოვდეთ მარად, რომ თქვენ მარტონი არა ხართ, რომ თქვენ გყავთ უზენაესი მფარველი თქვენი, მეჯლისი, რომელიც პასუხის-მგებელი იყო და იქნება ყოველს თქვენს ბედნიერებისა და უბედურობისა!

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ძმა ქრისტიანები მზათ არიან ჩვენი ჭირი და ლხინი ჩვენთან ერთად ვაიზიარონ!

მაშ ფრთხილად, მამულიშვილნო,!

ღმერთი ჩვენთანაა და საზოგადო გაჭირვებიდან, რომელიც ერთნაირად გვაწუხებს ჩვენც, მუსლიმანებს, და იმითაც, ჩვენს ქრისტიან ძმებს, ის გამოგვიყვანს, არ გაგვწირავს, როგორც არ გაგვწირა საუკუნეთა განმავლობაში!

მაშ ჩვენთან, მამულიშვილნო! ისმინეთ მეჯლისის სიტყვა და დარიგება!

ნუ ენდობით ცრუ და ამაღელვებელ ხმებს!

*
* *

ჩვენი საგარეო პოლიტიკა დღითი-დღე მტკიცდება. თითქმის ევროპის ყველა დიდმა სახელმწიფოებმა აღიარეს ფაქტიურად ჩვენი დამოკიდებულება. ამ მხრივ საყვედური არ გვეთქმის საგარეო სამინისტროსადმი. მაგრამ მარტო „დე-ფაქტო“ არ კმარა, საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა. წარსულ კვირაში კიდევაც მივიღეთ ცნობები; პირველი: „გერმანიამ“ 24 სექტემბერს საქართველოს „დე-იურე“ აღიარა და დანიშნა თავის ელჩად საქართველოში ბ-ნი ულრის რაუხენი მეუმრავლესე სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრი. მეორე: საგარეო საქ. მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის მეცადინეობით მოკავშირეებმაც იცნეს ფორმალურად ჩვენი სახელმწიფოებრიობა. გერმანიასთან მეგობრულ განწყობილებაში ჩვენ არასოდეს არ შეგვპარია ეჭვი, მაგრამ დღეიდან მაინც უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება ჩვენ შორის კეთილი კავშირი. რაც შეეხება ანტანტას, არც მის წინააღმდეგ გვქონია რამ არასოდეს. მართალია ზოგიერთ მოკავშე სახელმწიფოების წარმომადგენელთ ჩვენში მეტად გამოურკვეველი და ორჭოფი პოლიტიკა ეჭირათ, რაც ხშირად აძნელებდა ისეთაც გართულებულ ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ამიერიდან მაინც დავიწყებას უნდა მივცეთ ყოველივე მწარე მოგონებანი.

*
* *

არა ნაკლებ მნიშვნელოვან აქტად უნდა ჩაითვალოს ადერბეიჯანთან და საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულების დადება, რომელიც 14 ნოემბერს მოხდა. ეს შეთანხმება მოკლედ შემდეგში მდგომარეობს:

საქართველო, რუსეთი და ადერბეიჯანი საურთიერთოდ თავისუფალ ტრანზიტის უფლებას ანიჭებენ ერთმანეთს.

რუსეთი და ადერბეიჯანი ვალდებულნი არიან აძლიონ საქართველოს ნავთის პროდუქტები პირველ თვეში დღიდან საქართველოს რკინის გზის პირველ სამარშრუტო მატარებლის ბაქოში მისვლისა 150 ათასი ფუთი, და შემდგომ, მეორე თვიდან დაწყებული, თითო მილიონი ფუთი ყოველ თვე.

მთელი ეს ნავთის პროდუქტები რუსეთისა და ადერბეიჯანის მიერ განთავისუფლებულია ყოველ ბაჟისა და გადასახადისაგან და ეძლევა საქართველოს შემდეგ ფასებში: ფრანკობაქო ცისტერნა: რკინის გზის საჭიროებისათვის გაუწმენდავი ნავთი და მაზუთი 25 მანეთათ ფუთი, გაწმენდილი ნავთი 50 მანეთათ ფუთი, ბენზინი 73-დან 460 მან. სახელმწიფო დაწესებულებათა, მცხოვრებთა და მრეწველობის საჭიროებისათვის ფასები გადიდებულია ორჯერ.

თავის მხრივ საქართველო ნებას რთავს უბაჟოთ და სხვა სახელმწიფო გადასახადთა გადაუხდელათ გატანილ იქნას ქარხანა „შროშა"-ს ძლიერი ცეცხლ-გამძლე აგური და ცეცხლ-გამძლე თიხა არა უმეტეს ოცი ათასი ცალი აგურისა და ხუთი ათასი ფუთი თიხისა თვეში საქართველოს ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის მიერ დაწესებულ ფასებში და რუსეთისა და ადერბეიჯანის რკინის გზებისათვის საჭირო ქვა-ნახშირი, სატყეო და სხვა მასალა შერეულ კომისიის მიერ განსაზღვრულ რაოდენობით.

გარდა ამისა საქართველო ნებას რთავს გატანილ იქმნას სხვა და სხვა საქონელი და სანოვაგე გარდა ყოველგვარ ხორბლეულობისა და შაქრისა, რომლის საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში შემოტანილ ნავთის პროდუქტების მთელ ღირებულებას.

საქართველო ვალად იდგენს არ იქნას გატანილი მისი საზღვრებიდან რუსეთისა და ადერბეიჯანიდან მიღებული პოდუქტები.

რიგით ეს შეთანხმება საბჭოთა მთავრობებთან მესამე. ერთი ხელშეკრულება დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთთან ამა წლის მაისის 7-ს და მეორეც უდროოდ „გაწითლებულ" ადერბეიჯანთან ივნისის 12-ს; ამ ხელშეკრულებებშიაც იყო სავაჭრო სატრანზიტო დამოკიდებულების შესახებ შესაფერისი მუხლი, მაგრამ მიუხედავათ ჩვენი მთავრობის მოავალ გზით ცდისა ის მაინც მათ მიერ არ იქნა შესრულებული. ადერბეიჯანმა აქსტაფის საზავო პირობები დაარღვია — ნავთის მოცემაზე კათეგორიული უარი გვითხრა, რასაც ადერბეიჯანის ბატონ-პატრონი რუსი თუ ჩვენი კომუნისტები იმით ასაბუთებენ, რომ ვითომ საქართველო ნავთს აწვდიდეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გენ. ვრანგელს; მაგრამ ასეთი მოტივის ულოგიკობა, დღეს მაინც ცხადი უნდა იყოს ბოლშევიკებისათვის, რადგანაც საქართველო მუდამ საომარ განწყობილებაში იყო და იქნება შავი რეაქციის წინამორბედ გენერლებთან, იქნება ის ვრანგელის თუ დენიკინის სახით, მაგრამ მიუხედავათ ასეთი

მდგომარეობისა ჩვენ მაინც სიამოვნებით ავღნიშნავთ, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც გამოინახა საერთო ენა, რასაც შედეგად მოჰყვა ხსენებული შეთანხმება.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ აწი მაინც აღარ ექნება ადგილი პირობების დარღვევას; რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მას არ სჩვევია სიტყვის გატეხა და ამ შემთხვევაშიაც ის სავსებით დაიცავს და აასრულებს შეთანხმების ყველა მუხლებს. ასეთ ეკონომიურ ხელშეკრულებებს უსათუოდ აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც: ის ამარტივებს ორ მეზობელ დემოკრატიის ურთიერთ შორის მდგომარეობას, ფანტავს ზოგიერთ გაუგებრობას და ნიადაგს უმზადებს კეთილ მეზობლურ განწყობილებას, რისთვისაც ასე ენერგიულად იღწვის ჩვენი რესპუბლიკა; ამ მხრივაც აღსანიშნავია ხსენებული შეთანხმების მნიშვნელობა.

რაც შეეხება საერთოდ ხელშეკრულების მუხლების ცალ ცალკე განხილვა-გაკრიტიკებას ამას ამ ჟამად არ ვეხებით, რადგანაც დაწვრილებით არ ვიცნობთ შეთანხმების პირობებს. ზოგადათ მოყვანილი გამოქვეყნებული მუხლები კი მისაღებად და დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია.

გამანი.

ეროვნიკა

მთავრობაში

ტელეფონ-ტელეგრამის მოწყობა

ყველა საერობო დაწესებულებებს და ადგილობრივ ადმინისტრატიულ ხელთუფლებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტების ერთი მეორესთან დასაახლოვებლად ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების ასაგებათ და მოსაწესრიგებლად ჩემის განკარგულებით იგზავნება შინაგან და სამხედრო მინისტრთა რწმუნებული ტელეგრაფ-ტელეფონის საქმეთა შესახებ მთავარი მექანიკოსი ა. სურგულაძე, რისთვისაც ვავალებ ყველა ადგილობრივ საერობო დაწესებულებებს და ადმინისტრატიულ ხელთუფლებს აღმოუჩინონ მას საჭირო

დახმარება ამ საქმეში და შეაძლებინონ მუშაობის სასურველ დონეზე წარმოება.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო და სათემო ერობების გამგეობებს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება ასახლებს უმამულო და მცირე მიწა-წყლის მქონე მოქალაქეთ ყარაის ველზედ და ახალქალაქის მაზრაში. ამ მიზნისთვის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება ყარაიაში 2,000 დესიატინამდე საუკეთესო ნიადაგის სარწყავი მიწები და ახალქალაქის მაზრაში 20.000 დესიატინამდე ურწყავი, მაგრამ ნოყიერი მიწები. უკანასკნელი რაიონი განთქმულია როგორც თავისი მდიდარი ხორბლეულობის მოსავალით და საძოვრებით, აგრეთვე საუცხოო ჯანსაღი ჰავით და სასმელი წყლებით და ვარგისია დასასახლებლად მაღალი ადგილების მცხოვრებთათვის, რომელნიც მისდევენ ხორბლეულობის და მესაქონლეობის კულტურას, როგორიც არიან: რაჭველები, ლეჩხუმელები, ზემო-იმერლები, ზემო-ქართლელები, მოხევეები, მთიულები, თუშები და ფშავები. ხოლო ყარაის ველი გამოსადეგია დასასახლებლად უმთავრესად გურიის, სამეგრელოს, ქვემო-იმერეთის და სხ. დაბლობი ადგილების მცხოვბრეთათვის, რომელნიც შეჩვეული არიან ცხელ ჰავას და მალიარიან ადგილებში ცხოვრებას. ამ რაიონის გასაჯანსაღებლად მიღებულია ზომები: გაგზავნილია ამ ჟამად ექიმთა და სხვა სპეციალისტთა ექსპედიცია, რომელიც ერთი მხრით საფუძვლიანად წამლობს მალიარიიდან დაავადებულებს, რომ ამ გვარად სრულიად მოისპოს ეს სენი ყარაიაში მცხოვრებთა აგებულებაში, მეორე მხრით იკვლევს მალიარიის გამავრცელებელ კოღოების ბუდეს-ჭაობებს და იმუშავებს პროექტს ამ ჭაობების დაშრობისას, რომ ამ გვარად ძირ—ბუდაინად მოისპოს ციებ-ცხელების გავრცელების შესაძლებლობა, როგორც ეს უკვე მოხდენილია იტალიაში, საფრანგეთში და სხვა განათლებულ ქვეყნებში.

თითვეულ გადასახლებულ ოჯახს განყოფილება აძლევს ყარაიაში 5 დეს. მიწას, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 8—10 დეს., რომელსაც

შეისყიდის გადასახლებულს ხუთი წლის შემდეგ შეღავათიან ფასებში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდით. როგორც ყარაიაში, აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში განყოფილება უწევს გადასახლებულებს დახმარებას ადგილზე მაღი ბარგით და საქონლით რკინის გზით გადაყვანით, სათესლე ხორბლით, სამეურნეო იარაღებით, მუშა-საქონლით, შენობების ასაგები მასალით და სხ. ყოველივე ეს გადასახლებულებს ეძლევათ უპროცენტო სესხად, რომელიც გადახდილ უნდა იქნას გადასახლებულისაგან დასახლებიდან 5 წლის შემდეგ ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში.

ახალ ადგილზე გადასახლებულთ უფლება აქვთ ორი წლის განმავლობაში დღიდან დასახლებისა გადასცენ სხვას ან გაჰყიდონ თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე, მხოლოდ ადგილობრივი სათემო ეროების ნებართვით.

გაუწყებთ-რა ამას, განყოფილება გთხოვთ გამოუცხადოთ ზემოხსენებული თქვენი მაზრის და თემის უმაძულო და მცირე მამულის პატრონთ. გადასახლების მსურველთ შეეძლიათ მიმართონ მიწათ მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას ცალკ-ცალკე ან ჯგუფად, პირადად ან რწმუნებულებით და სათემო ეროებისაგან შემოწმებულ ცნობებით ბლანკზე, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ, განყოფილება დაუყონებლივ გააგზავნის მათ ადგილზე, სადაც ყოველგვარი დახმარებას გაუწევს განყოფილების რწმუნებული.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

მანქანების და იარაღების მუზეუმი.

სპეციალისტ ვოლპერის მოხსენების თანახმად მიწათ-მოქმ. სამინისტროს სასურველად მიაჩნია დაარსოს სასოფლო-სამეურნეო იარაღთა და მანქანების მუზეუმი. ამ მუზეუს სამოსწავლო მიზანი ექნება და აგრეთვე იარაღების მოწყობის და გამოყენების ცოდნის გავრცელება მცხოვრებთა შორის. მუზეუმი მოთავსებული იქნება ყოფილ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუზეუმის მოსაწყობათ გაღებულ იქნება მიწათ. მოქმედების სამინისტროს საოპერაციო თანხიდან 50.000 მანეთი

მონოპოლიის გავლენა მეურნეობაზე.

მიწად-მოქმედების სამინისტროს საკრებულომ იქონია რა მსჯელობა მონოპოლიის მეურნეობის სხვა და სხვა დარგზე გავლენის შესახებ, აღნიშნავს, რომ მონოპოლიამ უარყოფითი გავლენა იქონია მეურნეობაზე. ამის უმთავრესი მიზნები არის მონოპოლიის ტეხნიკური ცხოვრებაში გატარების უარყოფითი მხარეები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლის საშუალებითაც ტარდება მონოპოლია აბრკოლებენ საქმეს. საკითხის ყოველ მხრივ გასაშუქებლად წინადადება მიეკა საკრებულოს წარმოადგინონ მეურნეობის სხვა და სხვა დარგების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან

რესპუბლიკის სამაზრო ერობებს.

თანახმად მიღებულ ცნობებისა რესპუბლიკის მაზრებში არ არის სათანადოდ მოგვარებული საქმე დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების აღმოჩენისა: მიუხედავად 1919 წ. 31 იანვრის და 10 ივნისის კანონებისა და სამხედრო სამინისტროს მიერ მიღებულ ზომებისა, ადგილი ჰქონია მრავალ დეფექტებს, რომლებმაც უკიდურესობამდე მიიყვანა დაჭრილ-დასახიჩრებულთა მდგომარეობა, ასე მაგალითად: 1) არ არსებობს დაჭრილ-დასახიჩრებულთა რეგისტრაცია, რის გამო დახმარება ეძლევათ მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც გამოცხადდებიან. უმრავლესობამ კი არ იცის არსებობს თუ არა რაიმე დახმარება და ყოველივე დახმარების გარეშე რჩებიან; 2) მიუხედავად 1919 წ. 31 იანვრის წესდების მესამე მუხლისა, დახმარება ეძლევათ ყველას ერთნაირად განურჩევლად შრომის უნარ დაკარგულობის ხარისხისა; 3) დახმარება რიგდება არა ყოველ თვიურად, როგორც ეს უნდა ხდებოდეს თანახმად შინაგან საქმეთა სანინისტროს ამა წლის 23 ივნისის № 13147 ცირკულიარისა, არამედ ზოგიერთ ერობებში მაგალითად, დახმარება გაუცემელია ამა წლის 1-ლ ივნისიდან, 4) დანახარჯის ანგირიშები ზოგიერთ ერობებში სრულიად არ არის შედგენილი. ზოგიერთებში კი არ იტოვებენ სათანადო გასამართლებელ საბუთებს, ამგვარად ანგარიშების წარმოება, თავის თავად ცხადია აბრკოლებს ახალ თანხების გადაგზავნას; 5) თემები არ იღებენ არავითარ ზომებს საქმის

მოგვარებისათვის, გატყობინებთ რა ამას გავალებთ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის დახმარების საქმეს და გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა სასტიკად იქნეს დაცული კანონის მიერ დაკისრებული ზომები.

ერობათა ცხოვრება.

ერობათა კავშირის კომიტეტში.

კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება.

ერობათა კავშირის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შორის განაწილებული იყო შრომა, როგორც ეს ყოველ კოლეგიალურ დაწესებულებაში არის შემოღებული; თანახმად ამ განაწილებისა სავაჭრო განყოფილება მინდობილი ჰქონდა კომიტეტის წევრს მიხეილ დიმიტრის ძე ცეკვაშვილს. სავაჭრო განყოფილება იძენს ხელ-საყრელ ფასებში ერობებისთვის საჭირო საქონელს და უნაწილებს მას ერობებსა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და იშვიათ შემთხვევაში კერძო პირთა შორის. შრომის განაწილების მიხედვით, მართალია, სავაჭრო განყოფილება ბ-ნ ცეკვაშვილის გამგებლობაში იყო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველივე, რაც ამ დარგს შეეხება, კომიტეტის ერთი წევრის კომპეტენციას შეადგენს; პრეზიდიუმი თითქმის ყოველ დღე მართავს თავის სხდომებს და ამ სხდომებზე ირჩევა მრავალი საკითხები და სხვათა შორის საკითხები სავაჭრო განყოფილებისა, თუ ისინი წამოყენებული იქნებიან ამ განყოფილების გამგე წევრისაგან. ამა თუ იმ წევრს კომიტეტისას ყოველთვის საშუალება ჰქონდა გაეზიარებია თავის ამხანაგებისათვის მისი გამგებლობის ქვეშ მყოფი ნაწილის საკითხები და გაეგო მათი აზრი ამა თუ იმ საგნის შესახებ; ამ გვარი იყო საზოგადოთ შემოღებული კომიტეტში წესი მუშაობისა სხდომაზე, რომელიც ყოველ დღე ხდებოდა. წინასწარ სიტყვა ეძლეოდა კომიტეტის წევრთ და მათ მიერ წამოყენებული საკითხები საზოგადო თუ

კერძო ხასიათისა პირველ რიგში იხილებოდენ და მხოლოდ შემდეგ ირჩეოდა სხვა მიმდინარე საკითხები. მართალია ღაწვრილებითი დამუშავებული ინსტრუქცია არ იყო შედგენილი, თუ რა საკითხების გადაჭრა დამოუკიდებლივ კომიტეტისა შეუძლია ერთ წევრს და რა უნდა შეიტანოს მან აუცილებლივ კომიტეტის განსახილველათ, მაგრამ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები ისე ხშირად ხდებოდენ, რომ თითქმის ყოველივე კითხვა და ყოველივე ნაბიჯი, რომელიც აღძრული თუ გადადგმული იყო რომელიმე განყოფილებაში ყველა წევრისთვის ცნობილი იყო და არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამ გვარად ყოველივე ნასყიდობა, გარდა რამოდენიმე წვრილმანისა, წინასწარ განხილულ იქნებოდა პრეზიდიუმის წევრთა შორის და მხოლოდ შემდეგ სისრულეში მოდიოდა. ამ გვარივე ხასიათის იყო ეროკავშირის მოქმედება საქონლის დანაწილების და გასაღების დარგშიც. მართალია ოქმები ამის შესახებ არას ამბობენ, მაგრამ ეს განზრახ იყო ჩადენილი, რათა სავაჭრო საიდუმლოება დაცული ყოფილიყო. ამ რიგად შემუშავდა წესი, რომ პრეზიდიუმის ესა თუ ის წევრი არ გადადგამდა ამა თუ იმ ნაბიჯს, წინასწარ რომ არ გაეზიარებია მას პრეზიდიუმის სხვა წევრებისათვის და არ გამოეტანა ან კომიტეტის დადგენილება, ან და წევრთაგან სიტყვიერი თანხმობა. ეს წესი მეტად უადვილებდა კომიტეტის წევრთ ცალ-ცალკე და ყველას ერთად მათი პასუხის მგებლობას, ვინაიდან ისინი ყოველივე მოქმედებას და მუშაობას გაცნობილი იყვნენ. ყველა იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ არა კეთდებოდა რა მის დაუკითხავათ და ეროკავშირის მთელი მოქმედების პასუხის მგებლობა მისთვის სავსებით მისაღები იყო.

სამწუხაროთ ამას ნიადაგი ეცლება, ვინაიდან სავაჭრო განყოფილებაში ზოგი იმისთანა ნაბიჯი ყოფილა გადადგმული, რომლის შესახებ ჩვენ არა გვცოდნიარა, ჩვენთვის ამის შესახებ არა გაუზიარებია რა სავაჭრო განყოფილების წევრს და პასუხის მგებლობაც იმ საქმეში, რომელშიაც მონაწილეობა არ მიგვიღია მეტად საძნელოა.

საქმეების გაცნობიდან ირკვევა, რომ კერძო პირისთვის—ვასილ-ძოწენიძისათვის მიუყიდია სავაჭრო განყოფილებას იმისთანა საქონელი, რომელსაც კომიტეტის დაწესებულებებს არ უთმობდა და რომლის საშუალებით ის ნიადაგს ართმევდა კერძო ვაჭრებს მათ უსაზღვრო ფარფაშში. ეს იყო მავთული, რომლით თივა იკუმშებოდა. ეროკავშირი თითქმის ერთად ერთი დაწესებულება იყო და არის, რომელსაც მავთული

ბლომად აქვს, რაც მას საშუალებას აძლევს სასურველათ აწარმოოს თივის დამზადების საქმე. ეროკავშირი იმდენად ხელმოჭერილი იყო და ეძნელებოდა მას ამ საქონლის შელევა, რომ მან ვერ დაუთმო ხუთი ფუთი მავთული და უარი შეუთვალა გორის სამაზრო ერობას, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ერობა იმავე მიზანს ემსახურება, რომელსაც ეროკავშირი, (14 მაისის 1920 წ. № 4760). მიწათ-მოქმედების სამინისტროსაც ვერ დაუთმო ეროკავშირმა მავთული, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეშინოდა მავთული არ შემოგვაკლდეს, ამით არ დაუბრკოლდეს მას თივის დამზადების საქმის წარმოება და კერძო ვაჭრებს არ ჩაუვარდეს ხელში თივის საქმე, რომლებიც ისე ასწევენ თივის ფასს, რომ ძლიერ გაძნელდება მისი შეძენა. მიუხედავათ ყოველივე ამისა პირველ ნოემბერს იწერება ორდერი ვასილ ძოწონიძის სახელზე და ეთმობა მას ოთხას ორმოცდა ათი ფუთი მავთული და ისიც ნისიათ. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ სავაჭრო განყოფილების პირვანდელი განკარგულება ბათუმიდან მიღებული შეჟანგული მავთულის გაცემა შეცვლილ იქმნა იმ სახით, რომ საწყობის გამგეს უფლება მიეცა არა ბათუმიდან მიღებული მავთული მიეცა, არამედ წმინდა არა დაჟანგული. აქაც არჩევით გატანილი ყოფილა მავთული, რაც საწყობის გამგის ჩვენების თანახმად კონტროლიორის თანაშემწის ბ. ფანიაშვილის ჩარევით მომხდარა. დღეს ბ. ფანიაშვილი სამსახურიდან დათხოვნილია, მაგრამ საქონელი საწყობიდან გატანილ იქმნა და საქონელი მეტად ძვირფასი; ფასი ამაში აღებულ იქმნა მეტად პატარა-ორი ათასი მანეთი ფუთში, მაშინ როდესაც ბაზარზე ის რვა-ათი ათასათ ფასობს და ამით ზარალი მიეცა ეროკავშირს.

იმავე ძოწენიძემ სავაჭრო განყოფილების წევრის ნებართვით და დაუკითხავათ კომიტეტის სხვა წევრებისა გაიტანა ეროკავშირის საწყობებიდან ორასი წყვილი ურმის თვლები. თვლები და სხვა რამ-დენიმე საქონელი ეროკავშირის მიერ შეძენილი იყო სამხედრო უწყებისაგან და სავაჭრო განყოფილებას მოეხსენება, რომ იმათ შეძენამდეც განზრახული იყო მათი ერობათა შორის განაწილება. წინასწარ გამოანგარიშებული იყო, თუ რა დასჭირდებოდა ერობებს და იმ გვარად შეძენილი სამხედრო უწყებიდან. ფასიც ამ თვლებში აღებულია მეტად ნაკლები, ვინაიდან 19 ოქტომბერს, როდესაც ეს თვლები წაღებულია, ურმის თვალი ბევრად მეტი ღირდა ვიდრე 750 მანეთი. როდესაც ეს შეფასება დაწესებული იყო ერობებისათვის და არა კერძო პირთათვის.

სავაჭრო განყოფილებას მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს გაუცია ვილაც ნაჭყებიასათვის, ვითომც და თეკლათის საზოგადო წარმომადგენელისათვის ორმოცდა ათი ფუთი საპონი, ფუთი ხუთი ათას ხუთას მანეთად. ეს მოხდა, როგორც ავნიშნეთ, 7 ოქტომბერს და 29 სექტემბეროს კი გამოტანილი იყო კომიტეტის მიერ შემდეგი დადგენილება: საპნის გაცემა საერთოდ შეჩერებულ იქმნას მიმდინარე წლ. ოქტომბრის თხუთმეტამდე და დაწესდეს საპონზე შემდეგი ფასები: ეროზებისთვის 5.500 მანეთი ფუთში და სხვა დაწესებულებებისათვის ექვსი ათასი. სავაჭრო განყოფილებამ წინააღმდეგ კომიტეტის დადგენილებისა მაინც გასცა საპონი და გასცა ბევრად ნაკლებ ფასებში ვიდრე კომიტეტის მიერ დაწესებული იყო. აქ ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება-საპონი ეძლევა თეკლათის საზოგადოებას, მაგრამ არ არის საქმეში საბუთი არსებობს თუ არა ამისთანა საზოგადოება და საპონის შიმღები ბ. ნაჭყებია მართლაც წარმომადგენელია თეკლათის საზოგადოების თუ არა. საქმეში მხოლოდ ნაჭყებიას განცხადებაა ოთხ ოქტომბერს შემოტანილი, სადაც ის თავის თავს თეკლათის საზოგადოების წარმომადგენელს უწოდებს და სხვა არაფერი.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ იმავე ძოწენიძეს ეროკავშირის საწყობებიდან გააქვს ორჯერ ტყავი—პირველად 50 ფუთი საძირე 27 მარიობის თვეს ფუთი თხუთმეტ ათას მანეთად და მეორეთ 6 ენკენისთვეს 150 ფუთი დაუმუშავებელი—ათი ათას მანეთად ფუთი. მიუხედავად იმისა რომ კომიტეტი ეროზებსაც კი უმცირებდა მათ მოთხოვნაში აღნიშნულ ტყავის რაოდენობას, ვინაიდან ის მასცოტა აქვს—კერძო პირს ეძლევა 200 ფუთი ტყავი, ამის შესახებ კომიტეტმა არა იცის რა და ეს ტყავი ეძლევა ბევრად ნაკლებ ფასებში, ვიდრე ბაზარზე ფასობს.

ყოველივე ზემოყვანილი უეჭველათ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სავაჭრო განყოფილება ეროკავშირისა არღვევს წესს ამ დაწესებულების მიერ შემუშავებულ თავის კოლეგიალურ მუშაობისათვის, იმის მოქმედებაში იყვნენ შემთხვევები იმ გვარი განკარგულებებისა, რომელიც კომიტეტის დადგენილებას ეწინააღმდეგება და საზოგადოთ სავაჭრო განყოფილებას გადაუდგამს იმისთანა ნაბიჯები, რომლებსაც საგრძნობი ზარალი მოუტანია დაწესებულებისათვის.

წარმოუდგენს რა ამას პრეზიდიუმი კომიტეტის პლენუმს სთხოვს მას იქონიოს ამის შესახებ თავის მსჯელობა და გამოიტანოს სათანადო დადგენილება.

ერობათა კავშირის კომიტეტის პლენუმის სხდომა, 1920 წ. 8 ნოემბერს.

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს:

საკითხი სავაჭრო განყოფილების გამგის მიერ კერძო პირისთვის მავთულის მიყიდვის შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კომიტეტის წევრმა, რომელიც განაგებს სავაჭრო განყოფილებას გუშინ, როდესაც სხვა წევრებთან ერთად მოხსენებას აკეთებდა თავმჯდომარის შვებულებაში ყოფნის დროს მოქმედების შესახებ თავმჯდომარის ორჯელ შეკითხვაზე, გაყიდულიყო თუ არა მავთული უპასუხა, რომ მავთული არ გაყიდულაო; დღეს კი როგორც ორდერების გადახილვიდან სჩანს მ. ცეკვაშვილის ხელ ს მოწერილ ორდერით გაცემულა კერძო პირზე 450 ფუთი მავთული თითო ფუთი ორი ათას მანეთად. კომიტეტის დადგენილება ამის შესახებ არ ყოფილა გამოთხოვილი და კომიტეტის წევრს კარგათ მოეხსენება, რომ კერძო პირზე კომიტეტი არასოდეს არ ელეოდა მავთულს და არც ორგანიზაციებზე, თუ ეს უკანასკნელი თივის დამზადების საქმეს არ ეწევა; იცოდა კომიტეტის წევრმა აგრეთვე, რომ ეხლა, როდესაც ბაზარზე მავთული ფუთი ფასობს ათი ათას მანეთამდე, მისი ორი ათას მანეთად გაყიდვა ყოვლად შეუძლებელი იყო. კომიტეტის წევრს ყოველივე საშუალება ჰქონდა გაეგო არსებული ფასები მავთულის და არ ჩაედინა ის რაც ჩაიდინა თუ მაინც და მაინც გადასწყვიტა კერძო პირისოვის მავთულის დათმობა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქონელი ნისიათ არის გაცემული, რაც უეჭველათ მიუღებელია. ყოველივე ეს ეჭვებს იწვევს და შეიძლება აქ ადგილი ჰქონდა ან ბოროტ-მოქმედებას ან დაუშვებელ დაუდევრობას. ამის მიხედვით თავმჯდომარე მოითხოვს რომ სავაჭრო განყოფილების გამგემ წარმოადგინოს თავის განმარტება. კომიტეტის წევრი ბ. ცეკვაშვილი განმარტავს, რომ მან განაცხადა მავთული არ გაყიდულაო იმ მოსაზრებით, რომ ბაგრატაშვილისთვის ჩაბარებულ საწყობიდან მართლაც არ გაყიდულა მავთული; მას ეგონა იმ მავთულზე იყო შეკითხვა, რომელიც ბაგრატაშვილს აბარია და განაცხადა, რომ მავთული არ იყო გაცემული. რაც შეეხება ფასებს, დაწესებული იყო ათას რვაასი მანეთი და ეს ფასები გადაშინჯული არ ყოფილა და ახალი კომიტეტს არ დაუწესებია. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მას არ აკმაყოფილებს ეს განმარტება, მისთვის მეტად სასურველია

ყოველივე ეჭვები მართლაც გაფანტული იქმნენ და მოითხოვოს, რომ ოცდა ოთხი საათის განმავლობაში წარმოდგენილ იქმნას ბ. ცეკაშვილის მიერ წერილობითი სავსებითი განმარტება იმ მუხლების გამო, რომლებიც წამოყენებულია თავმჯდომარის მიერ.

დაადგინეს:

მოეთხოვოს კომიტეტის წევრს ბ. ცეკვაშვილს ოცდა-ოთხ საათის განმავლობაში თავის განმარტების წარმოდგენა და ეს საკითხი დაისვას პლენუმის განსახილველათ, რომლის სხდომა დაინიშნოს კვირას, მიმდინარე თვის თოთხმეტს, რისთვისაც ვამოწვეულ იქმნან დეპეშით წევრები.

ეროვბათა კავშირის კომიტეტის პლენუმის სხდომის ოქმი. 14 ნოემბერი.

სხდომა გაიხსნა დილის ათ საათზე ნ. გ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით. დაესწრენ: გრ. ლორთქიფანიძე, ვ. ცაბაძე, დ. ონიაშვილი, ლ. შენგელაია, პ. ქავთარაძე, გრ. სოლოლაშვილი, ის. სტურუა, მ. ცეკვაშვილი. მდივნის მოვალეობას ასრულებდა დ. ბ. მდივანი.

განსახილველია ეროკავშირის სავაჭრო განყოფილების გამგის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის მ. დ. ცეკვაშვილის მოქმედების საკითხი.

მოხსენდა კრებას ამის შესახებ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება მიმდინარე წლის 8 ნოემბრისა, მ. ცეკვაშვილის განმარტება და განსაკუთრებული მოხსენება პრეზიდიუმისა. კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ საერთო მოქმედება სავაჭრო განყოფილებისა, რასაც უმთავრესათ ეხება ბ. ცეკვაშვილი თავის მოხსენებაში, შეადგენს ყრილობის მიერ არჩეულ სარევიზიო კომისიის ვალდებულებას, რომ კრება ეხლა ვერ შეუდგება საზოგადოთ პრეზიდიუმის მოქმედების და მისი მსჯელობის საგანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდიუმის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები და ამის მიხედვით შექმნილი მდგომარეობა, დაადგინა-იქონიოს მსჯელობა ბ. ცეკვაშვილის მოქმედების შესახებ თანახმად პრეზიდიუმის მოხსენებისა.

ამის შემდეგ სიტყვიერ ახსნა განმარტებას იძლევა ბ. ცეკვაშვილი. უკანასკნელის განცხადებით მავთული იცემოდა კერძო პირებზე, ის მართალია უთმობდა სხვა და სხვა პირს საქონელს, მაგრამ ამ შემთხვე-

ვაში ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებით: ეროკავშირს თავის საწყობებში აქვს ორ გვარი საქონელი, ერთი იმ ხასიათისაა, რომ ეხლა-ხან უსაჭიროეს საგანს ეროობებისათვის არ შეადგენს და მასთან იმდენი, რომ რამოდენიმე წელს ეყოფა ეროკავშირს, ხოლო მეორე ნაწილი იმ გვარი საქონელია, რომელიც ეროობებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; ეს უკანასკნელი მას არასოდეს კერძო პირისთვის არ დაუთმია. კერძო პირს ის აძლევდა მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც ჯერ-ჯერობით ეროობებისთვის დიდ საჭიროებას არ წარმოადგენენ და საწყობებში მათი რაოდენობა დიდია; მაგალითად, მავთული, ბორბლები და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ მავთულის კერძო პირებზე და საზოგადოებებზე გაცემა აკრძალული არ ყოფილა, პირ იქით ისინი ღებულობდენ და საქმეებიდან ჩანს, რომ ეროკავშირის საწყობებიდან წაუღიათ მავთული სენაკის სამაზრო ეროობას, სიღნაღის ეროობას, თელავის და ბ. სოღორაშვილის ნებართვით კერძო პირს ლეონიძეს. აგრეთვე მრავალი მაგალითია კერძო პირებზე საპონის გაცემისა; ტყავი გაიცა მეტად უვარგისი და ფასებიც კარგი იყო აღებული. ბორბლებში ბევრად მეტი იყო აღებული ვიდრე ისინი იყვნენ შეფასებულნი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ კერძო პირებს ვაძლევდით საქონელს ჩვენი შეფასების ას პროცენტამდე დამატებით. მართალია ბორბლები შეძენილი იყო ეროობებისათვის, მაგრამ მათი გაცემა მოახდინა ბ. ცეკვაშვილმა მხოლოდ მის შემდეგ, რაც ბევრმა ეროობამ ისინი დაიწუნა და უვარგისათ იცნო. მან ამჯობინა რაიმეს აღება, მათი საწყობებში გაჩერებას, ვინაიდან ეროკავშირი ფინანსიურ კრიზისს განიცდიდა და ხარჯები კი ბევრი ჰქონდა გასასტუმრებელი. ამ პირობებში მან ისარგებლა თავის ნაცნობობით და კერძო პირისაგან ეროკავშირის საჭიროებისათვის ორ მილიონ მანეთამდე ისესხა რამოდენიმე დღით, ხოლო რამოდენიმე დღე გადაუცილა გადახდა ამ ვალს. ეს ფული მან აიღო ძწონიძეებისაგან, რომელიც ვაჭრის შვილია და ეხლა უნივერსიტეტში სტუდენტათ ითვლება.

პრეზიდიუმის წევრების მიერ აღნიშნული იყო, რომ გაცემულია კერძო პირებზე და საზოგადოებებზე ეკლიანი მავთული და მავთული ბათომიდან ჩამოტანილი ბრემერიდან, რომელიც დაჟანგებულია, რომ წესი საქონლის გაცემისა შემოღებულია ბაზრის ფასების მიხედვით: ეროობებს საქონელი ეძლევათ ბაზრის ფასებზე ათიდან ოცდა ათი პროცენტამდე დაკლებით, ხოლო კერძო პირთ ბაზრის ფასების კვალობაზე

და რომ დიდი თანხის საკითხები ყოველთვის პრეზიდიუმს უნდა მოხსენებოდა.

კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ბ. ცეკვაშვილმა გასცა კერძო პირზე მავთული, ეს მეტად ძვირფასი საქონელი, ფასი მაზე თავად დააწესა, არ დაეკითხა ამის შესახებ ამხანაგებს, რაც უეჭველად უნდა ჩაედინა არსებული წესის თანახმად, გასცა კერძო პირზე, ვითომც და საზოგადოების წარმომადგენელზე საპონი მაშინ, როდესაც პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად მისი გაცემა შეჩერებული იყო და გასცა ბევრად ნაკლებ ფასებში, ვიდრე ეს დაწესებული იყო კომიტეტის მიერ, რომ მავთულის გაცემის ორდერი გადასწორებულია ბ. ცეკვაშვილის ხელით და გადასწორებული შეგნებით, რომ ბ. ცეკვაშვილმა თავის წერილობითი განმარტებით და სიტყვიერი ჩვენებით არა თუ უარყო პრეზიდიუმის მიერ წაყენებული ბრალდებანი, არამედ დაადასტურა ისინი, რომ ადვილათ მოსალოდნელია ბ. ცეკვაშვილის მოქმედებაში სხვა ამ გვარივე მოქმედებანი და განკარგულებანი, რომლებიც ჯერ-ჯერობით გამოაშკარებული არ არიან, რომ პრეზიდიუმის მოხსენებაში აღნიშნული მოქმედებანი ბ. ცეკვაშვილისა დიდი ზარალის მიმცემნი არიან ეროკავშირისათვის და რომ საჭიროა სავსებით გამორკვევა კომიტეტის მიერ ყოველივე იმისა რაც ამის მგზავსი ჩაიდინა ბ. ცეკვაშვილმა, ერთხმად დაადგინა-ცნობა იმის შესახებ, რომ ბ. ცეკვაშვილმა პრეზიდიუმში მუშაობა შესწყვიტა მიღებულ იქმნას ცნობად: ამიერიდან ის გადაყენებულ იქმნას კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თანამდებობიდან; აღიარებულ იქმნას, რომ ბ. ცეკვაშვილი თავის მოქმედებით აღემატა თავის უფლებებს, მან ჩაიდინა ეს შეგნებით და ზარალი მისცა ეროკავშირს და სავსებით გამორკვეულ და შესწავლულ იქმნას ბ. ცეკვაშვილის მოქმედება ეროკავშირის სავაჭრო განყოფილებაში, რაც მიანდოს კომიტეტის წევრთ დ. ონიაშვილს, ვ. ცაბაძეს და ლ. შენგელაიას.

კანონ-პროექტი

საერობო თვითმმართველობათა შესახებ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა დაამუშავა კანონ-პროექტი საქართველოში არსებულ საერობო თვითმართველობათა შესახებ. კანონ-

პროექტი 48 მუხლისაგან შესდგება. თანახმად კანონ-პროექტის მეორე მუხლისა, ადგილობრივ თვითმმართველობას ორი საფეხური აქვს: პირველი საფეხური არის წვრილი საერობო ერთეული (თემი). მეორე სამაზრო ერობა, ტერიტორიალური საზღვრები, რომელშიაც ანხორციელებენ საერობო დაწესებულებანი თავის უფლებას და მოვალეობას, მყარდება და იცვლება რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ცალკე თემი იქნება საზღვრებში, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული მეურნეობის მხრით. სივრცით თემის საზღვრები ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ რაიონის სიდიდემ არ უნდა შეუშალოს ხელი თემის მოქალაქეს იქონიოს მუდმივი კავშირი მის (თემის) მმართველობის ორგანოებთან, ამასთანავე უნდა დაცულ იქნეს შეძლებისამებრ ყოფილ სოფლის საზოგადოების საზღვრები. სამაზრო ერობა ეწყობა ისეთ საზღვრებში, რომელიც ერთგვარად ეკონომიურ მთლიანობით ხასიათდება. მე-18 მუხლის შენიშვნით ტფილისში არსდება ცალკე დამოუკიდებელი სამაზრო ერთეული სამაზრო ერობის უფლებებით. ჯერ-ჯეროობით ადმინისტრატიულ გადამიჯვნამდე საქართველო 21 მაზრათ იყოფა. უფლების და ვალდებულების მტარებლად ადგილობრივ თვითმმართველობის მიმართ ითვლება სამაზრო ერთეულის ყველა მცხოვრები. სამაზრო დაწესებულებანი თავის ტერიტორიის საზღვრებში განაგებენ საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმეებს და ანხორციელებენ ადგილობრივ მმართველობას. გარდა ამისა საერობო დაწესებულებებს ევალებათ ფოსტა-ტელეგრაფის შენობების აგება, ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ, ადგილობრივ მიმოსვლის მოწყობა, სასურსათო საქმის მოწყობა და სურსათ-სანოვაგის მიწოდება მცხოვრებთათვის, ფართო მაშტაბში შრომის დაცვა, თვალყურის დევნება ვაჭრობა და მრეწველობაზე, ქონებრივ სიმდიდრის დაცვა, ხელოვნების ძეგლების დაცვა და სხვა. თანახმად 21 მუხლისა თემს ჰყავს საბჭო და თეჰის თანაშემწეები, ამასთანავე თანაშემწე ირჩევა იმდენი, რამდენი სოფელიც შედის თემში. საბჭო ირჩევა საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით და პროპორციონალურ წარმომადგენლობით. თემის თავი უშუამავლოდ განაგებს მილიციას თემის რაიონში, ახდენს მცხოვრებთა რეგისტრაციას და სხვა. სამაზრო ერობას ჰყავს საერობო ყრილობა და გამგეობა, საერობო ყრილობას თავმჯდომარეობს პირი, რომელიც ერობის ხმოსნების წრისაგან იქნება ირჩეული. თავმჯდომარეს ირჩევენ ერთი წლით. საერობო ყრილობას

აქვს უფლება გამოსცეს სავალდებულო დადგენილება. ადგილობრივ თვითმართველობათა ყველა მოქმედებას თვალყურს ადევნებს საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობა.

გორის სამაზრო ერობა

მოხსენება გორის ტყის გამგესი.

1. გორის ტყის გამგემ გ. დ. იაროშენკომ წარმოადგინა 3 მოხსენება:

ა) ხოვლეს ტყეში დაიწყოს „ჯირკვზე დაყენება“ პირველ 100 დესეტინისა: ამით ადგილობრივი მცხოვრებნი იშოვიან ფიჩხს და სათავეც დაედება ტყის განახლებას, თუ იქმნა ერობის ხარჯზე დაყენებული ტყის მცველი, საგანგებოთ ამ გაკაფულ და აღსადგენ ნაკვეთისათვის. გამგეობა დასთანხმდა.

ბ) სწორე ექსპლოატაცია ტყეებისა ცალკე მოსახლესათვის მიუწდომელია: გეგმით ნაჩვენები მორიგი ნაწილი ტყისა, რომელიც უნდა გაიჩეხოს, ხშირად შორია და მიუვალი ცალკე კაცისთვის. არც სრული აღკრძალვა ვარგა ტყეში შესვლისა. ამასობაში ტყეები ნადგურდება და ხალხსაც აკლდება სათბობი და საამშენებლო მასალა. გამოსავალი ერთია: საზოგადო ექსპლოატაცია ტყეებისა, სამაზრო ერობას შეუძლია მოაწყოს გეგმითი ექსპლოატაცია ტყეებისა, მაგალითად ლიახვზე (გუფთაში, ჩიხანტურაში), ატენის რაიონში, ახალქალაქის და მეჯვრისხევის რაიონებში. ზოგან გზა არის გასაყვანი, ზოგან საჭიროა საპასუხისმგებლო მუშაობა თვითონ ტყეში, მაგალითად მეტი ხეების მოსაშორებლად და სხვა. ყველა ეს შეუძლიან მხოლოთ ერობას ან სახელმწიფოს.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ შედარებით მცირედი თანხის დახარჯვით ერობა შესძლებს დაამზადოს დაწესებულებებისთვის და მკხოვრებლებისთვის შეშა, ნახშირი და საამშენებლო ხეტყე, საკმარის რაოდენობით და მისაწდომ ფასებში. საჭიროა მხოლოთ დროზე დაწყება მუშაობისა განსაზღვრულ გეგმით. მომხსენებელი დაწვრილებით მოახსენებს გამგეობას ექსპლოატაციის გეგმას და, სხვათა შორის, აღნიშვნას, რომ საქმე მოითხოვს ატენისათვის ცალკე ტყის გამგეს.

გამგეობამ მოიწონა მიზანი და ტექნიკური მხარე გ. დ. იაროშენკოს მოხსენებისა, ხოლო ფინანსიური მხარე საქმისა მიენდო დასამუშავებლად ეკონომიურ და ფინანსიურ განყოფილებებს, გ. დ. იაროშენკოსთან ერთად.

გ) უფლის ტყეში მცხოვრები 12 კომლი ნამეტან ზიანს აყენებს ტყეს. საჭიროა მათი გადასახლება, რადგან არავითარმა სხვა ზომამ ვერ გასჭრა. გამგეობა დასთანხმდა აღძრას სათანადო შუამდგომლობა.

თემთა ყრილობის მოწვევა.

1. გამგეობამ საჭიროთ სცნო თემთა ყრილობის მოწვევა. საკითხები ბევრია: ფინანსიური დახმარება თემებისათვის, აგრარული რეფორმის მსვლელობა, საარჩევნო მზადება, ადგილობრივი ადმინისტრაცია, სკოლა. განყოფილებები წარმოადგენენ თავის საკითხებს: მაგალითად, ადგილობრივი საზოგადო მაღაზიებზე, გზების საქმეზე და სხვა.

ყრილობაზე მოწვეულ იყვნენ თემების გამგეობის თავმჯდომარენი და თემების ხმოსანთა ყრილობის თავმჯდომარენი.

დღის წესრიგი შემუშავდეს განყოფილებებში თავმჯდომარეს ხელმძღვანელობით და დაეგზავნოთ თემებს.

ბურების საბაზრო ერობა

— ერობამ აკრძალა მაზრაში საღი ნიგვზის ხეების მოჭრა და გაზიდვა, თუ საამისო ნებართვა მყიდველს არ ექნება მთავრობიდან. ერობის ასეთი დადგენილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაზრას კალიასავით შემოესიენ სპეკულიანტები, რომლებიც ერთი შეხვედვით დიდ ფულს აძლევენ ნიგვზის ხის მეპატრონეებს, რომლებიც ერთ თავათ ანადგურებენ ნიგვზებს. ეს გარემოება დიდათ საზარალოა თვით ხალხისთვის ერთი იმიტომ, რომ ნიგვზები—ეს ძვირფასი ქონება ისპობა და, მეორეც, იმიტომ, რომ ნიგვზის ხეები დღეს ბაზარზე ძლიერ ძვირათ ფასობს და ხალხს კი სპეკულიანტები ატყუილებენ ბაზრის ფასების მეათედ-მეოცედსაც არ აძლევენ.

ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ამ დადგენილების დადასტურების შესახებ.

— ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მას მაზრაში არსებულ ძველი გზების შეკეთებისათვის და ახალის გასაყვანათ აღმოეჩინოს დახმარება 13 მილიონი მანეთის გადმოცემით. ერობას იმედი აქვს, რომ მთავრობა ამ შუამდგომლობას დააკმაყოფილებს, ვინაიდან გარეშე ამისა მას არავითარი საშუალება არა აქვს ნატურალური ბეგრის საშუალებით გამოიყენოს ხალხის შრომა და საგრძნობი რემონტი უყოს ერთავათ დანგრეულ გზებს.

— მუშაობის უფრო მიზან შეწონილათ და ნაყოფიერათ საწარმოებლათ, ერობამ თავისი ტექნიკური განყოფილება გაჰყო ორ ნაწილათ-საგზო და საალმშენებლო ნაწილებათ; თვითეული ამ ნაწილთაგანს დამოუკიდებლათ განაგებს თითო ინჟენერი; ამ ნაწილთა სახელმძღვანელოთ და გასაერთიანებლათ გამგეობასთან დაარსდა ტექნიკური საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს სათანადო გამგეობის წევრი და წევრათ შედიან ორივე ნაწილის გამგენი; სათათბირო ხმით შედიან საბჭოში აგრეთვე ერობის ტექნიკები და საგანგებოთ მოწვეული პირები.

— თემებში სასურსათო ბეღლების დაარსების შესახებ ერობის გამგეობამ მიიღო საერობო ყრილობისთვის წარსადგენათ შემდეგი პროექტი:

1) ყველა თემებში დაწესდეს საზოგადო სიმინდის ბეღელი

2) ბეღელი უნდა იმყოფებოდეს თემის გამგეობის ხელმძღვანელობაში.

3) ბეღელი ჩაბარებული უნდა ჰქონდეს თემის გამგეობის რომელიმე წევრს (რომელიც პირადათ პასუხის მგებელია სამაზრო გამგეობის წინაშე.)

4) ბეღლიდან სიმინდის გაცემა შესაძლებელია თემის გამგეობის მიერ სამაზრო გამგეობის დასტურის შემდეგ.

5) ბეღელი მუდმივი სასურსათო ფონდია და არავითარ შემთხვევაში ბეღლის სიმინდის გაყიდვა დასაშვები არ არის.

6) ბეღლის სიმინდი გაიცემა მხოლოდ სესხათ მაზრის დამშეულ ოჯახებზე.

7) სესხათ მიღებული სიმინდი უნდა უკლებლივ დაუბრუნდეს ბეღელს, არა უგვიანეს შემდეგი წლის 15 გიორგობისთვისა.

8) ბეღლის სიმდიდრის რაოდენობა შემდეგ ნაირად განისაზღვროს: პირველი კატეგორიის იხდის ორ ფუთიან სამ გოდორს, მე-2 კატ. ორ

ბოდორს, მე-3 კატეგ. ერთ გოდორს და მე-4 კატეგორიის სრულებით განთავისუფლებულ იქნას.

9) შესატანი სიმინდის თემის საბჭოს მიერ გაწერილი უნდა იქნეს კომლებზე. რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახის მუშა ხელის რაოდენობა და სიმინდის შემოსავალი.

10) ბელლის აშენება და მისი შენახვა ხდება თემის ხარჯზე.

11) სიმინდის გაწერა თემის საბჭოს მიერ უნდა მოხდეს, არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

12) სიმინდის გადახდა არ უნდა გადასცილდეს 1 იანვარს 1921 წ.

13) სიმინდის აკრეფა ხდება თემის გამგეობის საშუალებით.

14) ბელლის ზედამ ედველის განთავისუფლება მოვალეობიდან შეესაძლებელია, მხოლოდ სამაზრო ერობის გამგეობასთან შეთანხმებით.

— გამგეობის მიერ უკვე დამტკიცდა მაზრაში საკვირაო სკოლების ორგანიზაციის პროექტი და ამისათვის საჭირო კრედიტი გამოეთხოვა მთავრებას.

— ერობის გამგეობამ დროებით-მთავრობასთან ძაფის ჩაბარების პირობების გამორკვევამდე შეაჩერა აბრეშუმის ამომხვევი ქარხნის მოქმედება; მუშაობა განახლდება მაშინვე, როცა კი გამოირკვევა ეს პირობები და უკვე დამზადებულ 30 ფ-დე ძაფის ბედი გადასწყდება.

— გურიის ერობამ გადასწყვიტა მიიღოს თავის თავზე სატყეო საქმის ხელმძღვანელობა მაზრაში; ეს საქმე დაევალა საადგილ-მამულო განყოფილებას, რომლის გამგეს მიენდო სათანადო პროექტის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა მოეწყოს ტყის დაცვის საქმე. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო უწყების მოხელენი დიდ დაუდეკრობას იჩენენ მოვალეობის შესრულებაში, რის გამოც ტყეები ბევრ ალაგას უმოწყალოთ იჩეხება.

— გამგეობამ განკარგულება მოახდინა ბემების მიმართ, რომ მასწავლებლებსა და ზოგიერთ სხვა ერობის სამსახურში მყოფ პირთ, რომლებიც მძიმე ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან, იაფ ფასებში მიაწოდონ სიმინდი.

— გამგეობის დადგენილების თანახმად შესდგა ახალი სილაგრის — თემი.

— ერობამ უკვე დაამტკიცა ბასილეთისა და ნიგოითის საგრარიო რაიონებში „უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე“ პირებზე

საფონდო მიწების დანაწილების პროექტის, რის შემდეგ ამ რაიონებში უკვე სწარმოებს მიწის მზომელთა მუშაობა ამ მიწების ფაქტიურად დასანაწილებლად.

— ერობამ გადასწყვიტა გამორიცხოს კერძო საკუთრებათ გასანაწილებელ ფონდიდან და თავის განკარგულებაში დაიტოვოს შავი ზღვის პირის ხაზი ოზურგეთის მაზრის საზღვრებში განით $1^1/_2 2$—2 ვერსამდე და აგრეთვე 250 ქც. მიწა სუფსის რაიონში.

— ერობის სამდივნომ შეადგინა და გამგეობამ დაამტკიცა შემდეგი მოკლე სახელმძღვანელო თემის ინსტრუქტორთათვის:

1. თემის ინსტრუქტორთათვის მოვალეობას შეადგენს თემებისთვის იდეური და პრაქტიკული დახმარება მათ რთულ აღმშენებლობითი მუშაობაში.

2. პრაქტიკული განხორციელება ამ დახმარების უნდა გამოიხატებოდეს შემდეგი კითხვების გარჩევა—გაშუქებაში თანახმად რესპუბლიკის კანონებისა და სამაზრო ერობის დადგენილებათა.

ა) განსაზღვრა დამოკიდებულებისა თემის საბჭოსა და გამგეობის შორის.

ბ) განცალკევება ერთი მეორისაგან საბჭოსა და გამგეობის ფუნქციებისა და ახსნა-განმარტება თუ რას წარმოადგენენ და რას უნდა აკეთებდენ ეს ორგანოები ცალცალკე.

გ) გარკვევა იმისა, თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს თემის გამგეობასა და სათემო მილიციის შორის.

დ) გარკვევა საბჭოსა და გამგეობის სხდომების წესრიგისა და ამ სხდომების ოქმების წარმოების წესისა.

ე) საჭიროა ახსნა-განმარტების მიცემა თემის გამგეობისთვის იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა იყოს ის სამაზრო ერობის გამგეობასთან.

ვ) გამგეობის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება.

ზ) დეტალური ახსნა-განმარტებისა და ნიმუშის მიცემა თემის გამგეობისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარმოებული გამგეობის კანცელარია.

(მესამე მუხლის ზემოხსენებულ ქვემუხლებზე ინსტრუქტორი მიიღებს დეტალურ ინსტრუქციასა და ცნობებს სამაზრო ერობის სამდივნოში).

თ) ასეთივე ახსნა-განმარტებისა და ნიმუშის მიცემა, თუ როგორ უნდა აწარმოოს გამგეობამ საანგარიშო წიგნები და როგორ უნდა იქნას შედგენილი თემის გამგეობის წლიური შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა.

ი) საზოგადო გარკვევა გამგეობისთვის ბიუჯეტის შინაარსის და მისი მნიშვნელობისა თვითმართველ ერთეულისათვის.

(მესამე მუხლის ქვემუხლების „თ“ და „ი“-ს შესახებ დეტალურ ინსტრუქციას მიიღებს სამაზრო ერობის საფინანსო განყოფილებიდან).

კ) ახსნა-განმარტების მიცემა, თუ როგორ უნდა აწარმოოს თემის გამგეობამ სამხედრო ბეგრისა და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის საქმე.

(დეტალურ ინსტრუქციას მიიღებს ერობის სამხედრო განყოფ.)

4) გარკვევა თემის გამგეობისთვის მისი მოვალეობა-ვალდებულებათა შემდეგ დარგებში:

ა) საგზო-საალმშენებლოში და ამ მიზნისთვის კანონით დაწესებულ სავალდებულო ნატურალურ ბეგრის გატარების საქმეში.

(დეტალურ ინსტრუქციას და ცნობებს მიიღებს ერობის ტექნიკ. განყოფ.)

ბ) სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების დარგში.

(ინსტრუქციას მიიღებს აგრონომიულ განყოფილებაში).

გ) სასკოლო საქმეში.

(ინსტრუქციას მიიღებს განათლების განყ.)

დ) სავაჭრო სამრეწველო დარგში.

(ინსტრუქციას მიიღებს სავაჭრო-სამრეწველო განყ).

ე) აგრარულ რეფორმათა გატარების საქმეში.

ვ) ტყისა და საფონდო-სახაზინო მიწების დაცვის საქმეში.

ზ) საექიმო-სასანიტარო დარგში.

(ინსტრუქციას მიიღებს საექიმო განყოფ.)

თ) მთავრობის მოხელეთა მოწერილობის შესრულების საქმეში.

(ინსტრ. მიიღებს სამდივნოში და გადასახადთა ინსპექტორთან).

5. შესრულება სამაზრო ერობის გამგეობის ყოველგვარი დავალებისა სათემო საქმეების შესახებ.

6) თემების ცოცხალი ძალების ამუშავება, თემის მიერ ინიციატივის გამოჩენა აღმშენებლობის სფეროში.

რომ ჩამოთვლილი მოვალეობანი თემის ინსტრუქტორმა პირნათლად შეასრულოს და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს თემს მის მეტად რთულ მუშაობაში, ჯერ თვით უნდა გაეცნოს საერობო საქმეებს, შეისწავლოს სათანადო კანონები და დებულებანი, მიიღოს დაწვრილებითი ინსტრუქციები და ცნობები ზემო ჩამოთვლილ დავალებათა შესახებ სამაზრო ერობის სათანადო განყოფილებათაგან და შემდეგშიდაც ხშირ-ხშირად მიიღონ ერობიდან ახალ-ახალი ინსტრუქციები და ცნობები.

ინსტრუქტორები აგრეთვე ვალდებულნი არიან განუწყვეტელი დამოკიდებულება იქონიონ თემებთან და ხშირ-ხშირად მიაწოდონ სამაზრო ერობის გამგეობას წერილობითი მოხსენებანი, როგორც თემის მდგომარეობის და მუშაობის, ისე თავის მოღვაწეობის შესახებ.

ზუგდიდის სამაზრო ერობა.

ზუგდიდის სამაზრო ერობის უწყების უკანასკნელ ნომერში (№ 7) მეთაური სწერს:

„დღევანდელ ჩვენს“ „უწყებაში“ მოთავსებულია ცნობა სტატისტიკური განყოფილებისა შესახებ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისა, რომელსაც ადგილი ქონდა მაზრაში რვა თვის განმავლობაში. მიმდინარე წლის აპრილიდან ენკენისთვემდე ადგილი ქონდა სულ 100 ბოროტმოქმედებას, რასაც უზარალებია მაზრა ექვს მილიონ მანეთამდე. ეს ცნობა დამაფიქრებელია — უმთავრესად რიცხვი ბოროტ-მოქმედებისა და მათი ხასიათი. ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი განიცდის ზრდას აპრილის თვიდან. აპრილში — 9, მაისში 14, ივნისში — 12, ივლისში — 20, აგვისტოში — 45 და სექტემბერში — 18. სექტემბრამდე ეს რიცხვი იზრდება ხოლო სექტემბერში იგი 45-დან 18-მდე ეცემა.

რით აიხსნება ასეთი მოვლენა?

თუ დავაკვირდებით ციფრებს, თვეებზე მეტი რიცხვი ბოროტ-მოქმედებებისა ხდება ივლისში და აგვისტოში, სექტემბერში-კი 45-დან 18-მდე ეცემა. როგორც სჩანს აქ გავლენა აქვს არა მხოლოდ იმას, რომ ივლისში და აგვისტოში მიდამო ფოთლებითაა შემოსილი

და ბოროტ-მოქმედი ადვილად ინახავს თავს. ასეთი მდგომარეობა სექტემბერშიაც არის, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სექტემბერში ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი ნაკლებია. აშკარაა, აქ სხვა მიზეზებიც არის, ივლისი და აგვისტო ისეთი რიცხვებია, როდესაც გლეხს მუშაობა არ აქვს შედარებით სხვა თვეებთან და თავისუფალი ენერგია და გაუნათლებელი აზრი უკულმართ გზით მიაქანებს მას. ბუნებით არა ბოროტ-მოქმედი, მაგრამ კულტურულად გაუნათლებელი, ის ხშირად კიდებს ხელს იარაღს ბოროტების ჩასადენათ ძარცვა გლეჯის სახით და რა თქმა უნდა რომ ისეთ ეკონომიურ სივიწროვის დროს როგორც ჩვენ განვიცდით, ეს საშუალებაა არსებობის მათთვის, ვინც გონებრივ და ზნეობრივ ბნელეთში იმყოფება.

ბოროტ-მოქმედებათა შესაძლებლობის სრულიად აღმოფხვრა ჩვენი ცხოვრებიდან შეუძლია კულტურის შეტანას და შრომის გაძლიერებას და განაყოფიერებას.

თუ კი ეს ჩვენ გავითვალისწინეთ და მთელი ჩვენი ენერგია იმ მხრით იქნა მიმართული, ეს რიცხვი ბოროტ-მოქმედებათა ადვილად იქნება ძლეული.

რაჭის საგაზრო ერობა

რაჭის მაზრის საერობო ყრილობის მ-5-თე სესიის 1-ლი სხდომის ზოგიერთი დადგენილებანი.

ტყეების კონცესიის საკითხის შესახებ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

გამგეობის მიერ მიწად-მოქმედების სამინისტროსთან დადებული საკონცესიო ხელშიკრულება მიღებულ იქმნას.

ამასთანავე ყრილობა გამოსთქვამს უკმაყოფილებას, რომ, კონცესიაში მონაწილეთ მთავრობას შემოუყვანია ქუთაისის ქალაქის გამგეობა, რომელიც არ ორგანიზაციული მხრით და არც სხვა მხრივ საქმის ინტერესისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და პირიქით ხელსაც შეუშლის რაჭის ერობის მუშაობას შესაფერ ორგანიზაციის მოწყობაში, ამიტომ მიენდოს გამგეობას შესაფერი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და მიიღოს სხვა ზომებიც, რომ კონცესია

იქნეს მარტო რაჭის ერობის სახელზე. გარდა ამისა დაევალოს გამგეობას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ან სულ გამოირიცხოს საკონცესიო პირობიდან ის დაჩები, რომლების დამუშავებაც ამ მოკლე დროში შეუძლებელი და საზარალოა და ან განსაზღვრულ ვადაში არ იქნეს სავალდებულო ყველა ბეჭდილი ხეების მოჭრა ამ დაჩებში.

— კრება ადგენს: დაევალოს გამგეობას გადასახლების საქმის მოსაწყობათ იყოლიოს მან სპეციალური ინსტრუქტორი და ყოველნაირი ხელმძღვანელობა გაუწიოს გადასახლების მსურველთ მაზრაში და მაზრის გარედაც; გარდა ამისა ეთხოვოს ხმოსნებსაც შეუწყონ ხელი ყოველნაირათ ამ საქმეს.

— სავალდებულო დადგენილება რაჭის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობისა რაჭის მაზრაში ტყეების დაცვის შესახებ.

1. სასტიკათ აკრძალულია საჯანადო ნებადაურთველად ყველა სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა დაცული მნიშვნელობის ტყეების გაჩეხა-გადაწვა მოყანების მიზნით, აგრეთვე ხეების შემოკოდვა სანახებით, დაზიანება და უბილეთოთ მოჭრა.

2. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიულის წესით სამ თვემდე დაპატიმრებით.

3. ეს დადგენილება ძალაში შედის 1920 წლ. 1-ლ დეკემბრიდან, რომლის აღნიშნულ რიცხვამდე საზოგადოების ყრილობებზე გამოცხადება დაევალოს ერობის გამგეობას საზოგადოებათა კომისრების საშუალებით. ხელს აწერენ: ყრილობის თავმჯდომარე და ხმოსნები.

— კრებამ დაადგინა: ნება მიეცეს და დაევალოს გამგეობას სასურსათო ოპერაციების საწარმოებლად აიღოს მოკლე ვადიანი სესხი, როგორც სახელმწიფოებრივ ისე საზოგადო დაწესებულებებიდან; ბანკებიდან და კერძო პირებიდან იმ ფარგლებში, რომელსაც თვით გამგეობა დაინახავს ხსენებული მიზნისათვის საჭიროთ.

რაჭის მაზრის ეროობის გამგეობის შემოსავლის და ხარჯთ-აღრიცხვის ნუსხა 1-ლ ივნისიდან 1920 წ. ვიდრე 1-ლ იანვრამდე 1921 წ.

შემოსავალის წყაროები	ჯ ა მ ი		ხაგანი ხარჯებისა	ჯ ა მ ი	
§ 1. შემოსავალი სხ. და სხ. საეროობო ქონებიდან . .	840000	—	§ 1. მაზრის ადმინისტრაცია და მილიცია	8582095	—
§ 2. სხვა და სხვა. გადასახადი . .	—	—	§ 2. სამაზრო ეროობის გამგეობის შენახვა	2444125	—
§ 3. მთავრობისაგან დახმარება და ხარჯების ანაზღაურება. . .	13410888	39	§ 3. სამაზრო სატუსაღოს შენახვა .	321200	—
§ 4. სხვა და სხვა შემოსავალი . . .	550000	—	§ 4. ტეხნიკური განყოფილება . .	2732938	40
§ 5. ბეგარა ვაჭრობა მრეწველობის უფლებ	5000	—	§ 5. სახალხო განათლება	6476078	39
§ 6. 2. ბეგარა სავაჭრო დაწესებ. შენობებიდ. . .	24000	—	§ 6. საზოგადოებრივი მზრუნველობა .	50000	—
§ 7. საქციზო გადასახადიდან . .	10000	—	§ 7. საექიმო სასანიტ. გაყოფილება. .	2288410	—
სასურსათო საქმიდან მოგება	1500000	—	§ 8. საქონლის საექიმო განყოფილება.	540920	—
სესხი მიწის გადასახ. ანგარიშში . . .	2500000	—	§ 9. აგრონომიული განყ.	389150	—
დეფიციტი	6755026	40	§ 10. ვალების გადახდა.	49850	—
			სხვა და სხვა ხარჯები	1220140	—
ს უ ლ .	25594906	79	ს უ ლ . .	25594906	79

სამურზაყანოს სამაზრო ერობა.

წვრილი ერობის არჩევნები სამურზაყანოს მაზრაში.

ამ წლის 17-და—18 ოქტომბერს სამურზაყანოს მაზრაში დამთავრდა წვრილი ერობის არჩევნები. ხმოსნების არჩევნების შედეგები პარტიული შემადგენლობის მიხედვით.

საზოგადოება.	№ 1 ს. დ.	№ 2 მ. დ.	№ 3 ს. რ.	№ 5 ს. ფ.
ბედია	45	—	—	—
რეკა	20	—	—	—
რეფი	30	—	—	—
მუხური	25	—	—	—
1-ლი გალი	20	—	—	—
ც-გალი	20	—	—	—
საბერიო	41	9	—	—
რ-ცხირი	10	6	—	—
გუდავა	22	3	—	—
ოქუმი	36	3	—	1
ბარღეფი	10	20	—	—
ჭუბურისხინჯი	16	9	—	—
თაგილონი	12	7	—	—

ამ ნაირად არჩევნები 13-საზოგადოებაში მოხდა, ხოლო სამში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ მოხდა, სხვა დროისათვის გადაიდო.

— აგრარული რეფორმა ტარდება. უკვე გამგეობამ 80-მდე ადგილ-მამულთა ჩამორთმევის აქტები დაამტკიცა. მაზრაში ძალიან კარგათ მუშაობს მესამე აგრარული კომისია.

— მაზრაში 9674-კომლია და 49000-მდე მცხოვრები. წელს მოსავალი ნაკლები, რაც ნახევრად არ ყოფნის გლეხის ყველა გაჭირვებებს. ამი

სათვის არა თუ ერობისა და ქალაქისთვის მართველობებმა, არამედ ცენტრალურ მთავრობამაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მნიშვნელოვან საკითხს და ხალხი გადაარჩინოს მომავალ გაჭირვებას.

— გამგეობამ ჩამოიტანა თბილისიდან საქონელი, რომელიც მაშინვე ვაიყიდა. დიდი საჭიროებაა მაზრაში მატყლის.

— ღალის ასაკრეფათ გამგეობამ განსაკუთრებული კომისია დაინშნა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

— გამგეობამ დაადგინა გამოარკვიოს მაზრის ტყეთა მდგომარეობა და ხარისხი.

— ადმინისტრაციამ მოკლა ცნობილი ავაზაკი ჩქოტუა. ადმინისტრაციის მუშაობა მაზრაში მილიციის უფროსის ჩებურიას მეთაურობით საუცხოვოა.

— დ. გალში დაარსდა აქციზის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობა.

— ერობის სამკურნალოში სტაციონალური კერძო ავადმყოფებზე დადებულია გადასახადი 150 მან.; მოსამსახურებზე ეი—100 მან.

— დაიხურა გამგეობის განკარგულებით დ. აჩიგვარაში თომა გვილავას აფთიაქი, რომელიც აკეთებდა ისეთ წამლებს, რომლის კეთების უფლება მას არ ჰქონდა.

— ბზის ხეების მზადება მაზრაში დაიწყო. ჯერ ამზადებენ კერძო პირები: ქაქუთია და იოსელიანი, რომელნიც ერობას აძლევენ დამზადებულ ბზეების 10 პროც.

ქალაქთა თვითმართველობა.

ქალაქთა კავშირი.

ნ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განაგრძეს მადისონის მოხსენების განხილვა და იმსჯელეს მილიციის დებულების შესახებ. ელიავამ აღნიშნა, რომ მილიციის ახალ დებულებაში შეტანილია ორი ცვლილება: პატარა ქალაქების მილიციის უფროსი უნდა ემორჩილებოდეს სამაზრო მილიციის უფროსს და შინაგან საქმეთა მინისტრს, შეუზღუდველი უფლება უნდა ჰქონდეს მილიციაში მოსამსახურეთა დათხოვნისა. ელიავას აზრით ქალაქების სრული პატრონი თვით ქალაქები უნდა იყვნენ და

ამიტომ მიუღებელია ქალაქის მილიციის უფროსის მაზრის მილიციის უფროსისადმი დამორჩილება. თათბირმა არ ძიიღო არც მეორე მუხლი და დაადგინა შესცვალოს იგი 1919 წ. იანვრის 26 კანონის თანახმად.

შემდეგ ნ. ელიავამ გააკეთა მოხსენება ერთდროულ გადასახადის შესახებ, რომელიც ორმა ქალაქმა—ხონმა და ოზურგეთმა, ერთ და იმავე დროს აღძრა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს საკითხი ერობათა და ქალაქთა საერთო საკითხად აღიარა, მაგრამ ეს საკითხი არ გაურჩევია არც საერობო ცენტრს და არც აღმასრულებელ ბიუროს, ვინაიდან ცნობები იყო მის შესახებ, რომ პროექტს ერთდროულ სახელმწიფო გადასახადის შესახებ თვით მთავრობა ამუშავებდაო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს: საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ერთდროული სახელმწიფო გადასახადში ადგილობრივ თვითმართველობებმაც მიიღონ მონაწილეობა, და თუ ერთდროული გადასახადი არ იქნება დაწესებული, მაშინ უნდა დაწესდეს განსაკუთრებული მუნიციპალური გადასახადი. აღმასრულებელ ბიუროს ერობათა კავშირთან ერთად ევალება ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად გადასდგას სათანადო ნაბიჯი. დასასრულ მ. რუსიამ გააკეთა მოხსენება თფილისის-კოჯორის ელექტრონის რკინის გზის გაკეთების და აგრეთვე მდინარე ხრამზე ჰიდრავლიურ სადგურის აგების შესახებ. ყრილობის დავალების ასასრულებლად მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწვია შეერთებული სხდომა თფილისის და კოჯორის ქალაქთა საბჭოებისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თათბირი შესდგა, საკითხი ელექტრონის რკინის გზის შესახებ არ გადაწყვეტილა. ამ ჟამად აღმასრულებელ ბიუროს მონდობილობით ინჟ. ზავალიშინი ხრამზე ჰიდრავლიურ სადგურის ასეგებად სათანადო გამოკვლევას ახდენს. აღმასრულებელმა ბიურომ ამ საქმისათვის 1,300,000 მან. გადასდო. ნ. ელიავამ ეს მოხსენება შეავსო განმარტებით და აღნიშნა, რომ აღმასრულებელმა ბიურომ სანამ ამ თანხას გადასდებდა, აცნობა ამის შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ქალაქთა კავშირის ასეთი მოქმედება სასურველად იცნო. განზრახულია არა ერთი სადგურის, არამედ მთელი რიგი სადგურების აგება. პირველი 10,000 ძალის მქონე სადგური აგებული იქნება თფილისიდან 20 ვერსზე. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ იგი ცნობათ მიიღო და გაწეული ხარჯები დაამტკიცა.

მუნიციპალური ბანკის შესახებ

ნ. ზ. ელიავას თამჯდომარეობით შესდგა თათბირი ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისა. თათბირს დაესწრენ საგანგებოდ მოწვეულნი პირნი მუნიციპალურ ბანკის შესახებ მოსალაპარაკებლად. თათბირს დაესწრო ბ. ჩხიკვიშვილი, სახელმწიფო ბანკის მმართველი ი. ლორთქიფანიძე და სხ. ე. ბერგმა წაიკითხა მოხსენება ბანკის დაარსების შესახებ. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა ქალაქთა ფინანსების კრიტიკული მდგომარეობა და კომუნალური კრედიტის საჭიროება. ელიავამ განაცხადა: მოხსენება პერსონალურია, მუნიციპალური ბანკის დაარსების საკითხი პრინციპიალურად გადაწყვეტილია, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ახლა მხოლოდ გადასაწყვეტია—საჭიროა, თუ არა მუნიციპალური ბანკის გახსნა მაშინ, როდესაც არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომელიც მოკლე ვადიან სესხს იძლევა. სახელმწიფო ბანკის მმართველმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური ბანკი ხელს ვერ შეუშლის სახელმწიფო ბანკს. მხოლოდ გამოსარკვევია ის, თუ ბანკის პასივი რომელი თანხიდან უნდა შესდგეს, ვინაიდან მიმდინარე ანგარიშების იმედი ცოტაა. მართალია ნ. ელიავას განცხადებით მთავრობის განკარგულებაში ქალაქებისათვის სესხად მისაცემად გადადებულია 200 მილიონი მანეთი, მაგრამ ეს არ სწყვეტს საკითხს. ამ მოსაზრებით ი. ლორთქიფანიძეს სასურველად მიაჩნია მუნიციპალურ ბანკის გახსნა, მხოლოდ არა ეხლავე. თათბირის წევრმა გოთუამ სასურველად აღიარა ეხლავე გაიხსნას მუნიციპალური ბანკი, რომელსაც შედარებით კერძო ბანკებთან გაცილებით დიდი ნდობა ექნება. რევოლიუციით შეშფოთებული ხალხი თანდათან მშვიდდება, რის მომასწავებელიცაა მიმდინარე ანგარიშებზე შემოტანილ თანხის ზრდა. ამას წინათ გახსნილ ცენტრო ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე ამ ჟამად შემოტანილია 200 მილ. მან., მაშინ, როდესაც ბანკი 30 მილიონ თანხით გაიხსნა. გოთუამ წინადადება შეიტანა—აერჩიათ კომისია წინასწარ მუშაობისათვის. თათბირის წევრმა რუსიამ საჭიროდ არა სცნო მუნიციპალური ბანკის გახსნა, ვინაიდან ადგილობრივი თვითმართველობანი შეთანხმებულათ არ მუშაობენ ცენტრალურ მთავრობასთანო. ელიავამ აღნიშნა იმ აზრის უმართებულობა, თითქოს სახელმწიფო ბანკი ემსახურებოდეს ადგილობრივ თვითმართველობათა საჭიროებას, ბანკს საფუძველად უნდა დაედოს მუნიციპალიტეტების ურთიერთშო-

რის პასუხისმგებლობის პრინციპიო. მოშხსენებელის განმარტების შემდეგ მუნიციპალური ბანკის გახსნის მომხრე აღმოჩნდა 11, მოწინააღმდეგე 4, ორმა თავი შეიკავა. ბანკის ტიპის შესახებ წინააღმდეგ ერთისა დაადგინეს: ბანკს საფუძველად დაედვას ურთიერთ შორსს პასუხისმგებლობის პრინციპი. ბოლოს გადასწყვიტეს მუნიციპალურ ბანკს მიეცეს ობლიგაციების გამოშვების უფლება. იქნება ერთი ბანკი საქალაქო და საერობო. ბანკის პატრონი უნდა იყვეს მუნიციპალიტეტები.

კოოპერატიული განჯი.

კოოპერატიული ბანკი დაარსებულ იქნა მიმდინარე წლის აპრილის 20. მისი ძირითადი თანხა იყო 5 მილიონი. მისი კრედიტის თანდათანობით ზრდას ახასიათებს შემდეგი ციფრები: თვიური ბალანსი უდრიდა განვლილი ნახევარ წლის განმავლობაში:

პირველ მაისისთვის	2.600.000	მან.
„ ივნისისთვის	4.600.000	„
„ ივლისისთვის	11.915.000	„
„ აგვისტოსთ	20.170.000	„
„ ენკენისთვის	42.160.000	„
„ ოქტომბრის	56.870.000	„

ამასთანავე თანდათანობით იზრდებოდა საზოგადოების მხრივ ნდობა კოოპერატიულ ბანკისადმი; ამას ამტკიცებენ ამავე ხნის განმავლობაში ბანკში შეტანილი სახელდახელო ანგარიშის თანხები:

„ მაისში	280.000	მან.
„ ივნისში	1.170.000	„
„ ივლისში	3.380.000	„
„ აგვისტოში	11.400.000	„
„ ენკენისთვეში	17.450.000	„
„ ოქტომბერში	21.450.000	„

ყოველი ბანკის მნიშვნელობის დამახასიათებელია გაცემული სესხი, რომელიც იმავე ხნის განმავლობაში გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში:

გაცემული იყო სესხი:

მაისში	1.190.000	მან.

„	ივნისში	2.100.000	„
„	ივლისში	6.100.000	„
„	აგვისტოში	12.000.000	„
„	ენკენისთვეში	24.000.000	„
„	ოქტომბერში	32.000.000	„

აქედანა სჩანს, რომ კოოპერატიული ბანკის მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება; მისი მნიშვნელობა და საზოგადოებრივი ნდობა იზრდება.

ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება

პროექტი სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა

1920—21 წლის განმავლობაში საერთო ვარაუდით ხაზინაში უნდა შემოვიდეს 8 მილიარდი, 600 მილ. მანეთი. შემოსავლის თანხა უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: 1) სახელმწიფო მამულებიდან და კაპიტალიდან 4 მილიარდი მანეთი; 2) სახაზინო სესხის დაბრუნებიდან 2 მილიარდი 700 მილ. მან.; 3) არაპირდაპირ გადასახადებიდან $1^1/_2$ მილ. მან; 4) პირდაპირ გადასახადებისაგან—201 მილ. მან; 5) საბაჟო გადასახადისაგან 94 მილ. მან; 6) სახელმწიფო რეგალიებიდან 42. 190.000 მან; 7) სხვა წვრილი შემოსავალი 15.000.000 მან; ამ რიგად ერთ სულზე 585 მან. გადასახადი მოდის.

— ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის შორიგ სხდომაზე ე. მადისონმა გააკეთა მოხსენება შრომის ბეგარის კანონის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომის სამინისტროში ამ საკითხის განსახილველად მოწვეული იყო ორი თათბირი და ამასთანავე განზრახულია საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღებაო. მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უარყვეს პროექტი შრომის ბეგარისა. მოხსენების დაწვრილებითი განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა: ვინაიდან საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღება არსებულ პირობებში პრაქტიკულად განუხორციელებელია, ამიტომ შრომის ბეგარის პროექტი უარყოფილ ინდა იქნეს; რაც შეეხება არა მშრომელ ელემენტებს, მათ და მიძართ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რომ ეს ელემენტებიც ჩაებან სეყოველთაო შრომაშიო.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

(სოფრონ გლახაშვილის თხზულებანი ტ. I)

სოფრონ გლახაშვილის თხზულებანი სცენები და ბელეტრისტულ ფორმაში გამოთქმულ განცდათა წუთების ნაწყვეტებია.

ამ პატარ-პატარა, ასე ვთქვათ, გზა და გზა დაწერილ ესკიზებსა და სცენებში ავტორს გამოუხატავს ნახული და გაგონილი, თუ განცდილი ჩაბეჭდილებანი და ასე გვონიათ, რომ ამ განცდილ წუთებს, დასასრული არ აქვს; ავტორი, როგორც ქართველი დემოკრატიის წრიდან პირდაპირ გამოსული, რომელსაც თვისი საკუთარი ენერგიისა და შრომის წყალობით ცხოვრების ეკლიანი გზა გაუკაფავს, მოგვცემს ბევრს ჩვენთვის სრულიად უცნობს, საყურადღებო და დიდათ საინტერესო მხატვრობას...

სოფრონ გლახაშვილი ბუნებას ნიჭით დაუჯილდოვებია. ავტორი წარმოადგენს სულის მრავალგვარი თვისების შეერთება-შეკრებას: ცხოვრების მასალების მხატვრულ სურათებათ გარდაქმნას და გულწრფელათ'მის გადმოტანას ქაღალდზე. ამ „წუთისოფლის" ცხოვრება ავტორისთვის ნამდვილი და ჭეშმარიტი, სტიქიური სიყვარულია, ძალიანი, მეტისმეტი ღირებულების და დიდი ძვირფასი განძია. ამიტომაც, იმის ძალზე მოწყურებულ ნიჭს ენატრება, შეტრფის და გულით უნდა გამოიცნოს ამ ცხოვრების ღრმა საიდუმლოება, ეინტერესება ამ ცხოვრების შესწავლა დეტალურათ, რომ მან იმაში გამონახოს ახალი აზრი და გძნობა. რა-კი ცხოვრების მოვლინებათა შესწავლას, ბუნების მეტყველივით, ასე ხალისით დაუწვრილმანდება მწერალი, იმას რასაკვირველია, გაუადვილდება ამ ცხოვრების მაჯის ცემა და ფეთქვაც, მისი ყურთა სმენის გაგებაც და იგი გახდება კიდეც სამერმისოთ იმისი წმინდა ლირიკის ნაზი და ნარნარი ხმების გამომეტყველი, ინსტრუმენტი.

სოფრონ გლახაშვილი, მართალია, დღეს ჩვენ წინ წამომდგარია, როგორც მოგახსენეთ, ვით ესკიზი, როგორც დაუსრულებელი, ასე ვთქვათ, სულ ახალი მწერალი-მხატვარი, მარა იგი ამ ესკიზებითაც გვამცნობს, საყვარელი კალმის კაცია, რომლის ნაწერებს შეუძლია გული დაგვიამოს, გაგვამხნეოს და ძლიერათაც შეგვაყვაროს ჩვენი ცოცხალი, ანკარა და პატიოსანი, ნაზი მწერლობა.

ამ პირველ ტომში არი თავმოყრილი ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, პატარ-პატარა სილუეტებათ ჩვენი ცხოვრების ამბები და სცენები. თქვენი თვალისწინ პირდაპირ იშლება და იხატება მდიდარი საქართველოს შუაგული კუთხე—ქართლის უშვენიერესი მდ. ლიახვის არე-მარენი, ეს კლასიკური ქვეყანა დიდი დრამებისა და ტრაგედიებისა... სოფრონ გლახაშვილმა ამ პირველი ტომითვე გვაგრძნობია თვისი საკუთარი ინდივიდუალური ძალა, სიღრმე და დაგვარწმუნა კიდეც, რომ იგი რეალისტი მწერალია.

ავტორს დიდი ცოდნა აქვს ცხოვრების ფაქტებისა და ეს გარემოება შე-

ძლებას აძლევს მას ღრმად ისარგებლოს ამ ცოდნით. მარა, წერის დროს, მრავალსიტყვაობის მორევში არ იკარგება, სიტყვებს ეკანომიურათ ხარჯავს და ზომიერებას, არსად ღალატობს. ჩვენი ჰენიოსის თქმისა არ იყოს, გძელი სიტყვა მოკლეთ ითქმისო, სწორეთ ასე იქცევა ჩვენი ავტორიც. და ასეთი მწერალი ყოველთვის მოწონს და უყვარს მკითხველს.

სოფრონ გლახაშვილის პიესებსაც ქართველთა ცხოვრების ღრმა ცოდნა ეტყობა. აქ ქართველი კაცის ფსიქიკა, მისი გულის ნადებთა და სურვილების გამოხატვა შეუდარებელია. მაგალითისთვის დავასახელებ აქ მხოლოთ სამ პიესას, სადაც ჩვენი აწინდელი, თანამედროე ცხოვრებაა დახატული, სახელდობ: **„ცხოვრებაში“** (პიესა სამ მოქმედებათ) გამოყვანილია მკურნალი-გიორგი გაშენაძე, რომელ აც თვისი საცოლეთ დანიშნული კატო პირდაპირ რუსეთიდან წამოსული დილიჯნით კარზე მოადგება. კატო ეპატიჟება თავის საქმაროს, წაყვეს შვეიცარიაში, სადაც იგი ჩაიბარებს დედისგან დატოვებულს ქონებას. მარა გიორგი არა თანხმდება, ვერ ტოვებს საქართველოს, საცა მოხუცი დედა (ბებია) ყავს ცოცხლათ და მამა-პაპის საფლავსაც ვერ შორდება. ამას გარდა, იგი კურნავს ხალხს და ასეთ ცოცხალ საქმეს პირადი ბედნიერებისთვის ვერ მიატოვებს. რა-კი საქმე ამგვარათ დატრიალდება, კატო დაუახლოვდება, რამდენიმე დღის განმავლობაში, გიორგის ძმას, სტუდენტს ვანოს, რომელსაც პირუტყული ცხოვრება მიზნათ გაუხდია და რომელმაც ერთ ლამაზ ქალიშვილს ნამუსიც ახადა და თავი მოაკვლევია, და მას აძლევს წინადადებას, გაყვეს შვეიცარიაში, დედის ქონების ჩასაბარებლათ. თუმცა გიორგი ამის თანახმა არ გაუხდება უნცროს ძმას და კინალამ ძმები ამისთვის ერთმანეთს შეაკვდებიან. მარა კატო და ვანო მაინც თავისას გაიტანენ და გიორგის კატოსგან წერილიც მოუვა შვეიცარიიდან, რო ვანოზე ჯვარიც დავიწერე, ჩემი ქმარიაო და დედიჩემის დატოვებული მამული მან უკვე ჩაიბარაო. ამის გამგონე გიორგი მკურნალი რევოლვერს საფეთქელში მიიტანს და თავის მოკვლას დაპირებს... მარა მას შეაჩერებს მაღლა მთაზე ბილიკით სასაფლაოზე მიმავალი ლამაზი მთის ასული-კონა, რომელზეც უსაყვარლესი მამის ლანდიც უთითებს.

ეგ ლანდი ძლიერი ხმით ჩააგონებს გიორგის, რომ იგი ვალდებულია იცხოვროს. ბოლოს, საქმეც ისე დატრიალდება, რო მთიელი მეცხვარის დათიას ქალიშვილი, ულამაზესი კონა, გიორგის დიდედას-მაიას ნათლული გიორგის ცოლი გახდება და ეს მშვენიერი, იდეური ყმაწვილი მკურნალი, რომელიც ამდენ სიკეთეს უშვრება სოფელ-ქვეყანას, გაახარებს სიბერეში თავის ბებიას, დათიასაც, სესიასაც და მამის ანდერძსაც უკვდავს ყოფს. გიორგი და კონაც გაბწყინვებული ღიმილით შეცქერიან მდიდარი ქვეყნის არე-მარეს და სულით და გულით, არსებით ტკბებიან.

დრამაში **„დაღი“** (სამ მოქმედებათ) გამოყვანილია ნამუს ახდილი, დაღ დაკრული მანდილოსანი, მაგდა რომელიც ცოლათ შეირთო დავით თავადიძემ, ოცდა ორი წლის თავადიშვილმა. მან ცოლის ცოდვა შერთვამდისაც იცოდა. მარა ეს გარემოება არაფრად ჩაუგდია. რამდენიმე ხნის ბედნიერათ ცხოვ-

რების შემდეგ, როცა შვილიც გაუჩდათ დავით თავადიძე მოულოდნელათ თავს იკლავს და ცოლის სახელზე წერილსაცა სტოვებს და ხსნის, თუ რისთვის აიღო თავზე მან ხელი. ადმინისტრაცია და სასამართლო-კი ამ საქმეზე იპერს სოფლის ალალ-მართალს ახალგაზდა გლეხს—მიხას, აზნაურის-ვანოს ხრიკების წყალობით. მიხას აბრალებენ დავითის მოკვლას და საციმბიროთაც უხდიან საქმეს.

დავითის ქვრივმა-მაგდამ იცის ამ საქმეში მიხას უდანაშაულობა და საქმის მეორეთ გამოძიების დროს, მკურნალს გიორგის გაუმჟღავნებს ყოველივე საქმის გარემოებას და დავითის მიერ სიკვდილის წინ დაწერილ წერილსაც მას გადასცემს წასაკითხათ. ამ წერილით, რა თქმა უნდა, გარემოება სრულიათ გაირკვევა და აიხსნება და უბრალოთ დატანჯულ მიხასაც ეშველება.

პიესაში „**წყურვილი**“ (დრამა სამ მოქ. 4 სურ.) დახატულია ქართლის სოფლის ჯოჯოხეთი. თელ სოფელს უქმური ციებ-ცხელება, მალარია სპობს. სოფელს დასანახავათ „მზე ბწყინვალე, მზე დიადი“ ენატრება და დასალევათ წმინდა ანკარა მოჩუხჩუხე წყაროს წყალი სწყურია. ასეთს უსაქიროეს სურვილს კი ვერ ისრულებს. გულქვა, გაუმაძღარი სოფლის ბძანებელი და ბატონი, „დიდი თავადი“ სოფელს დაპატრონებია. სოფლისთვის აღმოსავლეთით ამ ბატონს დიდი ქვითკირის კედელი გაუკეთებია, მზეცა და წყარო სოფლისთვის მოუშორებია. სოფლისკენ-კი აგუბებული, ძღვრიე ჭაობი დამდგარა და იქიდან მოწამლულ წყალს სვამენ სოფლელნი. კედელს სოფლისთვის მზე ბწყინვალე მოუშორებია და ტყეც სრულიათ დახშული აქვს მას. ასე რო სოფელს გასაქანი არსად აქვს და მას პირდაპირ საფლავში მიერეკება...

აი, სად არის ჯოჯოხეთი და ერთი მთავარი ძარღვიც იმ დიდი ბრძოლისა და ტრაღედიისა, რომელიც დაიწყო ქართლში 1904-5 წლების მოძრაობიდან...

ავტორს კიდევ აქვს დაწერილი დრამა-ზღაპარი „**ზღვად**“ (3 მოქმ. 6 სურათათ) და პიესა „**განთიადი**“ (2 მოქმედებათ და 4 სურათათ), სადაც მხატვრულათ გამოხატულია ცხოვრება საქართველოს ისტორიიდან, კერპთა მოძღვრების ეპოქებიდან, როცა ქართველობა თაყვანსა სცემდა მზეს.

მდიდარმა და შვენიერმა ქართლმა, უძველესმა კლასიკურმა ივერიამ ჩვენ მოგვცა ახალი ქართული მწერლობის ასპარეზზე სამი მწერალი—ბელეტრისტი: ეკატირინე გაბაშვილისა, სოფრონ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური. მარა ეს ბელეტრისტები ეკუთვნიდენ იმ თაობას, რომელსაც მე ვუწოდე ტეტიათა მოტრფიალენი და მკითხველს წარუდგინე იმათი ლიტერატურული დახასიათება 1893 წელს ჟურნალ „კვალში“. შიო არაგვისპირელი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი, ლიხელი, სოფრონ გლახაშვილი-ეს ახალი ქართლის მწერლები სრულიათ ახალი ფორმაციის ბელეტრისტი-მწერლებია... სოფრონ გლახაშვილი ცხოვრებას წერს დიდი დაკვირვებით, ცოცხალი გძნობა-გონებით და რეალიზმითაც...

მარა გვირგვინი მისი ნაწერებისა არის სწორეთ ავტორის ავტობიოგრაფია.

უნდა მოგახსენოთ, განუსაზღვრელი სიამოვნება ვიგძენი მისი წაკითხვით. სოფრონ გლახაშვილს საუცხოოთ აუწერია თვისი სოფლის წარსული ცხოვრება, იქაური მცხოვრებლების ზნე-ჩვეულება, ყოველ დღიური ყოფა, ფუსფუსი და ხასიათი.

თვისი მშობელი მამის-გლახას აღწერით ავტორმა შოგვცა ერთიანი, დასრულებული ტიპი შვენიერი, მდიდარი და ღონიერი ქართლის სოფლელი კაცისა, რომელიც მტკიცე ბურჯი იყო ქვეყნისაც და თვისი საკუთარი ოჯახისაც. გლახას აღწერა მრავალის მხრით არი შესანიშნავი, მარა ჩვენ ადგილი არა გვაქვს რომ იმაზე შევჩერდეთ.

ვინც ამ ავტობიოგრაფიას გულდასმით წაიკითხავს, იგი დარწმუნდება რო ქართლი თუ არი დღესაც ღონიერი, ძლიერი და გაუტეხელი, მხოლოთ და მარტო იმიტომ, რომ ასეთი შვილები ეზდებოდა მას შრომის შვილთა წრეებში.

თავის თავზე-კი ჩვენი ავტორი ძალიან ცოტასა სწერს. იგი მხოლოთ გაკვრით აღნიშნავს, თუ ვისი დედ-მამის შვილია, სად ისწავლა და უმთავრეს საგანს ეხება სხვათა შორის.

ჩვენში მწერლის ბიოგრაფიის დაწერას ვრცლათ და დალაგებით არავინ ჯადრულობს და ყველას სურვილია შექსპირი და ბაირონი შეიქნეს, რომ იმაზე სხვებმა წერონ ბიოგრაფიები. აი, ამიტომაცაა, რო ჩვენში ავტობიოგრაფიების წერა შემოღებული არაა. აკაკისაც-კი, ჩვენს უკვდავ აკაკისაც, მხოლოთ ბევრი მუდარებისა და ხვეწნის შემდეგ ძლივს გავაბედვინეთ „კვალში“ საკუთარი თავგადასავალის დაწერა, რომლითაც მან ქართული ლიტერატურა დააშვენა და გაამდიდრა.

სოფრონ გლახაშვილს ენა, საერთოდ, სადა და მარტივი აქვს. მარა ქართულ კილოზე რომ უქცევს, ე. ი., სიტყვებს აჭიანურებს და აგძელებს-ეს-კი ქართული ცოცხალი ენის ბუნების წინააღმდეგია. ქართული სალიტერატურო ფორმები მეტისმეტათ ცოცხალს, ცქრიალა და მხიარულ გამოთქმაში იხატება. დაუშვებელია, მაგალითად, ასეთი გამოთქმა: „სამუშაოდა“, „მედიდური და“, „საქართველოდანა“, „მზეი“, „წაიძინევით“, „ცინვა“ და სხვა.

ასეთი პროვინციალიზმი მწერლობაში მისაღები არ არის და მას, აუცილებლათ, უნდა ვერიდოთ. ქართველი ნიჭიერი მწერლების ყურადღებას მივაქცევ, სალიტერატურო მხატვრულ ფორმებს მისცენ მეტი სინაზე, კეთილ ხმოვანება, სიცოცხლე და შვენიერება...

ქართველი ახალი მწერალი-მხატვარის ეს პირველი ტომი ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის კარგი შემატებაა.

წიგნში 315 გვერდია, კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და იაფათაც ღირს— 50 მან.

ხომლელი.

რედაქტორები { გრ. ლორთქიფანიძე.
პ. ხაყვარელიძე.

გამომცემელი: ეროვნათა კავშირის კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის
საერობო თვითმართველობის
კანონ-პროექტი.

ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მე-10-ე თავში, §§ 111—119, გულისხმობს ადგილობრივი თვითმართველობის შექმნას. ქვემომოყვანილი კანონი საზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაციას, მის უფლებებს, მოვალეობებს და მის დაწესებულებათა საქმეების წარმოების წესებს*).

2. საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობას აქვს ორი საფეხური: პირველ საფეხურს წარმოადგენს ერობის წვრილი ერთეული — თემი, მეორეს — სამაზრო ერობა.

3. სახელწოდება თემი გულისხმობს, უმცირეს თავის ტერიტორიით, ადგილობრივი თვითმართველობის პირველ საფეხურს, განსაკუთრებული კომპეტენციით და მმართველობის ორგანოებით.

4. სამაზრო ერობა ეწოდება მეორე საფეხურს უდიდეს თავის ტერიტორიით, რომელსაც აგრეთვე აქვს საკუთარი კომპეტენცია და მმართველობის ორგანოები.

5. ტერიტორიალურ საზღვრებს, რომელშიაც ახორციელებენ უფლებებს და ასრულებენ მოვალეობებს თემის და სამაზრო ერობის დაწესებულება აწესებს და სცვლის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება.

6. თემი არსდება მეურნეობით მჭიდროდ დაკავშირებულ საზღვრებში თემი თავის სივრცით ისე უნდა განისაზღვრებოდეს, რომ მის მანძილში. თემის თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს მუდმივი ურთიერთობა იქონიოს თემის გამგეობასთან და ამ უკანასკნელს ჰქონდეს საშუალება შეასრუ-

*) იხილე გამოცემა IV.

ლოს თავის მოვალეობა მცხოვრებთა წინაშე; აგრეთვე ჰქონდეს საკმარისი ბიუჯეტი თვითმართველობის და ადგილობრივი მეურნეობის მიზნების შესასრულებლად.

7. თემის ტერიტორიის განსაზღვრის დროს საჭიროა მიღებულ იქნეს ყოფილი სოფლის საზოგადოების საზღვრები, სადაც ეს არ ეწინააღმდეგება წინა მუხლში (6) მოყვანილი დებულება.

8. თემის საზღვრების საკითხი შეიძლება აღძრან რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე თემმა, სამაზრო ერობამ და სამინისტროებმა-სათანადო წესისამებრ.

9. თემის ტერიტორიას საზღვრავს, აგრეთვე მის საზღვრებს სცვლის რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება. ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კითხვა წამოყენებულია სამაზრო ერობის მიერ, უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება წინასწარ მოითხოვს სათანადო სამაზრო ერობის დასაბუთებულ დასკვნას.

10. სამაზრო ერობა ეწყობა რამდენადაც შეიძლება ერთგვარ სამეურნეო ოლქში, რომელიც წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად მთლიან ეკონომიურ ერთეულს.

შენიშვნა 1-ლი: სანამ ადმინისტრატიულ გადამიჯვნას მოახდენდეს უმაღლესი საკონონმდებლო დაწესებულება, საქართველოს რესპუბლიკა იყოფა შეჰდეგ მაზრებად: ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, რაჭის, ქუთაისის, სენაკის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ტფილისის, შორაპნის, ოთხი მაზრა სოხუმის ოლქის-გუდაუთის, გუმისტინის, კოდორის, სამურზაყანოს და ბათუმის ოლქის მაზრები.

შენიშვნა მე-2: ქალაქი ტფილისი გამოიყოფება დამოუკიდებელ საერობო ერთეულად სამაზრო ერობის უფლებებით.

11. როგორც უფლებათა, აგრეთვე ვალდებულებათა მატარებელი ადგილობრივ თვითმართველობის წინაშე არის მთელი მოსახლეობა ამა თუ იმ საერობო ერთეულის კანონიერათ განსაზღვრული ტერიტორიისა როგორი პირობებითაც არ უნდა სცხოვრობდეს ის ამ ტერიტორიაზე. ამასთანავე პირდაპირი უმეშვეო ურთიერთობა არსებობს მცხოვრებთა და თემის დაწესებულებათა შორის.

12. თემის და სამაზრო ერობის დაწესებულებანი თავის ტერიტორიის საზღვრებში და ამ ტერიტორიის საჭიროებათა მიხედვით:

ა) განაგებენ ყველა საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმეებს.
ბ) ანხორციელებენ ადგილობრივ მმართველობას.
გ) სისრულეში მოჰყავთ ყოველივე ის, რაც ევალებათ განსაკუთრებული კანონის ძალით როგორც საერთოდ ყველას აგრეთვე თითოეულს ცალ-ცალკე.

13. თავ-თავის ტერიტორიალურ საზღვრებში თემს და სამაზრობას ეკითხება თანახმად მათი მოქმედების ხასიათისა:

ა) დაწესება საერობო გადასახადისა, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, აკრეფა და ხარჯვა მისი, აგრეთვე ნატურალური ბეგარის განსაზღვრა და მისი მოხმარება.
ბ) სახელმწიფოებრივი და სხვა გადასახადების განაწილება, მათი აკრება და სათანადო დაწესებულებისათვის გადაცემა.
გ) საერობო თანხის, და ქონების გამგებლობა.
დ) შენახვა გზებისა, ხიდებისა, ბოგირებისა და სხ.; ნავთსადგურების მოწყობა და მათი ექსპლოატაცია; მიმოსვლის გასაუმჯობესებლად მუშათა ყოველ გვარი ტრანსპორტის აგება და ზრუნვა მათ გასაუმჯობესებლად.
ე) ზომების მიღება ცეცხლის ქრობისათვის და ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ, როგორც დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე ტყეებში და ველზე; ბრძოლა წყალდიდობის და სხვა სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ.
ვ) ყოველი საზოგადოებრივი ქონების — ჭუჭის, მოედნის, სასაფლაოს და სხვა ამგვარის საერთო ზედამხედველობა მათი სათანადოდ მოწყობა; დასახელებულ ადგილთა დაგეგმა; ყოველ გვარი შენობის აგების ზედამხედველობა ტეხნიკური, სანიტარული, ჰიგიენური და სხვა გვარი ზედამხედველობა.
ზ) აგება და მოწყობა წყალსადენისა, კანალიზაციისა, განათებისა, ბაღებისა, პარკებისა და სხ.
ჰ) გამგებლობა მილიციისა; ყოველ გვარი ზომების მიღება. წესრიგის დასამყარებლად და საფრთხის თავიდან ასაცდენად; დაარსება და შენახვა მომრიგებელ სასამართლოსი.
ი) დაარსება და შენახვა ფოსტის და ელსმენისა; მოწყობა სხვა და სხვა გვარი სამგზავრო მიმოსვლისა, ბარგის გადაზიდვა-გადმოზიდვისა, როგორც გზა ტკეცილით, აგრეთვე წყლით მიმოსვლის საშუალებით.

თ) ზომების მიღება ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის, როგორც სენთან წინასწარ საბრძოლველად, აგრეთვე განსაკურნებლად; დაარსება და შენახვა საავთმყოფოებისა, სანატორიებისა, აფთიაქებისა და სხვა; სამკურნალო სიმდიდრის გამოყენება.

კ) ეპიდემიასთან და ეპიზოოტიასთან ბრძოლა.

ლ) საბეითალო ზედამხედველობის დაარსება და საბეითალო დახმარების ორგანიზაცია.

მ) მზრუნველობა ღარიბთათვის, განუკურნებელ სენით ავათმყოფთათვის, ჭკუა შეშლილთათვის, დასახიჩრების და ავათმყოფობის გამო შრომის უნარს მოკლებულთათვის და მოხუცებულებისათვის; ავათმყოფთა და მოხუცებულთა დაზღვევის ორგანიზაცია.

ნ) სასკოლო და სკოლის გარეშე საერთო და პროფესიონალური განათლების ორგანიზაცია.

ო) საკუთარი ინიციატივით სხვა და სხვა გვარი მელიორაციის დაარსება და აგრეთვე დახმარების აღმოჩენა ყოველ გვარ კერძო ინიციატივისათვის ასეთ საქმეში; მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა; დაარსება საცდელ, საჩვენებელ და სხვა დამხმარებელ დაწესებულებათა; ფართო აგრონომიული დახმარება.

პ) ორგანიზაცია სხვა და სხვა გვარ საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა-საკრედიტო, მწარმოებელ, მომხმარებელ, საქონლის საერთო შემსყიდველ და გამყიდველ საზოგადოებათა და სხ.; სამეურნეო საზოგადოებების დაარსება; ყოველ ნაირ ინიციატივის ხელშეწყობა ამ გვარ საქმეში.

რ) გამგებლობა ყოველ გვარი საურთიერთო დაზღვევის საქმისა.

ს) წყლის საქმეების გამგებლობა.

ტ) სასურსათო საქმის და მომარაგების მოწყობა რაც შეიძლება ფართოთ.

უ) შრომის დაცვა; დაარსება და გამგებლობა იმ დაწესებულებათა, რომელნიც ხელს უწყობენ შრომის ორგანიზაციას და მის დაცვას.

ფ) მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა.

ხ) ვაჭრობისა და მრეწველობის ზედამხედველობა.

კ) ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა; ნადირობის და თევზაობის ზედამხედველობა.

ჭ) ბუნების და ხელოვნების ნაშთების დაცვა.

წ) კვლევა-ძიების წარმოება ადგილობრივ მდებარეობის და მთელი მხარის შესასწავლად.

ჭ) აღწერების და კადასტრების წარმოება; მცხოვრებელთა მიმდინარე აღრიცხვა; მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია.

შენიშვნა 1-ლი: გარდა ჩამოთვლილ საქმეებისა, რომელნიც ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებების კომპეტენციაში შედიან, კანონს შეუძლია აგრეთვე დაავალოს მათ სხვა მოვალეობანი ადგილობრივ მმართველობის და მეურნეობის შესახებ.

შენიშვნა მე-2: მეცამეტე მუხლში ჩამოთვლილი დებულებანი გულისხმობენ როგორც უფლებათა და მოვალეობათა დამოუკიდებლად განხორციელებას და ასრულებას, აგრეთვე ამ მიზნების განსახორციელებლად ამა თუ იმ პირობებით შეერთებას სხვა ორგანიზაციებთან, რომელთაც უკვე დაიწყეს ან იწყებენ ზემოხსენებულ მოქმედებებს.

14. მეთოთხმეტე და მეცამეტე მუხლებში ჩამოთვლილ ადგილობრივ თვითმართველობების მოვალეობათა განაწილება თემის და სამაზრო ერობის შორის ხდება თითოეულ მაზრაში ცალკე ნებაყოფლობითი შეთანხმებით თემთა საბჭოების წარმომადგენელთა და სამაზრო ერობის ყრილობის შორის.

შენიშვნა 1-ლი: იმ შემთხვევაში როდესაც თემი ახლად ეწყობა სამაზრო ერობა ადგენს სათემო დაწესებულებათა ინსტრუქციებს.

შენიშვნა მე-2: კითხვა მოვალეობათა განაწილების შესახებ შესაძლებელია დაისვას ყველა ჩვეულებრივ სამაზრო ერობის ყრილობაზე. კითხვა შეიძლება დასვას როგორც კერძო თემმა, რომელსაც თავისი ადგილობრივი განსაკუთრებული პირობების გამო სჭირია მოვალეობათა გადამიჯვნა, ისე რამოდენიმე თემმა, რომელნიც ერთგვარ პირობებში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში კითხვა სწყდება მხოლოდ იმ თემის შესახებ, რომელმაც ის წამოაყენა.

15. რადგანაც შესაძლოა ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებების წინაშე წარმოდგეს იმ გვარი მოთხოვნილება, რომლის

დაკმაყოფილების უფლება არ გამომდინარეობს არც პირდაპირ, არც დასკვნის საშუალებით მოყვანილ 12 და 13 მუხლისაგან, ამ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელობითი დაწესებულებებს შეაქვთ საჭირო კანონ-პროექტი რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში. სამაზრო ერობის ყრილობა პირდაპირ წარადგენს ამ საქმეს, თემის საბჭო კი სამაზრო ერობის ყრილობის ნებადართვით და შუამდგომლობით,

16. თემს და ერობას შეუძლიათ: ა) შეადგინონ კავშირები, ბ) მოიწვიონ ყრილობები. მხოლოდ ასეთ კავშირებს, აგრეთვე ყრილობათა მიერ შექმნილ ორგანიზაციებს აქვთ მხოლოდ იურიდიულ პირთა სმზოგადო უფლებანი, მათ არა აქვთ საჯარო უფლებები.

17. როდესაც ერობებს არ შეუძლიათ რაიმე მიზეზის გამო დააკმაყოფილონ თემის იმ გვარი მოთხოვნილება, რომელიც აღემატება კერძო ერთეულის ძალას და ბიუჯეტს, ამ შემთხვევაში და განსაზღვრულ მიზნისათვის კერძო ერთეულებს შეუძლიათ შექმნან განსაკუთრებული კავშირი. ამ გვარ კავშირს შეუძალია ისარგებლოს საჯარო უფლებით დასახულ მიზნის თვალსაზრისით მხოლოდ იმდენად, რამდენად იგი მინიჭებული აქვს მის წევრთ.

18. თემს და ერობას აქვს უფლება საერთო სამოქალაქო კანონების ძალით შეიძინოს და გაასხვავოს ქონება, შეკრას პირობები, მიიღოს თავის თავზე ვალდებულებანი, აგრეთვე აღძრას სამოქალაქო დავა და პასუხი აგოს სასამართლოში თავის ქონებრივ საქმეებისათვის.

19. სამაზრო ერობის ყრილობას აქვს განსაკუთრებული უფლება ეკსპროპრიაციისა, ეს უფლება განსაზღვრულია კანონით 11-ივლ. 1919 წ.

შენიშვნა: თემი თუ მისი საჭიროებისათვის აუცილებელია ეკსპროპრიაცია, მიმართავს სამაზრო ერობის ყრილობას (სამაზრო ერობის გამგეობის შუამდგომლობით), რომელიც, თუ თემის საბუთებს დაეთანხმა, თითონ ასრულებს კანონით დადგენილ მოქმედებას.

20. თემს და ერობას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და სათანადო აღნიშვნებით.

II. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები.

ა) თემის მართველობის ორგანოები

21. თითოეულ თემს ჰყავს: ა) საბჭო, ბ) თემის თავი და მისი თანაშემწენი.

22. თითოეული თემი იმდენ თანაშემწეს ირჩევს, რამდენი სოფელიც შედის თემში. თანაშემწენი ირჩევიან იმ ანგარიშით, რომ თითოეულ სოფელში იქნეს ერთი თანაშემწე ადგილობრივ მცხოვრებთაგან.

23. თანაშემწე, რომელიც ამორჩეულია იმ სოფლისათვის, სადაც იმყოფება თემის დაწესებულება, არის ამავე დროს თემის თავის მოადგილე.

24. თემის საბჭო ირჩევა იმ წესით, რომელიც შემოღებულია საერთო სახელმწიფოებრივი კანონებით—ესე იგი—საყოველთაო პირდაპირი თანასწორ საიდუმლო უფლებებით და პროპორციონალურ წარმომადგენელობით და ყველა იმ პირობების დაცვით, რომელიც გათვალისწინებული აქვს საარჩევნო კანონს და საარჩევნო ინსტრუქციებს.

25. საბჭოს ხმოსანთა რიცხვი განისაზღვრება შედარებით თემის ამომრჩეველთა რიცხვით; ყოველი ორასი მოქალაქე, აღჭურვილი საარჩევნო უფლებებით ირჩევს ერთ ხმოსანს.

26. საბჭო ირჩევა ერთი წლის ვადით.

27. ხმოსანმა, რომელმაც დაკარგა საარჩევნო უფლება საბჭოს საარჩევნო ვადის განმავლობაში გამოდის ხმოსანთა შემადგენლობიდან; მის ადგილს იჭერს იმავე სიის შემდეგი კანდიდატი. ხმოსანი, რომელიც ორი თვის განმავლობაში არ დაესწრება საბჭოს არც ერთ სხდომას ჰკარგავს ხმოსნის წოდებას და მის ადგილს იჭერს კანდიდატი იმავე წესით.

28. საბჭოს ხმოსანი სხდომისათვის არავითარ სასყიდელს არ იღებს.

29. საბჭოს ჩვეულებრივი სხდომები ხდება თვეში არა უმეტეს ორისა.

30. საბჭოს ჩვეულებრივ სხდომათა აღნუსხვას საბჭო იღებს თავის მეორე სხდომაზე და იგი ხდება სავალდებულო.

31. საბჭოს საგანგებო სხდომები ხდება ან თემის თავის მოთხოვნით ან და ხმოსანთა საერთო რიცხვის ერთი მესამედის განცხადებით.

32. საბჭოს პირველ სხდომაზე არჩეული უნდა იქნეს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ხმოსანთა შემადგენლობიდან და მდივანი. მდივანი შესაძლებელია დროებით არჩეულ იქნას ხმოსანთა შემადგენლობიდან იმ პირობით, რომ მის სამაგიეროთ შემდეგ მოწვეულ იქნას ვინმე თემის თავის კანცელარიის მოსამსახურეთაგან (იხ. შ. 2).

33. პირველსავე სხდომაზე, რომელიც გაიხსნება უხუცესი ხმოსნის მიერ, საბჭო იღებს რეგლამენტს და ამით ხელმძღვანელობს მომავალ თავის გოქმედებაში.

34. საბჭოს სხდომის კანონიერათ ჩათვლისათვის საჭიროა ხმოსანთა ნახევრის დასწრება. საგანგებო სხდომისათვის, რომელიც მოწვეულია სახალხო უბედურების გამო, ქვორუმი შემცირდება ხმოსანთა ერთ მეოთხედამდის.

35. საბჭო იხილავს და გამოაქვს განაჩენი ყველა იმ კითხვის შესახებ, რომელიც შეადგენს თემის კომპეტენციას თანახმად §§ 12, 13 და 14.

36. ყველა თავის დადგენილებას საბჭო ღებულობს ხმის უბრალო უმრავლესობით. თითეულ ხმოსანს აქვს ერთი ხმა. ხმის უფლების გადაცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

37. საბჭოს სხდომაზე შეწყნარებულია როგორც ღია, აგრეთვე ფარული კენჭის ყრა. საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევნები და აგრეთვე კითხვები თანამდებობის პირთა სასამართლოს პასუხის გებაში მიცემის შესახებ აუცილებლად ხდება ფარული კენჭის ყრით.

38. მდივანი აწარმოებს საბჭოს სხოდომის ოქმს, რომელშიაც აუცილებლათ ჩაწერილი უნდა იქნეს ყველა დადგენილებანი, საბჭოსაგან შეღებული. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და დამსწრე ხმოსნები.

39. მუშაობის ნაყოფიერებისათვის საბჭოს შეუძლია აირჩიოს კომისიები და დაავალოს მათ მეურნეობის და მმართველობის ცალკე ნაწილი, ან ცალკე კითხვები, საერთო საქმეებიდან გამოყოფილი.

40. კომისიებს შეუძლიათ მოიწვიონ მცოდნე პირები და ექსპერტები, შეაგროვონ მასალა ყოველ გვარ კანონიერ ღონისძიებით, ისარგებლონ ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ორგანოების შრომითაც, შეადგინონ მოხსენებანი და ამ მოხსენებებით წარსდგენ საბჭოს საზოგადო სხდომებზედ.

41. თუ საბჭომ საერთო სხდომაზე დაამტკიცა კომისიის მიერ მომზადებული მოხსენება, მისი სისრულეში მოყვანაც შეიძლება მიენდოს იმავე კომისიას.

42. საბჭოს სხდომა და მისი ოქმები წარმოებს სახელმწიფოებრივ ენაზე. მაგრამ იმ თემებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა და ხმოსანთა რიცხვის ორი მესამედი ეკუთვნის ნაციონალურ უმცირესობას, ყველაფერი სწარმოებს ნაციონალურ უმცირესობის ენაზე. მთავრობის და სხვა საერთო დაწესებულებასთან ურთიერთობის დროს უნდა იხმარებო-

ლეს სახელმწიფოებრივი ენა. დადგენილებათა პირი, რომელიც ეგზავნება სამაზრო ერობას, უნდა იქნეს აგრეთვე გადათარგმნილი სახელმწიფო ენაზე.

43. საბჭოს ყველა დადგენილება და მოწოდება, გამოქვეყნებული საყოველთაო ცნობისათვის, შედგენილი უნდა იქნეს იმავე ენაზე, რომელზედაც საწარმოებს საბჭოს სხდომა. მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვის 20 ამ ენაზე არ ლაპარაკობს, ყველა ზემოხსენებული მოწოდება გამოქვეყნებული უნდა იქნეს ამ უმცირესობის ენაზედაც.

44. თემის საბჭოს ბრიერ მიღებული სავალდებულო დადგენილება, თავის უწყების საკითხთა შესახე შეიძლება გამოსცეს მხოლოდ სამაზრო ერობის ყრილობამ (იხ. დამატება მ-ბ-მე).

44. ა) საბჭოს სხდომები საჯაროა.

45. თემის თავის და მისი თანაწემწენი არიან თემის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები.

46. თემის თავის მოვალეობას შეადგენს მოიყვანოს სისრულეში საბჭოს დადგენილებანი, აწარმოოს ყოველდღიური მუშაობა მმართველობის და მეურნეობის დარგში, მიაწოდოს საბჭოს და საგანგებო კომისიებს საჭირო მასალები, შეადგინოს მოხსენებები; წარმოადგინოს საბჭომ ჩვეულებრივ ურთიერთულ დამოკიდებულებაში სათანადო ხელთუფლების და დაწესებულების წინაშე; გადაუდებელ შემთხვევებში გადაჭრას ყველა კითხვა, რომელიც შეადგენს საბჭოს კომპეტენციას, მხოლოდ რაც შეიძლება საჩქაროთ მოახსენოს საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

47. თემის თავს ევალება აგრეთვე: ა) გასცეს განკარგულება მილიციის ანუ გამომძიებლის მოსვლამდის, რომ აღდგენილ იქმნას დარღვეული საზოგადოებრივი წესრიგი, დაცულ იქმნას პიროვნების და ქონების ხელუხლელობა, დააკავოს დამნაშავენი და ბოროტ-მოქმედების კვალი არ დაიკარგოს; ბ) მისცეს ცნობები სათანადო სასამართლებრივ ხელის უფლების იმ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა თემში და გ) დაეხმაროს გამომძიებელ ძალებს, როცა ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას თემის ფარგლებში,

48. გარდა ამისა, თემის თავი მოვალეა აწარმოოს საოჯახო და საარჩევნო სიები, აწარმოოს საზოგადოთ მცხოვრეთა აღნუსხვა, და აძლიოს თემის მცხოვრებთ მოწმობები სხვა და სხვა გვარი საჭირო

საბუთები. თემის თავი აწარმოებს აგრეთვე ხელშეკრულებების და ჩორიგების წიგნს, არსებულ კანონმდებლობის თანახმად.

49. თემის თავი აწვდის სამაზრო ერობის გამგეობას ყველა ცნობას, რომელიც საჭიროა ერობისათვის მისი მოვალეობის შესასრულებლად. იგივე ევალება მას ცენტრალურ მთავრობის ორგანოთა მიმართ.

50. თემის თავი უშუალოდ განაგებს მილიციას, რომელიც ემსახურება იმავე თემის რაიონს.

51. თემის თავი ირჩევა იმავე ვადით რა ვადითაც არჩეულია საბჭო, მაგრამ იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან მთელი საბჭოს ხმოსანთა რიცხვის სამი მეოთხედის დადგენილებით.

52. თემის თავი შეიძლება ამორჩეულ იქნეს არა ხმოსანთა შორის. ამ შემთხვევაში, თავის თანამდებობის ძალით, საბჭოს სხდომებზე მას ხმის უფლება აქვს.

53. თემის თავი არ იღებს კენჭის ყრაში მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭო სწყვეტს საკითხს მისი მოქმედების, მისი ჯამაგირის რაოდენობის და მისი მოქმედების რევიზიის შესახებ.

54. თემის თავის და აგრეთვე მის თანაშემწეთა ჯამაგირების რაოდენობას აწესებს საბჭო, რომელიც გადაწყვეტს ამ საკითხს სანამ ამ თანამდებობის კანდიდატებს კენჭს უყრიდეს.

55. თემის თავის თანაშემწეთ ირჩევს საბჭო, მაგრამ თემის თავს აქვს უფლება დასაბუთებული გადაყენებისა.

56. თანაშემწენი ირჩევიან იმავე ვადით, მაგრამ თემის თავის დასაბუთებული შუამდგომლობით, თუ მას მხარი დაუჭირა საბჭოს სხდომაზე დამსწრე ხმოსანთა სამმა მეოთხედმა, შესაძლოა გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან, აღნიშნულ ვადაზე ადრე.

57. საბჭოს წინაშე პასუხისმგებლობას, მართველობაში და მეურნეობაში, კისრულობს თემის თავი; თანაშემწენი მხოლოდ ასრულებენ მის განკარგულებას.

58. თემის თავი თავის მოვალეობას ასრულებს პიროვნულად, თუ გინდ მას ჰყავდეს თანაშემწეები.

59. თემის თავს აქვს თავის კანცელარია.

ბ) სამაზრო ერობის მმართველობის ორგანეობი.

60. სამაზრო ერობისთვის არის: ა) ერობის კრება და ბ) გამგეობა.

61. ერობის კრებლობა შესდგება ხმოსნებისგან, რომელნიც ირჩევიან საერთო სახელმწიფო კანონების წესისამებრ, ესე იგი, საყოველ-

თაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლებით ან პროპორციონალური წარმომადგენელობით, და ყველა იმ პირობების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია საარჩევნო კანონებით და ინსტრუქციებით.

62. ხმოსანთა რიცხვი განისაზღვრება თითოეულ მაზრისათვის განსაკუთრებული წესით. (ნახე დამატება პირველი).

63. ხმოსნები ირჩევიან სამი წლის ვადით.

64. ხმოსანი, რომელიც საბჭოს საარჩევნო ვადის განმავლობაში ჰკარგავს საარჩევნო უფლებას გადის ხმოსანთა შემადგენლობიდან და მის ადგილს იჭერს იმავე სიის შემდეგი კანდიდატი. ხმოსანი, რომელიც არ დაესწრება ზედი ზედ ორს ჩვეულებრივ ყრილობას ჰკარგავს ხმოსნის წოდებას და მის ადგილს იჭერს კანდიდატი ნაჩვენები წესით.

65. სამაზრო ერობის ხმოსანი, რომელიც ჩამოვა ყრილობაზე სესიის განმავლობაში იღებს: 1) მისვლის და უკან დაბრუნების ხარჯს პირველი კლასის ბილეთის ღირებულებისას. რკინის გზით და გემით, ხოლო გზა ტკეცილებზე მოგზაურობის ნამდვილ ღირებულებას. 2) დღიურ ხარჯს დაწესებულს ერობის ყრილობის მიერ, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს იმას, რასაც იღებს სამაზრო ერობის გამგეობის წევრი მაზრაში მოგზაურობის დროს.

66. ერობის ჩვეულებრივი ყრილობა ხდება არა უმეტეს ორისა წელიწადში. წლის უკანასკნელ ჩვეულებრივ ყრილობაზე აუცილებლათ დღიურ წესრიგში შედის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

67. ერობის საგანგებო ყრილობა იწვევა ან გამგეობის მოთხოვნით ან და ხმოსანთა რიცხვის მეოთხედის განცხადებით.

68. ერობის ყრილობაზე თავმჯდომარეობს ხმოსანთა შორის ყრილობის მიერ ამორჩეული პირი, რომელსაც არ უკავია არავითარი თანამდებობა ადგილობრივ თვითმართველობაში, გარდა საპატიო თანამდებობისა. თავმჯდომარე ირჩევა ერთი წლის ვადით. მდივნის თანამდებობას ასრულებს ყოველ ყრილობაზე ხმოსანთა შორის არჩეული პირი (იხილე დამატება მეორე).

70. ყრილობა, რომ კანონიერათ ჩაითვალოს, საჭიროა მას დაესწროს ხმოსანთა მთელი შემადგენლობის ორი მესამედი. სახალხო უბედურობის დროს მოწვეული საგანგებო ყრილობის ქვორუმი შემცირდება ხმოსანთა რიცხვის მეოთხემდე.

71. სამაზრო ერობის ყრილობა თათბირობს და სწყვეტს ყველა იმ კითხვას პირდაპირ და არა პირდაპირ რომ გამომდინარეობს ადგილობრივ თვითმართველობის საერთო კომპეტენციიდან და ცალკე რწმუნებულებიდან, რომელიც მინიჭებული აქვს მას ამ კანონით და საერთოდ რესპუბლიკის ყველა განსაკუთრებულ კანონით.

72. ერობის ყრილობა ყველა დადგენილებას ღებულობს ხმის უბრალო უმრავლესობით. თითოეულ ხმოსანს აქვს ერთი ხმა. ხმის უფლების გადაცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

73. ერობათა ყრილობის სხდომაზე შეწყნარებულია როგორც ღია, აგრეთვე ფარული კენჭის ყრა. არჩევანი საზოგადოებრივ თანამდებობაზე და აგრეთვე თანამდებობების პირთა სასამართლოში მიცემის საკითხი აუცილებლად სწყდება ფარული კენჭის ყრით.

74. მდივანი სწერს ოქმს, რომელშიაც აუცილებლად შედის ყრილობის ყველა დადგენილება, ოქმზე ხელს აწერენ თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრები და დამსწრე ხმოსანები. ამისათვის საჭიროა, რომ ოქმები დამზადებული იქნეს ერობათა ყრილობის სესიის უკანასკნელ დღისათვის.

75. ერობის ყრილობა აუცილებლად ირჩევს სარევიზიო კომისიას შეძლებისდაგვარად იმ ხმოსნებისაგან, რომელნიც იმ ადგილს სცხოვრობენ, სადაც იმყოფება ერობათა გამგეობა. შრომის ნაყოფიერებისათვის, ყრილობას შეუძლია ამოირჩიოს ს

79 ერობის ყრილობა ირჩევს როგორც აღმასრულებელ ორგანოს გამგეობას, რომელიც შესდგება უკანასკნელი სამი წევრისაგან მაინც ჯამაგირის რაოდენობას ყრილობა სწყვეტს კანდიდატების კენჭის ყრამდინ. გამგეობის წევრები ირჩევიან სამი წლის ვადით; ერობის ყრილობის სურვილით ეს ვადა შეიძლება შემცირებული იქნეს ერთ წლამდის.

80. გამგეობის წევრათ შეიძლება არჩეულ იქნეს არა ხმოსანიც. მიუხედავათ ამისა ყრილობის სხდომაზე მათ აქვთ ხმის უფლება თანახმად სხვა ხმოსნებთან ერთად.

81. გამგეობის წევრები არ იღებენ მონაწილეობას კენჭის ყრაში. როცა მათი ჯამაგირების გამგეობის შეკდომის ან უკანონო საქმიანობისა, ან მის წევრისა და გამგეობის მოქმედების რევიზიის საკითხები სწყდება.

82. მთელი გამგეობის შემადგენლობის ან თვითეული მისი წევრის დათხოვა თანამდებობიდან ხდება ყრილობის დადგენილებით. გადაყენება თანამდებობიდან გამგეობის წევრისა შეიძლება მოხდეს გამგეობის დანარჩენი წევრების დადგენილებით, ან მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით. გამგეობის მთელი შემადგენლობის გადაყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის დადგენილებით, ამ შემთხვევაში ერობის ყრილობის თავმჯდომარე იღებს ზომებს, რომ ყრილობა დაუყონებლივ იქნეს მოწვეული.

83. გამგეობას სისრულეში მოჰყავს ყოველივე ის, რაც გამომდინარეობს ადგილობრივ თვითმართველობის უფლებიდან და მოვალეობიდან, რაც განხილულია ყრილობის მიერ და გადადის ასრულების სფეროში. გამგეობა ამზადებს წინასწარ ყველა საქმეს ერობის ყრილობისათვის, გამოდის ყრილობაზე მოხსენებით, სისრულეში მოჰყავს ყველა ის, რაც მას მიანდო ერობის ყრილობამ. გამგეობას აწევს ერობის ყველა მიმდინარე მუშაობა, და მოწვევა ყველა მოსამსახურისა იმათ გარდა, ვისაც თვითონ ერობის ყრილობა ირჩევს. გამგეობა აგრეთვე მოვალეა შეასრულოს ყველა ის, რასაც მას დაავალებს მთავრობის რომელიმე დაწესებულება, თუ ამ უკანასკნელს აქვს ამის უფლება კანონით.

84. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მოვალეობა ადგილობრივ თვითმართველობას განსაკუთრებული კანონით აქვს დაკისრებული, თუნდაც ეს მოვალეობა ზოგადი ფორმით მოხსენებული იყოს ამ დებულე-

ბაშიც, გამგეობა ასრულებს მხოლოდ მას, რასაც მას ავალებს სათანადო კანონი.

85. ყველა თავის განცხადება და აგრეთვე ერობის ყრილობის განცხადებანი გამგეობა მოვალეა გარდა სახელმწიფო ენისა დაბეჭდოს გიმ ნაციონალურ უმცირესობის ენაზედაც, რომლის წარმომადგენელთა თვალსაჩინო რიცხვი ოსახლეობს მაზრის ფარგლებში.

86. გამგეობა მოქმედობს როგორც კოლეგია და ყველა უყურადღებობისა, შეცდომის და დანაშაულობისათვის სოლიდარულად აგებს პასუხს, უკეთუ ერობათა ყრილობა ან მთავრობა არ აკისრებს რაიმე მოვალეობას პირდაპირ გამგეობის რომელიმე წევრს.

ამ შემთხვევაში უკანასკნელი პასუხს აგებს პირადათ.

87. გამგეობის ერთი წევრთაგანი ერობის ყრილობის არჩევით არის გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის წევრთა შორის საქმეების განაწილება არის შინაური რეგლამენტის და წესრიგის საქმე.

III. თემის და ერობის ურთიერთობა.

88. ადგილობრივი თვითმართველობა ერთია და მთლიანი. ადგილობრივი თვითმართველობის საფეხურნი განირჩევიან მხოლოდ ტერიტორიით. მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტენციიდან გამომდინარეობს ისეთი მოქმედება, რომელიც შეეხება არა მარტო მთელ მაზრის, არამედ ხშირად მთელ რესპუბლიკის მნიშვნელოვან ინტერესებს, ერობას თემთან ერთად ეძლევათ უფლება განსაზღვროს წმინდა თემური მნიშვნელობის საქმეები სამაზრო მნიშვნელობის საქმეთაგან. ამავე საფუძვლით მხოლოდ სამაზრო ერობას ეძლევა უფლება სავალდებულო დადგენილებით მამულების და ექსპროპრიაციის მოხდენის.

89. მუდმივ წესად უნდა იყოს აღიარებული, რომ შკოლის, ჯანმრთელობის, მიმოსვლის, სამოქალაქო რეგისტრაციის და სხვა ამგვარ საქმეში ერობის მუშაობის საერთო გეგმის შემუშავება და შემოღება ხდებოდეს სამაზრო საერობო ყრილობაში, გეგმა-კი პრაქტიულად ადგილობრივ შეძლება განახორციელონ თემის დაწესებულებშიაც.

90. სარგებლობს რა სრულ დამოუკიდებლობას საკუთარ საქმეში, თემს არ შეუძლია მიითვისოს განსაკუთრებული წარმომადგენლობა სამაზრო ერობის დაწესებულებებში, რომელიც საკუთარ კონპეტენციის ფარგლებში აგრეთვე დამოუკიდებელია

91. თავის კომპეტენციის გარეშე, დავალებულ საქმეთა ასრულებლების დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა საერობო დაწესებულება მოქმედობს სხვა დაწესებულებათა სასარგებლოთ (მუხ. 13, სხ. „გ"), ადგილობრივი თვითმართველობის დაწესებულება ითვლება როგორც აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრული მნიშვნელობით და მას აწევს ყველა ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მოვალეობა.

92. გარდა მიზან-შეწონილ კავშირებისა (მუხ. 17), რომელთაც შექმნიან ცალკე თემები, თუ გინდ სხვა და სხვა მაზრებისა, თითოეულ თემს შეუძლია შეუთანხმდეს და შეუკავშირდეს სამაზრო ერობას.

IV. ზედამხედველობა,

93. ადგილობრივ თვითმართველობის ყოველი მოქმედება ექვემდებარება ზედამხედველობას ზოგად სახელმწიფოებრივი მმართველობის მხრივ.

94. ის მოქმედება, რომელიც გამომდინარეობს ამ კანონით მითვისებულ თვითმართველობის უფლებათა და მოვალეობათაგან ზედამხედველობას ექვემდებარება მხოლოდ კანონ-შეწონილების თვალსაზრისით.

95. მოქმედება, რომელიც გამომდინარეობს თვითმართველობისთვის განსაკუთრებულ კანონებით მინიჭებულ უფლებათა და მოვალეობათგან შეიძლება ექვემდებარებოდეს ზედამხედველობას როგორც კანონ შეწონილებით ისე მიზან შეწონილების მხრითაც, უკეთუ ეს უკანასკნელი უფლება პირდაპირ აღიარებულია სათანადო კანონში.

96. 95 მუხლში აღნიშნულ ზედამხედველობას ანხორციელებს სათანადო კანონით განსაზღვრული დაწესებულება. საერთო ზედამხედველობა (მუხ. 94) სრულდება სასამართლოს საშუალებით.

97. საერთო ზედამხედველობის განსახორციელებლად თემის საბჭოს ყველა გადაწყვეტილების ორი პირი იგზავნება სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელმაც უნდა განასაჩივროს სასამართლოს წინაშე თემის ყველა კანონშეუწონელი მოქმედება. სამაზრო ერობის გამგეობა თემის ოქმების მიღების შემდეგ სამი დღის ვადაში ერთ ასლს თავისი დასკვნით უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს შეუძლია ოქმის მიღების შემდეგ ორი კვირის ვადაში გაასაჩივროს როგორც თემის კანონ-შეუწონელი მოქმედება ისე სამაზრო ერობის მიერ შეუმჩნევლად დატოვებული თემის კანონ-შეუწონელი მოქმედება.

98. ერობის ყრილობის ყველა დადგენილება ამავე მიზნით ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყრილობას სესიის გათავების შემდეგ ერთი კვირის ვადაში.

99. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს წინაშე გასაჩივრებულია თემის დადგენილება სამაზრო ერობის გამგეობის მიერ ან სამაზრო ერობის ყრილობის დადგენილება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ეს ამბავი იმ დღესვე უნდა ეცნობოს იმ დაწესებულებას, რომლის დადგენილება გასაჩივრებულია.

100. სასამართლო სწყვეტს საკითხს იმ მოქმედების შეჩერების შესახებ, რომელიც გამომდინარეობს გასაჩივრებულ კანონ-შეუწონელ დადგენილებიდან სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამდე ყველა მოქმედება გარდა შემდეგ მე-100 მუხლში აღნიშნულისა, წარმოებს იმავე წესით, როგორც სხვა საქმე, რომელიც სამოსამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

101. იმ შემთხვევებში, როდესაც თემი ან ერობა იღებს დადგენილებას, რომლის განხორციელება ეხება ზოგად სახელმწიფოებრივ, ან საერთო საერობო ინტერესებს, ან და მხოლოდ რამოდენიმე ერობის ინტერესებს, ასეთი დადგენილება არ უნდა შევიდეს ძალაში სამი კვირის განვავლობაში დღიდან ოქმის გაგზავნისა სამაზრო ერობაში, თუ ეს ოქმი შეიცავს თემის დადგენილებას, ან შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუ ეს არის დადგენილება სამაზრო ერობის ყრილობისა.

102. ყველა მოქალაქეს და დაწესებულებას, რომელსაც რაიმე ზიანი მოუვიდა თვითმართველობის დაწესებულებათა მოქმედებით, შეუძლია თავიანთ დარღვეულ უფლების აღდგენა იძიონ საერთო წესით.

103. თვითმართველობის მოქმედება ყოველ მოქალაქეს და დაწესებულებას შეუძლია გაასაჩივროს, თუმცა მათთვის პირდაპირ არავითარი ზიანი არ მიეყენებიოს ამ მოქმედებას.

104. თემის თუ ერობის ცხოვრებისთვის ყოველი დიდ მნიშვნელოვანი კითხვა შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ყველა ამჩევლების საერთო კენჭის ყრით (რეფერენდუმი). რეფერენდუმის დადგენილების მისაღებად საჭიროა თემის საბჭოს ან სამაზრო ერობის ყრილობის წევრთა ორი მესამედი.

105. თუ თემის საბჭოს ან სამაზრო ერობის ყრილობის დადგენილება გამოიწვევს თემის ამომრჩეველთა რიცხვის არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მაზრის ამომრჩეველთა რიცხვის, მეათედის ხელმოწერილ პროტესტს, იმ შემთხვევაში, კითხვა ხელ ახლად უნდა იქნეს განხილული.

თუ მეორეჯერლაც გამოიტანეს ისეთივე დადგენილება, იმ შემთხვევაში კითხვა უნდა გადაეცეს მრჩეველთ საერთო კენჭის საყრელად.

106. რეფერენდუმი იმ თემში, სადაც შესაძლებლად დაინახავს თემის საბჭო, შეიძლება შეცვლილ იქნეს ამ ამრჩეველთა საზოგადო ყრილობის თათბირით. ამ შემთხვევაში აუცილებელია რომ ყრილობას დაესწროს ამომრჩეველთა სამი მეოთხედი მაინც.

107. საყოველთაო კენჭის ყრის წესს საზღვრავს იგივე კანონი, რომელიც საზღვრავს რესპუბლიკის კონსტრუქციის შემოღებულ რეფერენდუმის წესს.

V. სამსახურის პირობები.

თვითმართველობის დაწესებულებებში.

108. თვითმართველობის დაწესებულებათა ყველა თანამდებობის პირნი განიყოფებიან ამორჩეულ და დანიშნულ მოსამსახურეებად. ამორჩეულნი არიან: თემის საბჭოს და სამაზრო ერობის ყრილობის თავმჯდომარე, მდივნები, თემის თავი და მისი თანაშემწენი, სამაზრო ერობის გამგეობის წევრნი და ყველა ის პირი, რომელსაც თემის საბჭო და ერობის ყრილობა საჭიროთ დაინახავს კენჭის ყრით აირჩიოს, მაგალითად, მილიციის უფროსი, უფროსი კონტროლიორი, და სხ. ამათვე ეკუთვნის, მაგალითად განსაკუთრებული კანონის ძალით ამორჩეულნი, მაგ., მომრიგებელ მოსამართლენი. ის, ვინც კენჭის ყრით არ არჩეულა საბჭოში ან ყრილობაზე, ეკუთვნის მეორე კატეგორიას.

109. დანიშნული მოსამსახურენი განიყოფებიან ორ ნაწილად: პასუხის მგებელ თანამდებობების პირნი და თანამშრომელნი, რომელთაც განსაკუთრებული პასუხის მგებლობა არ აწევთ.

110. ამორჩეული თანამდებობის პირს ირჩევს თემის საბჭო ან სამაზრო ერობის ყრილობა. ის არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. მას სამსახურიდან ითხოვს მხოლოდ ის დაწესებულება, რომელმაც ამოირჩია

111. სამსახურიდან დროებითი გადაყენების უფლება აქვს თემის თავს თემში მოსამსახურეთა მიმართ და გამგეობას ერობის მოსამსახურეთა მიმართ.

112. ამორჩეული თანამდებობის პირი და პასუხის მგებელი მოსამსახურე სამსახურში ჩადენილ შეცდომისა თუ დანაშაულისთვის პასუხის აგებს ან დისციპლინარულ ან სამოსამართლო წესით.

113. დანიშნულ მოსამსახურეს იწვევს და ითხოვს თემისთავი და გამგეობა კუთვნილებისამებრ. თემისთავის და გამგეობის დადგენილება ამ შემთხვევაში შეიძლება განსაჩივრებული იქნეს საბჭოს ან სამაზრო ყრილობის წინაშე.

114. საპასუხისმგებლო თანამდებობათა სიას ადგენს საბჭო და სამაზრო ერობის ყრილობა. მათვე შეაქვთ ცვლილებანი ამ სიაში ახალ თანამდებობის დაწესებისას.

115. არა პასუხის მგებელი მოსამსახურე, მუშა და მსახური თვითმართველობის საჰეურნეო დაწესებულებაში მათთან დამოკიდებულების დროს ხელმძღვანელობს საერთო სამოქალაქო კანონების შრომის კანონებს. დაუდევრობასა და დანაშაულობას პასუხს აგებს საერთო წესით.

116. თემისთავს, მის თანამშემწეთ, მდივნებს, სამაზრო გამგეობის წევრებს არ შეუძლიათ ეჭიროთ სხვა თანამდებობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამსახურში გარდა საპატიო თამანდებობისა. სხვა თამამდებობათა შეთავსების შესახებ სწყვეტს საბჭო ან საერობო ყრილობა.

117. თანამდებობის პირთა ამორჩევის და მოწვევის დროს, მიღებულ უნდა იქნეს როგორც საერთო წესი, რომ ერთ და იმავე დაწესებულებაში არ მსახურობდენ ახლობელი ნათესავნი, მაგრამ საბჭოს და ერობის ყრილობას შეუძლია გამონაკლისი დაუშვას ამ წესიდან.

118. იმ პირს, რომელიც მსახურობს თვითმართველობის დაწესებულებაში ეკრძალება მიიღოს მონაწილეობა იმ ქონების შეძენაში, რომლის გაყიდვა მას დავალებული აქვს სამსახურით. გარდა ამისა ამ პირზე ისე როგორც ხმოსანზე ვრცელდება ის წესები, რომელიც მოხსენებულია §§ 2, 4 მუხ. 529 მთავრობის მიერ სამსახურში დაწესების დებულებაში (მუხ. 722—724, 1888 წლ. გამოცემა).

დ ა მ ა ტ ე ბ ა I.

ხმოსანთა რიცხვის სია თითოეულ მაზრაში.

დ ა მ ა ტ ე ბ ა II.

32 და 68—ზე მუხლისა.

თემის საბჭოს და სამაზრო ერობის ყრილობის თავმჯდომარეთა უფლებანი და მოვალეობანი:

ა) თემის საბჭოს და სამაზრო ერობის ყრილობის თავმჯდომარეები სხნიან და აურავენ სხდომებს.

ბ) თავმჯდომარე აყენებს კითხვებს განსახილველად იმ წესით როგორც შეტანილია თემის საბჭოს და ერობის ყრილობის დღიურ წერრიგში.

გ) თავმჯდომარე აძლევს სიტყვას მსურველს ჩაწერის მიხედვით.

დ) თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს, რომ სხდომაზე წესრიგი არ დაირღვეს.

ე) თავმჯდომარეს აქვს უფლება გააჩეროს მოლაპარაკე თუ ის ასცდა განხილვის საგანს ან და დაუშვა იმ გვარი მსჯელობა, რომელსაც სხდომაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პირველ შემთხვევაში თავმჯდომარის ორჯელ შენიშვნის შემდეგ შეუძლია აუკრძალოს სრულიად სიტყვის გაგრძელება. მეორე შემთხვევაში თავმჯდომარეზეა დამოკიდებული მიიღოს საშუალება სხდომის წესრიგის დაცვისათვის და გაუძღვეს სხდომას წესიერების ფარგლებში.

ვ) ვინც უკმაყოფილო დარჩება თავმჯდომარის განკარგულებით, მას აქვს უფლება შეატანიოს სხდომის ჟურნალში ეს განკარგულება და თავმჯდომარის მოქმედების წინააღმდეგ შეიტანოს საჩივარი სასამართლოში.

ზ) თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს აგრეთვე, რომ სხდომის წევრები არ უშლიდენ რამე ნაირად მოლაპარაკეს.

ჰ) როდესაც სხდომის წევრი არ ემორჩილება თავმჯდომარის განკარგულებას (მუხ. „ე“ და „გ“). მას შეუძლია მიმართოს სხდომას ამ გვარი წევრის დასაჯარიმებლად.

თ) უდიდესი დასჯა არის ის, რომ წესრიგის დამრღვევი განიდევნოს სხდომებიდან მთელი სესიის განმავლობაში.

ი) თუ სხდომაზე დამსწრე გარეშე პირი რაიმე ნაირად აღღვევს სხდომის წესრიგს, თავმჯდომარე მოუწოდებს მას დაიცვას წესი, თუ არ დამორჩილდა თავმჯდომარეს შეუძლია მისცეს განკარგულება, რომ ის გაყვანილ იქნეს სხდომიდან და მისცეს კანონიერ პასუხის გებაში. სხდომის დარბაზიდან მთელი დამსწრე გარეშე საზოგადოების დათხოვა შესაძლებელია მხოლოდ სხდომის დადგენილებით.

კ) სხდომის გარეშე თავმჯდომარეს შეუძლია გაეცნოს თემის და ერობის ყველა განყოფილების მუშაობას. ამ მიზნისათვის მას ყოველთვის შეუძლია ნახოს ყოველი საქმე და დაესწროს აღმასრულებელი ორგანოების სხდომებს.

დამატება მე III-ბე

77 და 78 მუხლ.

ერობის დაწესებულებათა მიერ სავალდებულო დადგენილების შედგენის და გამოცემის შესახებ.

ა) სამაზრო ერობის ყრილობას დამოუკიდებლათ, ხოლო თემის საბჭოს ერობის ყრილობის საშუალებით შეუძლიათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი თავის კომპეტენციის ყველა საკითხების შესახებ. ეს დადგენილებანი აიძულებს მთელ მოსახლეობას ან მის რომელიმე ნაწილს განსაზღვრულ შემთხვევებში დაიცვან განსაკუთრებული წესი დასჯის და დაჯარიმების შიშით.

ბ) სავალდებულო დადგენილების შედგენის დროს სწორედ და ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები ის წესი, ან ის მოთხოვნა, რომელიც შემოაქვს საერობო დაწესებულებას; უნდა იყოს აგრეთვ სრული სინამდვილით აღნიშნული თუ მოქალაქეთა რომელი წრეა ვალდებული აასრულოს დადგენილება და, დაბოლოს, რა შედეგი მოჰყვება თუ არ იქმნა ასრულებული სავალდებულო დადგენილება.

გ) სავალდებულო დადგენილება არაფერში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. კერძოთ სავალდებულო დადგენილების საშუალებით შეუძლებელია მცხოვრებთა დატვირთვა ახალი გადასახადით და ბეგარით, თუ კანონით არ არის გათვალისწინებული.

დ) თემის სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამაზრო ერობის სავალდებულო დადგენილებას და პირიქით, სამაზრო ერობის თემისას.

ე) სავალდებულო დადგენილებების შეცვლა ხდება იმავე წესით, როგორც მისი გამოცემა, ე. ი. სამაზრო ერობის ყრილობის საშუალებით. მაგრამ რადგან ზოგიერთი მცირე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც არ ეხება საქმის არსებას, არამედ მხოლოდ ფორმას, როგორც მაგალითად ნიხრის რაოდენობის შეცვლა, საჭირო იქმნება ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე, ყრილობას შეუძლია ასეთი წინდაწინვე გათვალისწინებულ ცვლილების მოხდენა მიანდოს თავის გამგეობას.

ვ) ვინაიდან ქალაქის თვითმართველობას, რომელიც არ არის გამოყოფილი ცალკე საერობო ერთეულად, აქვს უფლება თითონვე გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, ამიტომ ერობის სავალდებულო დადგენილების მოქმედება ქალაქის მცხოვრებლებზე არ ვრცელდება, მაგრამ სამაზრო ერობის ყრილობას შეუძლია მიანდოს გამგეობას, რომ

მან იშუამდგომლობს, რათა ერობის ყველა სავალდებულო დადგენილება გავრცელდეს ქალაქის ტერიტორიაზედაც ქალაქის საბჭოს სათანადო დადგენილების საშუალებით.

ზ) სავალდებულო დადგენილების გამოცემის დროს უნდა იყოს ნაჩვენები ვადა, რომლიდანაც ის შედის ძალაში. ეს ვადა არ უნდა იყოს ნაკლები სამი დღისა, იმ დროიდან როდესაც დადგენილება გამოიცემა მაზრის ყველა ნაწილში.

ჰ) კერძო პირის, საზოგადოების თუ დაწესებულების საჩივარი სავალდებულო დადგენილებების უკანონობის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში. ამ საჩივრის ვადა არ განისაზღვრება რაიმე დროით, ვიდრე სავალდებულო დადგენილების მოქმედება ძალაში არის. ამ გვარი საჩივარი უნდა შეტანილი იქნეს ერობის გამგეობაში, რომელიც ერთ კვირაში მას, თავის განმარტებებით წარუდგენს სასამართლოს.

თ) სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება ზედამხედველობის მხრივ ექვემდებარება საზოგადო წესებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნება შეიძლება სამი კვირის ვადაში მას შემდეგ, როცა ოქმი, რომელიც შეიცავს სავალდებულო დადგენილების პროექტს, გაეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ, რასაკვირველია, ამ ვადის გასვლამდინ არ მოვიდა ცნობა, რომ ეს დადგენილება განსაჩივრებულია.

ი) სავალდებულო დადგენილებები რომ სისრულეში იქნეს მოყვანილი ამას თვალ ყურს ადევნებენ როგორც მილიციის მოხელენი, აგრეთვე ერობის მიერ განსაკუთრებულად დანიშნული პირები.

კ) სასამართლოს წინაშე საქმის აღძვრის და სავალდებულო დადგენილების დამრღვევთა ბრალდების უფლება სასამართლოში ეკუთვნის მილიციას, სამაზრო ერობას და კერძოთ ამისათვის დანიშნულ პირთ.

ლ) ერობის ყრილობის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავე მიეცემა პასუხის გებაში საერთო წესით და მიესჯება მათ სასჯელი, რომელიც განსაზღვრულია 29 მუხ. თუ ხსენებული დადგენილების დარღვევა არ არის წინასწარ ნაჩვენები სხვა დებულებით.

დამატება I.

მუხლების შეცვლანი და ვარიანტები.

მიღებული საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის პლენუმის სხდომაზე 14,15,16 და 17 ნოემბერს 1920 წ.

პარაგრაფი 1. — **ამოიშალოს**.

„ 10. — სიტყვები „რამდენათაც შეიძლება“ **ამოიშალოს**

„ 10. — შენიშვნა მეორე **ამოიშალოს**.

„ 11. — უკანასკნელი ორი სტრიქონი: „ამასთანავე პირდაპირი“... და სხვა **ამოიშალოს**.

„ 11. — **დაემატოს** შენიშვნა პირველი „არჩევნების უფლებათა საერთოდ და აგრეთვე ზოგადი სამოქალაქო მოვალეობათა მიმართ ვრცელდება ყველა დებულებანი და გამონაკლისნი საერთო სახელმწიფო-კანონების“.

„ 12. **გადაკეთდეს** ასე: „თემის და სამაზრო ერობის დაწესებულებანი თემისა-თავის ტერიტორიის ფარგლებში და სამაზრო ერობისა-მაზრის ფარგლებში-თავიანთი ტერიტორიის საჭიროებათა მიხედვით.“ და სხვა.

„ 13. მუხლი „3“ შესწორდეს ასე: „ყოველნაირი ინიციატივის ხელშეწყობა და სხვა-და-სხვა გვარ საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა საკრედიტო, მწარმოებელ, მომხმარებელ, საქონლის საერთო შემყიდველ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციის საქმეში; ორგანიზაცია სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა და სხვა.“

„ 14. მიღებულ იქმნას შემდეგი 4 ვარიანტი:

1. დარჩეს უცვლელად.
2. ამოიშალოს მთელი პარაგრაფი.
3. „ ..., თითოეულ მაზრაში ცალკე გამომუშავება საერთო სავალდებულო მუშაობის გეგმისა და აგრეთვე განაწილება მისი თემების და სამაზრო ერობათა დაწესებულებათა შორის ხდება სამაზრო ყრილობაზე. გარდა სავალდებულო მოლვაწეობისა, რომელიც გამომდინარეობს საერთო გეგმიდან, თემებს შესატყვისად თავიანთი ძალებისა და საშუალებათა შეუძლიათ აწარმოონ ყოველგვარი სამუშაო, რომელიც კი აღნიშნულია საერთო კომპეტენციაში (მუხ. 12, 13). შენიშვნა პირველი ამოი-

შოლოს, ხოლო მეორე გადაკეთდეს პირველად.
4 „ . . . . თითოეულ მაზრაში ცალკე ნებაყოფლობითი შეთანხმებით თემის დაწესებულებათა და სამაზრო ერობის გამგეობათა შორის, თუ ვინიცობაა, შეთანხმება არ მოხდა, საკითხი საბოლოოთ წყდება სამაზრო ყრილობაზე.

პარაგრაფი 17. **დარჩეს, როგორც ვარიანტი.**

„ 19.—სიტყვა „ეკსპროპრიაცია“ **შეიცვალოს** სიტყვით: „იძულებითი ჩამორთმევა“ და ბოლოს **დაერთოს**: „11 ივლ. 1919 წ.“.

„ 21, 22 და 23—**შეიცვალოს ასე**:

„ 21.—„თითოეულ თემს ჰყავს: ა) საბჭო, ბ) თემის თავი“. „შენიშვნა I. ცალკე სოფლების სამმართველოდ ირჩევიან თემის თავის თანაშემწენი იმ ანგარიშით, რომ თითოეულ სოფელში იყოს ერთი თანაშემწე ადგილობრივ მცხოვრებთაგან“.

„ 23.—**გადატანილ იქნეს**, როგორც შენიშვნა, 45-ის ქვეშ.

„ 25.—მეტრი ორასი **შეიცავს** ასით; **დაემატოს**: მაგრამ საერთო რიცხვი ხმოსნებისა არ უნდა იყოს ოცზე ნაკლები“.

„ 26.—**გადაკეთდეს ასე:** „საბჭო ირჩევა ორი წლის ვადით“.

„ 42.—**გადაკეთდეს**: „რიცხვის ორი მესამედი არ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე, ყველაფერი სწარმოებს ამ უმრავლესობის ენაზე“ და სხვა.

„ 45.—**ამოიშალოს:** სიტყვები: „და მისი თანაშემწენი“; **დაერთოს,** როგორც შენიშვნა 1 პარაგრაფი 23.

„ 59.—**დაერთოს:** „რომლის შტატებს და ჯამაგირებს ამტკიცებს საბჭო“.

„ 68.—**დაერთოს:** „შენიშვნა: იმ შემთხვევებში, როდესაც სამაზრო ყრილობა საჭიროდ დაინახავს, იგი ირჩევს ერთს ან რამოდენიმე თავმჯდომარის აბხენაგებს“.

„ 78 — გადაკეთდეს 79—ად.

„ 79— „ 78—ად.

„ 79— ა. „ 78 ა. ად.

„ 82 — **დარჩეს სამი ვარიანტი:**

I—**რ**ოგორც არის;

II—ამოიშალოს „ან მთავრობის დადგენილებით“ **და** სხვა ბოლომდე.

III—**გ**ამგეობის გადაყენების უფლება მიენიჭოს მთავ**რობას.**

პარაგრაფი 87 — **დაერთოს:**

„ 87 ა — „ გამგეობაში საკითხები წყდება უბრალო ხმის უმრავლესობით; ხმების თანასწორებისას უპირატესობა ეკუთვნის თავმჯდომარეს“.

„ 87 ბ „ ფრიად საჩქარო საკითხების გადასაჭრელად თავმჯდომარეს შეუძლიან მიიღოს საჭირო ზომები, მაგრამ გამგეობის პირველსავე სხდომას უნდა აცნობოს ამის შესახებ“.

„ 87 გ — „ თავმჯდომარეს ეკუთვნის უფლება საერთო ზედამხედველობისა საქმეების წარმოებაზე, როგორც გამგეობაში, აგრეთვე ამ უკანასკნელის რწმუნებაში მყოფ დაწესებულებებში“.

„ 88 — **შეიცვალოს** სიტყვა „ეკსპროპრიაცია“ სიტყვებით: „იძულებითი ჩამორთმევა“.

„ 92 — **ამოიშალოს.**

„ 97 — **შეტანილ იქმნას შესწორება** იმ აზრით, სამეერობ. გამგეობას ჰქონდეს უფლება შეაჩეროს თემის უკანონო დადგენილებანი.

„ 104 — **მიღებულია ორი ვარიანტი:**

I. დარჩეს უცვლელად.

II. ამოიშალოს ყოველივე, რაც შეეხება რეფერენდუმს.

„ 116 — **ჩაერთოს:** „...გამგეობის წევრებს და მდივნებს არ შეუძლიათ“ და სხვა

ამის გარდა გადაწყდა შემდეგი ზოგადი ხასიათის შესწორებათა შეტანა:

1) თემისთვის თანაშემწენი უნდა ირჩეოდენ არა ხმოსნებიდან; ასეთ თანაშდებობაზე არჩეული ხმოსანი ჰკარგავს ხმოსნობის უფლებას.

2) გადაეცეს სარედაქციო კომისიას სამაზრო ყრილობის სახელწოდების შემუშავება;

3) სამაზრო ერობის გამგეობა თვალყურს ადევნებს თემის დაწესებულებათა მოქმედებას.

ე 81
1920

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის.

ყოველთვიური ჟურნალი

წვენი ქალაქი

წელიწადი მე-3.

(ყოფილი ჟურნალი „ეროობა და ქალაქი").

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანო.

გამოდის ქართულ და რუსულ განყოფილებებით.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისი. პუშკინის ქ. 3, ქალაქთა კავშირის ბინა ტელ. 1—78.

ეროგებთა და თემებს.

მაქვს 10 წლის მასწავლებლობის პრაქტიკა; ვეძებ უმაღლ.-დაწყ.-სასწავლებლის

გამგის ადგილს.

მისამართი: ტფილისი, ბელინსკის ქუჩა № 21.

სტუდენტი სევერიანე მუსერიძე.

ფასი 100 მან.